



რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტი

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების
პაკეტი

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა

პროექტის განმახორციელებელი:
სს „ვინდ ფაუერი“

შემსრულებელი:
შპს „დაბლიუიჯი ენვი კონსლტინგი“



აგვისტო, 2024 წელი

სარჩევი

1	შესავალი.....	6
1.1	დმჩგ-ის მიზნები	6
1.2	პროექტის წინაპირობები	7
1.3	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მიზანი	8
2	პროექტის მიმოხილვა.....	9
2.1	პროექტის მიზანშეწონილობა.....	9
2.2	პროექტის ადგილმდებარეობა	10
2.3	პროექტის აღწერა	10
2.3.1	ობიექტები	10
2.3.2	ზოგადი განლაგება.....	11
2.3.3	პროექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში გაშვების მოთხოვნები.....	12
2.4	პროექტის საექსპლუატაციო მოთხოვნები	14
2.5	ადგილობრივი სოციალური კონტექსტი და სენსიტიურობა	14
2.5.1	პროექტის ზემოქმედების ზონა და სენსიტიურობა.....	14
2.5.2	მიწათსარგებლობა და პირობები ობიექტზე	15
3	ნორმები და მოთხოვნები.....	17
3.1	ეროვნული მოთხოვნები	17
3.2	კრედიტორების მოთხოვნები	21
3.2.1	ერგბ.....	21
3.2.2	ევროპული ნორმები საჯარო კონსულტაციების შესახებ	22
4	დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაცია და ანალიზი.....	26
4.1	დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაციის მეთოდი.....	26
4.2	გამოვლენილი დაინტერესებული მხარეები	27
4.2.1	მოწყვლადი ჯგუფები – იდენტიფიცირების პროცესი.....	30
5	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა/ ჩატარებული კონსულტაციები	31
5.1	ბსგზმ-ს გასაჯაროებამდე განხორციელებული პირველადი კომუნიკაცია.....	31
5.1.1	კონსულტაციები უწყებებთან და ორგანიზაციებთან	31
5.1.2	კონსულტაციები საპროექტო არეალის ფოკუს-ჯგუფებთან	41
5.2	სკოპინგის ეტაპის კონსულტაციები ქართული გზმ-ს და ნებართვების გაცემის პროცესის ფარგლებში	42
6	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა	44
6.1	ერგბ-ის ბსგზმ პაკეტის გასაჯაროება და საჯარო კონსულტაციები.....	44
6.1.1	მოწყვლადი ჯგუფები – მიზნობრივი კონსულტაციები.....	48
6.1.2	გასაჯაროებული გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტები.....	49
6.1.3	ინფორმაციის გასაჯაროების პროცესი	49
6.1.4	პროექტის საინფორმაციო მასალები.....	53
6.1.5	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა ბსგზმ გასაჯაროების პერიოდში 53	

6.2	ქართული მხარის გზმ გასაჯაროება და საჯარო კონსულტაციები	55
6.2.1	ეროვნული ნორმები საჯარო კონსულტაციის შესახებ.....	55
6.2.2	ეროვნული დონის გზმ კონსულტაციების წინასწარი გრაფიკი	56
6.3	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის სამომავლო პროგრამა	57
6.3.1	ჩართულობის მეთოდები.....	57
6.3.2	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა მშენებლობის წინა, მშენებლობისა და ექსპლუატაციაში შესვლის ეტაპებზე	58
6.3.3	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა ექსპლუატაციის ეტაპზე	60
7	გასაჩივრების მექანიზმი	61
7.1	გასაჩივრების მექანიზმის საკვანძო პრინციპები	62
7.2	გასაჩივრების მექანიზმის მიზანი.....	62
7.3	საჩივრების მექანიზმის მართვის საფეხურები.....	63
7.3.1	საჩივრების მართვის პროცედურების გასაჯაროება	63
7.3.2	საჩივრის წარდგენა.....	63
7.3.3	საჩივრების შემდგომი გაკონტროლება	64
7.3.4	საჩივრების განხილვა და გამოძიება.....	65
7.3.5	საჩივრების გადაწყვეტის ვარიანტები და საპასუხო ქმედებები.....	66
7.4	გასაჩივრების მექანიზმი სამშენებლო და ექსპლუატაციაში შესვლის ფაზაზე	68
7.4.1	მომუშავეთა გასაჩივრების მექანიზმი (შიდა)	68
7.4.2	მესამე მხარის გასაჩივრების მექანიზმი	69
7.4.3	მონიტორინგი	71
7.5	გასაჩივრების მექანიზმი ექსპლუატაციის ეტაპზე	71
7.6	გასაჩივრების პროცედურები ქალთა, მოწყვლადი და დაუცველი ჯგუფებისთვის 72	
7.6.1	გენდერული ნიშნით ძალადობისა და სექსუალური შევიწროების საწინააღმდეგო პროცედურები	72
7.6.2	ანგარიშგება გენდერულ ძალადობასა და სექსუალურ შევიწროებაზე	73
7.7	გასაჩივრების მექანიზმის საკონტაქტო ინფორმაცია.....	74
7.8	პროცესის მიმდინარეობა და ვადები.....	74
7.9	ტრენინგი.....	75
8	განხორციელების პროცედურები	76
8.1	ფუნქციები და პასუხისმგებლობები (საპროექტო კომპანია).....	76
8.1.1	სს „ვინდ ფაუერ“-ის მენეჯერი სოციალურ საკითხებში.....	76
8.1.2	სს „ვინდ ფაუერ“-ის მენეჯერები გარემოსდაცვით, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების საკითხებში	77
8.1.3	საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი (მენეჯერი საჩივრების მოგვარების საკითხებში).....	77
8.1.4	სოციალური მედიის მართვა	78
8.2	მონიტორინგი და ანგარიშგება	79
8.3	გადახედვა	79
9	დანართები	81
დანართი 1	ობიექტების სიახლოვე საცხოვრებელ უბნებთან.....	82
დანართი 2	საპროექტო ტერიტორიაზე მიწით მოსარგებლეთა წინასწარი შეჯამება.....	85
დანართი 3	საჯარო კონსულტაციები სკოპინგის ეტაპზე.....	97

დანართი 4	საჩივრის ფორმის ნიმუში.....	111
დანართი 5	საჩივრის რეგისტრაციის ნიმუში და სარეგისტრაციო ჩანაწერები	112
დანართი 6	საჯარო კონსულტაციები გამჟღავნების ეტაპზე.....	114
სურათი 2-1	რუისის ქვის მდებარეობა საქართველოს პოლიტიკურ რუკაზე	11
სურათი 2-2	პროექტის განლაგება.....	13
სურათი 2-3	მიწათსარგებლობის რუკა.....	17

ცხრილები

ცხრილი 1-1	საკონტაქტო ინფორმაცია.....	8
ცხრილი 4-1	საპროექტო ობიექტისთვის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ტაბულა	27
ცხრილი 5-1	ოფიციალური მიმოწერა სავარაუდო დაინტერესებულ კომპანიებთან და სახელმწიფო სუბიექტებთან.....	31
ცხრილი 6-1	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა ბსგშმ გასაჯაროების პერიოდში	53
ცხრილი 6-2	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა საქართველოს გშმ პროცესისთვის	56
ცხრილი 6-3	წინასამშენებლო, სამშენებლო და ექსპლუატაციაში შესვლის ეტაპებზე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის განრიგი	58
ცხრილი 6-4	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის განრიგი საექსპლუატაციო ფაზაზე.....	60
ცხრილი 7-1	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა – საჩივრების განხილვის მექანიზმის საკონტაქტო ინფორმაცია.....	74
ცხრილი 7-2	გასაჩივრების პროცესი და ვადები	74

სურათები

სურათი 2-1	რუისის ქვის მდებარეობა საქართველოს პოლიტიკურ რუკაზე	11
სურათი 2-2	პროექტის განლაგება	13
სურათი 2-3	მიწათსარგებლობის რუკა.....	17

აბრევიატურები

აბრევიატურა	მნიშვნელობა
Ahs	დაზარალებული შინამეურნეობები (დშ)
ერგბ	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
EHS	გარემოს დაცვა, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება
გზშ	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
EPC	დაპროექტება, შესყიდვები და მშენებლობა
ESAP	გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა
ბსგზშ	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
ESMS	გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა
ESP	გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა
GBVH	გენდერული ნიშნით ძალადობა და შევიწროება
GIP	მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკა
GRM	საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი
სსე	საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
IFC	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
LALRF	მიწის შესყიდვისა და საარსებო წყაროს აღდგენის ჩარჩო-სახელმძღვანელო
MEPA	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
NTS	არატექნიკური რეზიუმე
O&M	ექსპლუატაცია და მომსახურება
პზემ პირი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი პირი
PIC	საჯარო ინფორმაციის ცენტრი
PR	შესრულების მოთხოვნა
SEA	სექსუალური ექსპლუატაცია და ძალადობა
SEP	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა
TSO	გადამცემი სისტემის ოპერატორი
ქესი	ქარის ელექტროსადგური
WTG	ქარის ტურბინა-გენერატორი

1 შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმას (დმჩგ) რუისის ქარის ელექტროენერჯის პროექტისთვის (პროექტი). პროექტის განხორციელებას გეგმავს სს „ვინდ ფაუერ“. წინამდებარე დმჩგ ასახავს პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ჩარჩო-მეთოდოლოგიას, სადაც განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების სახელმძღვანელო პრინციპებზე, განსაკუთრებით ერგბ-ის შესრულების მე-10 მოთხოვნაზე „ინფორმაციის საჯაროობა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა“.

1.1 დმჩგ-ის მიზნები

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის საერთო მიზანია ახსნას, თუ რამდენადაა ჩართული სს „ვინდ ფაუერი“ დაინტერესებულ მხარეებთან პროექტის მსვლელობისას და როგორ ახორციელებს კონსულტაციის მრავალმნიშვნელოვან პროცესს. დაინტერესებული მხარეები არიან პირები ან ჯგუფები (i), რომლებზეც პროექტი ახდენს პირდაპირ ან ირიბ გავლენას, ასევე ისინი (ii) რომლებიც შეიძლება დაინტერესებულნი იყვნენ პროექტით ან/და შეუძლიათ მის შედეგებზე მოახდინონ დადებითი ან უარყოფითი გავლენა. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა გადამწყვეტია, რადგან ის ქმნის ორმხრივ საკომუნიკაციო არხს, რომელიც საშუალებას აძლევს პროექტის ყველა დაინტერესებულ მხარეს გაიგოს პროექტის დადებითი და უარყოფითი ზემოქმედება, რაც საფუძველს აძლევს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, დაამყარონ ინფორმირებული უკუკავშირი პროექტთან.

ჩართულობის პროცესი წარმოადგენს მუდმივმოქმედ ინტერაქტიურ დიალოგს, ამრიგად ვითარდება პროექტის განვითარების კვალდაკვალ. ეს პროექტის განხორციელების და ექსპლუატაციის დროს გადაწყვეტილების მიღების პროცესში პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანების და სხვა დაინტერესებული მხარეების შესაბამისი შეხედულებების გათვალისწინების საშუალებას იძლევა. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა მიზნად ისახავს სანდო ურთიერთობის ჩამოყალიბებას მასპინძელ თემებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინფორმაციის გამჭვირვალე და დროული მიწოდების, ასევე ღია დიალოგის გზით.

დმჩგ-ის მიზნებია:

- იდენტიფიცირება მირითადი დაინტერესებული მხარეებისა, რომლებზეც შესაძლოა ზემოქმედება იქონიოს პროექტმა ან მათ მოახდინონ გავლენა პროექტის შედეგზე;
- ჩართულობის შესაბამისი მეთოდების იდენტიფიცირება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან მიმართებაში; პროექტის შესახებ იდენტიფიცირებულ დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირების პროცესების განსაზღვრა, აგრეთვე ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე საკონსულტაციო სტრუქტურის უზრუნველყოფა, დაწყებული პროექტის დაგეგმვის ეტაპიდან, გაგრძელებული მშენებლობისა და ექსპლუატაციის მთლიანი ციკლის მიმდინარეობისას;
- სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ჩართულობის სიხშირისა და გრაფიკის განსაზღვრა;
- დაინტერესებულ მხარეთა მიერ წამოჭრილი საკვანძო საკითხების გამოყოფა და პროექტთან დაკავშირებით შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა შეხედულებისა და შენიშვნების აღქმა;

- ზემოქმედების მოგვარების მექანიზმებისთვის ანგარიშგების პლატფორმის შეთავაზება;
- საჩივრების განხილვის მექანიზმის ჩამოყალიბება, რათა დაინტერესებულმა მხარეებმა და საზოგადოებამ იოლად წამოჭრან ნებისმიერი პრობლემა, აგრეთვე მიაწოდონ გამოხმაურება და კომენტარები საჩივრების გადაწყვეტის მეთოდებთან და ვადებთან დაკავშირებით.

1.2 პროექტის წინაპირობები

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმას (დმჩგ) პროექტისთვის, რომელიც ითვალისწინებს 206 მეგავატი სიმძლავრის რუისის ქარის ელექტროსადგურის (რუისი ქესი) მშენებლობას და ექსპლუატაციას საქართველოს შიდა ქართლის რეგიონში, ქარელისა და გორის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. პროექტის განხორციელებას გეგმავს სს „ვინდ ფაუერი“.

სს „ვინდ ფაუერი“ წარმოადგენს კომპანიას, რომლის გუნდს აქვს საქართველოში განახლებადი ენერჯოსექტორის განვითარების მნიშვნელოვანი გამოცდილება. სს „ვინდ ფაუერი“ ახორციელებს რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტს საქართველოს მთავრობასთან 2021 წლის 10 აგვისტოს ხელმოწერილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მიხედვით განსაზღვრულ ტერიტორიაზე. ქარის რეჟიმის წინასწარი შეფასებით, რუისის ქარის ელექტროსადგურის მდებარეობა ხელსაყრელია 46 ქარის ტურბინის დასამონტაჟებლად დადგმული ჯამური სიმძლავრით 206 მგვტ.

პროექტის მიხედვით, რუისის ქარის ელექტროსადგური გამოიმუშავებს ჯამში 206 მეგავატი ელექტროენერჯიას; თითოეული ტურბინის დადგმული სიმძლავრე საშუალოდ შეადგენს 4,5 მეგავატს. ქარის ტურბინების განსათავსებლად შერჩეულია 46 ლოკაცია. გარემოზე ზემოქმედება, შეფასდა პესიმისტური სცენარით, რაც გულისხმობს 46 ქარის ტურბინის მონტაჟს დადგმული სიმძლავრით 4,5 მგვტ თითოზე. სინამდვილეში ზემოქმედება იქნება ნაკლები, რადგან ქარის ტურბინების კონკრეტული მოდელები შეირჩევა სატენდერო პროცესში საუკეთესო შეთავაზების საფუძველზე. 4,5 მეგავატი უბრალოდ შეესაბამება ტურბინების მინიმალურ სიმძლავრეს და 46 ტურბინების მაქსიმალურ რაოდენობას. დაბოლოს, მოსალოდნელია ტურბინების ნაკლები რაოდენობა, რაც ნიშნავს, რომ ზოგიერთი ტურბინის სიმძლავრე ისე გაიზრდება, რომ ქარის ელექტროსადგურის მთლიანი დადგმული სიმძლავრე 206 მეგავატი იქნება. მათი საერთო რაოდენობის შემცირება გამოიწვევს ზემოქმედების ინტენსივობის შემცირებას. აქედან გამომდინარე, გარემოზე ზემოქმედების წინასწარი შეფასება (სამშენებლო ტერიტორიები; ხმაურის და შუქრდილების ციმციმის მოდელირება; ზემოქმედება ჰაბიტატებზე და ნიადაგზე და ა.შ.) მუშავდება ყველაზე პესიმისტური სცენარისთვის, რომლის განხორციელებისას ზემოქმედება გარემოზე აღემატება იმ ზემოქმედებას, რაც რეალურად ექნება პროექტს. ყველაზე უარესი შემთხვევისთვის გაკეთდა შემდეგი ვარაუდები:

- ტურბინების რაოდენობა – 46
- ტურბინების სიმაღლე – 150მ
- როტორის დიამეტრი – 163მ
- ტურბინის კონკრეტული მოდელის გარკვევამდე, მას მოიხსენიებენ პლატფორმად Generic WTG 4.5MW

წინამდებარე დმრგ მომზადებულია, როგორც ერთიანი ბსგზშ-ის პაკეტის ნაწილი, ერგბ-ის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის (2019) და საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის საფუძველზე.

წინამდებარე ბსგზშ სს „ვინდ ფაუერი“-სთვის მომზადდა შპს „დაბლიუიჯი ენვი კონსალტინგი“-ს მიერ.

ცხრილი 1-1 საკონტაქტო ინფორმაცია

საქმიანობის განმხორციელებელი კომპანია	სს „ვინდ ფაუერი“
კომპანიის იურიდიული მისამართი	ზურაბ ავალიშვილის ქუჩა 12, 0179, თბილისი, საქართველო
კომპანიის ფაქტობრივი მისამართი	ზურაბ ავალიშვილის ქუჩა 12, 0179, თბილისი, საქართველო
დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	ქარელის მუნიციპალიტეტი. შემდეგი სოფლების მიმდებარედ: რუისი, ურბნისი, სალოლაშენი, ბრეთი, საქაშეთი და სასირეთი.
დაგეგმილი საქმიანობის სახე	რუისის ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია
სს „ვინდ ფაუერი“-ს საკონტაქტო მონაცემები:	
საიდენტიფიკაციო კოდი	402013904
ელექტრონული ფოსტა	zbakuradze@peri.ge
საკონტაქტო პირი	ზაზა ბაკურაძე
საკონტაქტო ტელეფონი	(+995 599) 252042
საკონსულტაციო კომპანია:	შპს „დაბლიუიჯი ენვი კონსალტინგი“
შპს „დაბლიუიჯი ენვი კონსალტინგი“-ს დირექტორი	მ. ქიმერიძე
საკონტაქტო ტელეფონი	მობილ: (+995 599) 154 656; ტელ: (+995 32) 2 388 358;

1.3 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მიზანი

წინამდებარე დოკუმენტი ეხება რუისის ქვის პროექტს. დმრგ-ის მოქმედების სფეროა პროექტის მშენებლობის, ექსპლუატაციაში შესვლისა და ექსპლუატაციის ფაზების ეფექტური მართვის მეთოდების განსაზღვრა და დაინტერესებულ მხარეებთან სამომავლო ჩართულობის ხელშეწყობა.

წინამდებარე დმრგ შემუშავებულია ერგბ-ის PR10-ის შესაბამისი მოთხოვნების დაცვით, აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

დმრგ ძალაში იქნება და განახლდება პროექტის მთელი პერიოდის განმავლობაში, როგორც "ცოცხალი დოკუმენტი". დმრგ წარმოადგენს პროექტის მშენებლობის, ჩაბარების და ექსპლუატაციის

ფაზებზე გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის არსებით ნაწილს. დმჩგ-ის განახლება საჭირო იქნება პროექტის გარემოებების ან დაინტერესებული მხარეების დინამიკის გათვალისწინებით; აგრეთვე გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის მუდმივი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

დმჩგ-ის სტრუქტურა შემდეგია:

1. შესავალი
2. პროექტის მიმოხილვა
3. ნორმები და მოთხოვნები
4. დაინტერესებული მხარეების იდენტიფიკაცია და ანალიზი
5. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა/ განხორციელებული კონსულტაციები
6. დაინტერესებულ მხარეებთან სამომავლო ჩართულობის პროგრამა
7. გასაჩივრების მექანიზმი
8. განხორციელების გეგმა
9. გადასინჯვა
10. დანართები

2 პროექტის მიმოხილვა

2.1 პროექტის მიზანშეწონილობა

წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს 206 მეგავატი სიმძლავრის რუისის ქარის ელექტროსადგურის (რუისი ქესი) მშენებლობას და ექსპლუატაციას საქართველოს შიდა ქართლის რეგიონში, ქარელისა და გორის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე.

რუისის ქარის ელექტროსადგურის აშენების შედეგად მოსალოდნელია შემდეგი სახის სარგებელი:

- ქვეყნის ენერგოუზრუნველყოფის სისტემის განვითარება; ენერჯის მიწოდების საიმედოობის გაზრდა;
- ენერჯის ადგილობრივი წარმოების გაზრდა და იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება; ენერგოუსაფრთხოების და ენერგოდამოუკიდებლობის ზრდაში წვლილის შეტანა;
- ენერჯის განახლებადი წყაროების განვითარება, ენერჯის წყაროების დივერსიფიკაცია;
- ნახშირბადის გამონაბოლქვის შემცირება;
- ადგილობრივი კონტრაქტორების მონაწილეობა ქარის ელექტროსადგურის მშენებლობაში;
- ქარის ელექტროსადგურის ექსპლუატაციის დროს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება;
- ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

2.2 პროექტის ადგილმდებარეობა

რუისის ქვის პროექტის ტერიტორია განლაგებულია ქარელის და გორის რაიონებში, შიდა ქართლის რეგიონში, რომელიც მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში შიდა ქართლის ველზე, თბილისიდან დასავლეთით 100 კმ მანძილზე. საპროექტო ტერიტორიის ფართობი შეადგენს დაახლოებით 13000 ჰექტარს და განთავსებულია 45 კმ-ზე მეტი პერიმეტრის შიგნით, სოფლებს რუისი-ბებნისი-სალოლაშენი-ბრეთი-ძლევიჯვარი-საქაშეთი-არაშენდას შორის.

2.3 პროექტის აღწერა

2.3.1 ობიექტები

პროექტი ითვალისწინებს კონკრეტული განლაგებით შეთავაზებულ უბანზე 46 ქარის ტურბინა-გენერატორის დაყენებას, რათა ეფექტურად მოხდეს გაბატონებული ქარის გამოყენება.

ძირითადი ობიექტებია:

- 46 ქარის ტურბინა-გენერატორი
- ქვესადგური
- ტურბინა-გენერატორების ქვესადგურთან დამაკავშირებელი მიწისქვეშა კაბელების ქსელი
- შიდა მისასვლელი გზები
- ეროვნულ ქსელთან დამაკავშირებელი გადამცემი ხაზი

სამშენებლო სამუშაოების განმავლობაში მოეწყობა შემდეგი დამხმარე ობიექტები:

- საამწოპო პარკები
- ობიექტის დროებითი ბანაკი და დასაწყობების ადგილი
- სამშენებლო ბანაკი

რუისის ქვესადგური წარმოადგენს ქარის ელექტროსადგურის, ქსელთან მიერთების წერტილს, შიდა ელექტროსადგურის კვანძის და ობიექტის მართვის და კავშირგაბმულობის ცენტრს. ქვესადგურის განთავსების ადგილი მდებარეობს სოფელ რუისის დასავლეთით არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე. ქვესადგურის განლაგება გულისხმობს ქვესადგურიდან „ხაშური 220“ ქვესადგურამდე „გორი 220“ არსებული 220 კვ ხაზის მარშრუტის მოდიფიკაციას. გადამცემი ხაზი გაიჭრება და დაგრძელდება 2,1 კმ ჩრდილოეთით ქვესადგურისკენ, და გაივლის 220 კვ უჯრედს ქვესადგურში. ამრიგად, რუისის ქვესადგურის ნაწილი (220 კვ სექცია) იფუნქციონირებს, როგორც საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის (გადამცემი სისტემის ოპერატორი) - სსე სისტემის ტექნოლოგიური ნაწილი, ამავდროულად ქარის ელექტროსადგურის მიერთების წერტილი.

და ამაღლებული განლაგების გამო ქარის ელექტროსადგური გადმოჰყურებს ახლომდებარე E60 გზატკეცილს. თუმცა, ქარის ტურბინების მიკროგანლაგებისას გამოყენებული იქნება რელიეფის თავისებურებები, რაც დატოვებს დიდ მანძილებს ქარის ტურბინებს შორის და მოახდენს ტურბინების ჯგუფების განაწილებას სივრცეში კლასტერების სახით.

საზოგადოდ, საპროექტო ტერიტორია თითქმის თავისუფალია რაიმე სახის დიდი ზომის მცენარეებისგან. ერთადერთი შესამჩნევი ხელოვნური ფიჭვნარის სეგმენტი განლაგებულია ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, E60 გზატკეცილის გვერდით. ტერიტორია ძირითადად შედგება დიდი ზომის საძოვრების და მინდვრების თავისუფალი სივრცეებისგან, რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფილია მინდვრების შემოღობვით, არხებით და გრუნტის გზებით. საპროექტო ტერიტორიას გააჩნია შემზღუდავი პირობები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ქარის ტურბინების განლაგებაზე. ხმაურის გავრცელებისა და შუქჩრდილების ციმციმის თვალსაზრისით ყველაზე მეტად გასათვალისწინებელია სოფლების რუსის, ბრეთის, ძლევიჯვრის და საქაშეთის სიახლოვე.

უშუალოდ E60 მაგისტრალზე მდებარეობს ოთხი მისასვლელი წერტილი.


2.3.3 პროექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში გაშვების მოთხოვნები

მშენებლობა და ექსპლუატაციაში გაშვება იქნება საინჟინრო, შესყიდვების და სამშენებლო კონტრაქტორის სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა.

წინასწარი მონტაჟის მეთოდი გამოიყენება დიდი ქარის ტურბინების შემთხვევაში. ის გულისხმობს კომპონენტების გადმოტვირთვას და ანძის ქვედა სექციების აწყობას მცირე ზომის ამწეების გამოყენებით, ისე, რომ მოხდეს მთავარი ამწის მუშაობის დროის ოპტიმიზაცია და ამ სამუშაოების ღირებულების შემცირება.

ტურბინის საყრდენი ფილა არის გამზადებული ადგილი, რაზეც აიგება ქარის ტურბინის საძირკველი. ის ასრულებს მყარი საყრდენის როლს ქარის ტურბინის კოშკის წონისთვის და დამონტაჟების პროცესის გასაიოლებლად. სამონტაჟო მოედანი და ტურბინის საძირკველი არის ორი ცალკეული არე ქარის ელექტროსადგურის პროექტის ფარგლებში. სამონტაჟო მოედანი არის დროებითი სამუშაო ადგილი, სადაც ტურბინის კომპონენტები იკრიბება დამონტაჟებამდე, ხოლო ტურბინის საძირკვლის ბაქანი არის კონკრეტული ადგილი, სადაც იგება საძირკველი. მშენებლობის პროცესში ტურბინის კომპონენტების სამონტაჟო მოედანზე აწყობის შემდეგ კომპონენტების ასაწევად და დასამონტაჟებლად ტურბინის საძირკველთან მიიყვანენ მთავარ ამწეს. შემდეგ მთავარ ამწეს აღმართავენ და გამოიყენებენ ასაწყობი კომპონენტების საძირკველზე აღსამართად, რითაც დასრულდება ქარის ტურბინის მონტაჟი. მთავარი ამწე მიჰყავთ ბაქანზე, რათა დაამონტაჟოს ტურბინის ასაწყობი კომპონენტები ზედ საძირკველზე.

მოცემული პროექტის მიხედვით საკმარისი ადგილი გამოიყო თითოეული სამონტაჟო მოედნისთვის, რომ მოხდეს კომპონენტების მიტანა უშუალოდ ქარის ტურბინის განლაგების ადგილთან. მაშასადამე, შუალედური სასაწყობო მოედნის მოწყობის საჭიროება არ დადგება. ამის მიუხედავად, ტოპოგრაფიულ გეგმაზე მითითებულია ობიექტის ტერიტორიის ადგილი სატრანსფორმატორო ქვესადგურის მახლობლად 2 მთავარი ამწის განსათავსებლად. საჭიროა ტიპური დროებითი ბანაკის (ბანაკების) მოწყობა, რომლებსაც მემონტაჟე პერსონალი გამოიყენებს საყოფაცხოვრებო დანიშნულებით და ნარჩენების მართვისთვის.



სურათი 2-2 პროექტის განლაგება

რუსის ქვის მშენებლობაზე უშუალოდ 200 ადამიანი დასაქმდება. ეს იქნება საპროექტო კომპანიის, საინჟინრო, შესყიდვების და სამშენებლო კონტრაქტორისა და ქვეკონტრაქტორის ერთობლიობა, რომლის დაახლოებით 60% დაკომპლექტდება ადგილობრივი კადრებით. პროექტისთვის პერსონალის შერჩევა გამოცხადდება ადგილობრივ დონეზე და უპირატესობა მიენიჭება იმ მოქალაქეებს, რომლებიც დააკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ამ ეტაპზე, არც საინჟინრო, შესყიდვების და მშენებლობის კონტრაქტორისა და არც ქვეკონტრაქტორის თანამშრომლების განსახლების ზუსტი ადგილმდებარეობა არ არის დადასტურებული. თუმცა, ვინაიდან სამუშაო ძალის დიდი ნაწილის დაქირავება იგეგმება ადგილობრივი თემიდან, ამ მუშაკებს არ დასჭირდებათ საცხოვრებლის გამოყოფა. ამასთანავე გარეშე ან უცხოელი მუშახელისთვის განთავსების ზონა შემოთავაზებულია და ნაჩვენებია რუკაზე. ობიექტზე მოეწობა ამ რაიონის ამინდზე მორგებული დროებითი ბანაკი სათადარიგო განსახლებისთვის. ბსგზმ-ში მითითებულია, რომ მუშათა ყველა განსახლებისთვის/ბანაკისთვის საჭირო საშუალებები და სტანდარტები უზრუნველყოფილია სსკ/ერგბ-ის დოკუმენტის „მუშათა საცხოვრებლები: პროცესები და სტანდარტები“ (2009 წ.) შესაბამისად.

2.4 პროექტის საექსპლუატაციო მოთხოვნები

ქვის ექსპლუატაციას და ტექნიკურ მომსახურებას განახორციელებს სს „ვინდ ფაურ“. რუსის ქვის ფუნქციონირების მონიტორინგი და კონტროლი განხორციელდება დისტანციურად. ოპერაციული აქტივობები შეიზღუდება შემდეგნაირად:

- მოწყობილობების ყოველდღიური ექსპლუატაცია ენერჯის გამომუშავებისთვის;
- სარემონტო სამუშაოები (ელექტრომექანიკური აღჭურვილობის რემონტი და მოვლა-პატრონობა) სისტემაში ენერჯის გამომუშავებისა და მუშაობის ვადის ოპტიმიზაციის მიზნით;
- დისტანციურად გააქტიურებული ტურბინის გათიშვა ქარის გადაჭარბებული სიჩქარის დროს ან კონკრეტული ტურბინებისთვის ციმციმის მოდელირებით განსაზღვრული რეჟიმისა და პირობების მიხედვით;
- ფრინველებთან და ღამურებთან დაკავშირებით სამუშაოების მონიტორინგი და მართვა, როგორც ეს განსაზღვრულია ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და მართვის გეგმებში. გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმაში საჭიროა მონიტორინგის გეგმების შემუშავება.

ამ ეტაპზე ნავარაუდევია, რომ ქარის ელექტროსადგურის ექსპლუატაციისა და ტექნიკური სამუშაოების შესასრულებლად დასაქმებული იქნება დაახლოებით 10-15 თანამშრომელი.

არაა მოსალოდნელი სამსახურებრივი საცხოვრებლის გამოყოფა, ამრიგად პერსონალს თავად მოეთხოვება საცხოვრებლის მოწყობა.

2.5 ადგილობრივი სოციალური კონტექსტი და სენსიტიურობა

2.5.1 პროექტის ზემოქმედების ზონა და სენსიტიურობა

რუსის ქვის პროექტის ტერიტორია განლაგებულია ქარელის და გორი რაიონებში, შიდა ქართლის რეგიონში, რომელიც მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში შიდა ქართლის ველზე,

თბილისიდან დასავლეთით 100 კმ მანძილზე. საპროექტო ტერიტორიის ფართობი შეადგენს დაახლოებით 13000 ჰექტარს და განთავსებულია 45 კმ-ზე მეტი პერიმეტრის შიგნით, სოფლებს რუისი-ბებნისი-სალოლაშენი-ბრეთი-ძლევიჯვარი-საქაშეთი-არაშენდას შორის.

წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს 206 მეგავატი სიმძლავრის რუისის ქარის ელექტროსადგურის (რუისი ქესი) მშენებლობას და ექსპლუატაციას საქართველოს შიდა ქართლის რეგიონში, ქარელისა და გორის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. პროექტის განვითარებისთვის საჭირო მიწის ნაკვეთები ეკუთვნის ქარელის მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებს - რუისს, ურბნისს, სასირეთს, ბრეთს და გორის მუნიციპალიტეტის სოფლებს - საქაშეთსა და შინდისს.

თუმცა პოტენციური ზემოქმედების ზონები (ციმციმი, ხმაური, ტრანსპორტის გადაადგილება და ა.შ.) უფრო ფართოა და მოიცავს ტერიტორიებს, რომლებიც მიეკუთვნება შიდა ქართლის – გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტების დასახლებულ უბნებს:

- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლები: რუისი, ურბნისი, სალოლაშენი, ძლევიჯვარი, ბებნისი, ბრეთი, ბრეთის მეურნეობა, დირბი, სასირეთი;
- გორის მუნიციპალიტეტის სოფლები: საქაშეთი, საქაშეთის დევნილთა დასახლება, ვარიანის მეურნეობა, არაშენდა, შინდისი.

ყველა ამ სოფლის მცხოვრები მოიაზრება მნიშვნელოვან დაინტერესებულ მხარედ.

რეცეპტორების, ადგილობრივი სენსიტიურობის, მიწით მოსარგებლებისა და ობიექტის საბაზისო დეტალები აღწერილია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ბგზშ) ანგარიშში პროექტისთვის და არატექნიკურ რეზიუმეში (ატრ). მიწის გამოყენებასთან დაკავშირებული ზემოქმედება (ფიზიკური და ეკონომიკური ადგილმონაცვლეობა) და დისკომფორტი (ხმაური, შუქრდილების ციმციმი, ვიზუალური ზემოქმედება, მტვრის გაფრქვევა) მიღებულია პროექტთან დაკავშირებულ ძირითად პოტენციურ ზემოქმედებად, ხოლო საცხოვრებელი უბნები განიხილება, როგორც მთავარი მგრძნობიარე ელემენტები პროექტის ზონაში. ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს საცხოვრებელ ადგილებთან და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებთან რუისის ქვის ტურბინების და ქვესადგურის სიახლოვეს, მოცემულია დანართში 1.

2.5.2 მიწათსარგებლობა და პირობები ობიექტზე

პროექტი ხორციელდება ტერიტორიაზე, რომელიც შედარებით მოშორებულია საცხოვრებელ უბნებს და შეეხება კერძო სასოფლო-სამეურნეო მიწებს (ერთწლიანი კულტურის ნათესებს და ბაღებს) და სახელმწიფო მიწებს, მაგრამ არა საკარმიდამო მიწის ნაკვეთებს. პროექტი არ ითვალისწინებს მოსახლეობის გამოსახლებას საცხოვრებელი ადგილიდან.

სოციალური ზემოქმედება ძირითადად გამოიხატება სასოფლო-სამეურნეო მიწის კარგვასა და ეკონომიკური ხასიათის ზემოქმედებაში. კერძო მიწების ფართობის უმეტესი ნაწილი (40 %-მდე) გამოიყენება მარცვლოვანი კულტურების მოსაყვანად, 30%-მდე - სხვადასხვა სახის ბოსტნეულის, ხოლო დანარჩენი (30%-მდე) ეკუთვნის ხეხილის ბაღებს. სახელმწიფო მიწის მცირე ნაწილი წარმოადგენს არაფორმალურ სამოვრებს. არცერთი დაცული ტერიტორია არ ხვდება პროექტის ზემოქმედების ზონაში.

ზემოქმედების მასშტაბი ზუსტდება. ტურბინების დღევანდელი კონფიგურაციით (46 ტურბინა) და მათთვის შერჩეული უბნების გათვალისწინებით, საჭირო იქნება დაახლოებით 165 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის დაკავება, რომელთაგან უმრავლესობა (152) კერძო ნაკვეთია. გარდა ამისა, უნდა მოხდეს გზების გასაფართოებლად და შემაერთებელი კაბელების გასაყვანად საჭირო მიწის ნაკვეთების შეძენა.

ზემოქმედების ქვეშ მოქცეული კერძო ნაკვეთების რაოდენობა შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს ტურბინების განლაგების მცირედი კორექტირებით (საბოლოო დეტალები) როდესაც ანმა განლაგებული არის რამდენიმე ნაკვეთზე, მისმა სულ რამდენიმე მეტრით გადაწევამ შეიძლება გამოიწვიოს ნაკვეთების რაოდენობის შემცირება (2 ან 3 ნაკვეთის ნაცვლად შესაძლებელია, რომ ტურბინის ანმა მხოლოდ ერთი ნაკვეთის ფარგლებში მოექცეს). ამგვარი მიკროკორექტირების სამუშაოები ამჟამად მიმდინარეობს და გზმ-ს ეტაპზე, სავარაუდოდ, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ნაკვეთების და დაზარალებული ოჯახების რაოდენობა მნიშვნელოვნად ნაკლები იქნება.


ზემოქმედების ქვეშ მყოფი კერძო ნაკვეთების რაოდენობის შემცირება ასევე ხელს შეუწყობს ტურბინების მთლიანი რაოდენობის შემცირებას. მოსალოდნელია, რომ დეტალური პროექტირების ეტაპზე, საბოლოო კონფიგურაციაში დარჩეს 46-ზე ნაკლები ტურბინა (სავარაუდოდ 33-დან 46-მდე).

წინასწარი შეფასებით, სულ 165 მიწის ნაკვეთის შეძენა საჭირო ქარის ტურბინა-გენერატორების განსათავსებლად. აქედან 152 არის კერძო ნაკვეთი (138 რეგისტრირებული, 8 ჯერ კიდევ რეგისტრაციის პროცესში და კიდევ 6 დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთი კომერციული კომპანიების საკუთრებაშია). ზოგიერთი ოჯახი ფლობს რამდენიმე მიწის ნაკვეთს და ბევრი ნაკვეთი არის რამდენიმე პუქმ პირის თანამფლობელობაში. მთლიანობაში 234 ოჯახი და 3 კომპანია ექცევა ზემოქმედების ქვეშ. ამ მიწის ნაკვეთების უმეტესობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა (148). მათგან ორ ნაკვეთს აქვს სამოსახლოს სტატუსი, თუმცა გამოიყენება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისთვის. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ორი მიწის ნაკვეთი არის არასასოფლო-სამეურნეო კატეგორიის.

არც ერთი საცხოვრებელი ან სხვა სახლი და შენობა არ ზარალდება და არც პუქმ ოჯახების ფიზიკური გადაადგილება იგეგმება. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ერთადერთი ნაგებობაა (ღობების გარდა) ერთი მიწის ნაკვეთზე განთავსებულია 267 მ² ფართის მქონე არასაცხოვრებელი დამხმარე შენობა და ჭა.

ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთების უმეტესობა კერძო შინამეურნეობების საკუთრებაშია (234 დმ). თუმცა ზოგიერთი ნაკვეთი მსხვილ სასოფლო-სამეურნეო კომპანიებს ეკუთვნის, რომლებიც შედის დაინტერესებული მხარეების (ბიზნესის) სპეციფიკურ კატეგორიაში.

დანართში 2 მოცემული ცხრილი წარმოადგენს პროექტის ტერიტორიის ფარგლებში ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთების წინასწარ შეჯამებას.



სურათი 2-3 მიწათსარგებლობის რუკა

3 ნორმები და მოთხოვნები

პროექტის ფარგლებში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა განხორციელდება შემდეგი მოთხოვნების შესაბამისად:

- საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნები;
- ერგბ-ის 2019 წლის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკით განსაზღვრული პრინციპები და პროცედურები.

3.1 ეროვნული მოთხოვნები

საქართველოს კონსტიტუცია (1995 წ.) უზრუნველყოფს მოსახლეობისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და ითვალისწინებს ადამიანის უფლებას დროულად მიიღოს სრული და მიუკერძოებელი ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს შესახებ. პროექტის შემუშავების კონტექსტში, საქართველოს კანონმდებლობა ზუსტად არეგულირებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის თავისუფლებას.

2000 წლის 11 აპრილს საქართველომ მოახდინა ორჰუსის კონვენციის რატიფიცირება. გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) აღნიშნული კონვენცია ეხება და არეგულირებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, საზოგადოების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღებასა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას გარემოსდაცვით საკითხებში. აღნიშნული კონვენცია

გადაწყვეტილება გზმ-ისგან გათავისუფლების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საინფორმაციო დაფებზე 5 დღის ვადაში უნდა განთავსდეს.

საზოგადოებისთვის დაწესებულია კონკრეტული ვადები მისი მოსაზრებების და შენიშვნების წარდგენისთვის: ეს არის 7 დღე სკრინინგის, 15 დღე სკოპინგის და 40 დღე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების ეტაპთან დაკავშირებით. საზოგადოების წევრებმა სამინისტროს უნდა წარუდგინონ თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები სკოპინგის/გზმ ანგარიშის, დაგეგმილი აქტივობისა და გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაში შესატანი პირობების შესახებ საჯარო განხილვის პროცესში ელექტრონული ფოსტით, საფოსტო განყოფილების მეშვეობით ან სიტყვიერად. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისას ან საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემისას სამინისტრო უზრუნველყოფს საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების განხილვას და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ითვალისწინებს მათ.

საჯარო განხილვები უნდა მოეწყოს მხოლოდ სკოპინგისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების დადგენის ეტაპებზე. სკოპინგის ეტაპისთვის საჯარო განხილვა უნდა მოეწყოს განცხადების გამოქვეყნებიდან არაუადრეს 10 დღისა და არაუგვიანეს 15 დღისა. ამასთან, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვის ჩატარებამდე არაუგვიანეს 10 დღისა. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გამოცემის ეტაპზე საჯარო განხილვა უნდა მოეწყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან არაუადრეს 25 დღისა და არაუგვიანეს 30 დღისა. საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვის ჩატარებამდე არაუგვიანეს 20 დღისა.

საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- განსახილველი საკითხის არსი და მოკლე აღწერა, საკითხის განხილვის ფორმატი;
- საჯარო განხილვის ჩატარების დროის, ადგილისა და წესის შესახებ;
- იმ ვებგვერდის მისამართი, რომელზედაც ხელმისაწვდომია ეს განცხადება, გზმ-ის ანგარიში და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, აგრეთვე მითითება საჯარო განხილვის დროს აღნიშნული დოკუმენტების ნაბეჭდი ეგზემპლარების მიღების შესაძლებლობის შესახებ.

კოდექსის მე-9 და მე-12 მუხლის თანახმად, საჯარო განხილვის შესახებ ოქმს ადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი, რათა მასში აისახოს ყველა დასმული შეკითხვა, კომენტარი და პროექტის წარმდგენის მიერ პასუხად მიწოდებული ახსნა-განმარტებები. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი შესწორებები უნდა შევიდეს ბსგზმ-ს ძირითად ტექსტში. თუ დაინტერესებული მხარეების შენიშვნები და წინადადებები არ მიიღება, უნდა მიეცეთ შესაბამისი განმარტებები.

გზმ-ის კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესის თანახმად, განცხადების გამოქვეყნებიდან არაუადრეს 25 დღისა და არაუგვიანეს 30 დღისა სამინისტრო ახორციელებს გზმ ანგარიშის საჯარო განხილვას. საჯარო განხილვის ორგანიზებისა და ჩატარებისთვის პასუხისმგებელია სამინისტრო. საჯარო განხილვის პროცესს წარმართავს სამინისტრო და საჯარო განხილვის შესახებ ოქმს ადგენს სამინისტროს წარმომადგენელი. ოქმის სიზუსტეზე პასუხისმგებელია სამინისტრო. საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება საჯარო განხილვის ჩატარებამდე არაუგვიანეს 20 დღისა, ამ კოდექსის 32-ე მუხლის შესაბამისად. საჯარო განხილვა ტარდება დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე

სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს შენობა-ნაგებობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე. თუ დაგეგმილია საქმიანობის თვითმმართველი თემის ადმინისტრაციულ საზღვრებში განხორციელება, საჯარო განხილვა ტარდება დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს შენობა-ნაგებობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხოლო თუ დაგეგმილია საქმიანობის თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში განხორციელება, საჯარო განხილვა ტარდება სამინისტროს მიერ განსაზღვრული სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს შენობა-ნაგებობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია უნდა განთავსდეს:

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ოფიციალურ ვებგვერდზე და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ საინფორმაციო დაფაზე;
- გაზეთში, რომელიც შესაძლო ზემოქმედებისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ფართოდ არის გავრცელებული და ხელმისაწვდომია დაინტერესებული საზოგადოების უმრავლესობისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და ვებგვერდზე, აგრეთვე ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილას (ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სავაჭრო ცენტრი, საფოსტო განყოფილება ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი);
- გზმ-სადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების უახლოეს საჯარო ადგილას.

საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ცნობა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას:

- დაგეგმილი საქმიანობის მიზნის, დასახელებისა და ადგილმდებარეობის შესახებ;
- გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობის საშუალებების შესახებ, აგრეთვე მონაცემებს იმ ადგილისა და მისამართის შესახებ, სადაც შესაძლებელია აღნიშნული დოკუმენტაციის გაცნობა;
- საჯარო განხილვაში მონაწილეობის და მასზე მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობის შესახებ;
- მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადის შესახებ;
- საჯარო განხილვის ჩატარების ადგილისა და დროის შესახებ.

სკოპინგის ეტაპზე საჯარო კონსულტაციის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება საჯარო განხილვის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 დღისა, ხოლო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გამოცემის ეტაპზე შეტყობინება უნდა დაიდოს 20 დღით ადრე.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უზრუნველყოფს საჯარო კონსულტაციების ოქმის მომზადებას შედეგების რეგისტრირებისთვის.

ეროვნული კანონმდებლობა არ მოითხოვს არც დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მომზადებას და არც საჩივრების მექანიზმის შექმნას.

3.2 კრედიტორების მოთხოვნები

3.2.1 ერგბ

ერგბ-ის მიერ დაფინანსებული ყველა პროექტი ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ დააკმაყოფილოს ერგბ-ის 2019 წლის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის მოთხოვნები, რომლებიც მოიცავს გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის ძირითადი სფეროებისთვის შესრულების ათ მოთხოვნას (PR), რომლის დაკმაყოფილება სავალდებულოა პროექტებისთვის, მათ შორისაა PR10: ინფორმაციის გამჟღავნება და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. გარდა ამისა, ერგბ-ის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM), როგორც ბოლო ინსტანციის დამოუკიდებელი საშუალება, მიზნად ისახავს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ ერგბ-ის დაფინანსებულ პროექტებთან დაკავშირებით წამოჭრილი სოციალური, გარემოსდაცვითი და გასაჯაროების საკითხების გადაჭრის ხელის შეწყობას პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის ან იმის დადგენას, ასრულებს თუ არა ბანკი თავის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის პროექტის სპეციფიკურ პირობებს; და სადაც ეს შესაძლებელია, აღმოფხვრას ამ პოლიტიკასთან ნებისმიერი არსებული შეუსაბამობა, ბანკის მიერ სამომავლო შეუსრულებლობის თავიდან აცილებით.

ერგბ-ის 2019 წლის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა (ESP 2019) განსაზღვრავს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას, როგორც უწყვეტ პროცესს, რომელიც მოიცავს შემდეგ ელემენტებს: (i) **დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და ანალიზი**; (ii) **დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დაგეგმვა**; (iii) **ინფორმაციის გასაჯაროება**; (iv) **შინაარსიანი კონსულტაციები** და მონაწილეობა, რაც იწვევს კლიენტის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეების შეხედულებების შეტანას მათზე მოქმედ საკითხებზე; (v) **გასაჩივრების ეფექტური პროცედურა ან მექანიზმი**, და (vi) **შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა მიმართ მიმდინარე ანგარიშგება**. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროცესი უნდა დაიწყოს პროექტის დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე და გრძელდებოდეს პროექტის მთელი ციკლის განმავლობაში.

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროცესში მნიშვნელოვანი და ეფექტური საკონსულტაციო პროცესის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი ელემენტია ყველა დაინტერესებული მხარის საგულდაგულო იდენტიფიცირება და მათი პრობლემების, მოლოდინებისა და პრეფერენციების შესწავლა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოწყვლადი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებას. ამ დაინტერესებულ ჯგუფებთან ჩართულობის დაგეგმვა და მართვა განსაკუთრებული მონდომებით უნდა მოხდეს.

გარდა ამისა, ერგბ მოითხოვს, რომ პროექტის ინიციატორმა დააწესოს და შეინარჩუნოს გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარის ნებისმიერი საჩივრის სწრაფად და დროულად მიღებას, აღრიცხვას, განხილვას და ეფექტურად გადაწყვეტას.

წინამდებარე დმზგ შემუშავებულია ამ მოთხოვნების შესაბამისად და გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის (2019 წ.) მიხედვით პროექტი A კატეგორიას მიეკუთვნება, რაც მოითხოვს ფორმალიზებულ და ერთობლივ ბსგზმ პროცესს.

ერგბ-ს შესრულების მოთხოვნა 10 (PR10) „აღიარებს კლიენტს, მის თანამშრომლებს, ადგილობრივ თემებს, პროექტის პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანებს და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის ღია და გამჭვირვალე ჩართულობის მნიშვნელობას, როგორც მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის და კორპორაციული მოქალაქეობის ძირითად ელემენტს“. ასეთი ჩართულობა მოიცავს შემდეგ ძირითად ელემენტებს:

- დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებას და ანალიზს;
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის დაგეგმვას;
- ინფორმაციის გამჟღავნებას;
- კონსულტაციებსა და ჩართულობას;
- საჩივრების განხილვის მექანიზმს; და
- შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა წინაშე მუდმივ ანგარიშგებას.

მოწყვლადი ჯგუფების მიმართებით, PR10 ნათქვამია: „კლიენტი განახორციელებს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი იმ მხარეების (პირების ან ჯგუფების) იდენტიფიცირებას, რომლებიც კონკრეტული გარემოებების გამო შეიძლება იყვნენ დაუცველები ან მოწყვლადები“. გარდა ამისა, კლიენტს მოეთხოვება „მხარი დაუჭიროს აქტიურ და ინკლუზიურ თანამშრომლობას პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ მხარეებთან, მათ შორის დაუცველ ან მოწყვლად ჯგუფებთან“.

3.2.2 ევროპული ნორმები საჯარო კონსულტაციების შესახებ

2003 წლის 28 იანვრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/4/EC დირექტივით საზოგადოების გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესახებ განისაზღვრება ინფორმაცია, რომელიც უნდა იყოს ხელმისაწვდომი და გავრცელებადი და მოიცავს მინიმუმ:

- (ვ) ნებართვას, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე, აგრეთვე გარემოსდაცვითი შეთანხმებები ან მითითება ადგილისა, სადაც შეიძლება მოხდეს მსგავსი ინფორმაციის მოთხოვნა ან მოძიება მე-3 მუხლის ფარგლებში;
- (ზ) გარემოზე ზემოქმედების შესწავლას და რისკის შეფასებას მე-2(1)(ა) მუხლში ნახსენები გარემოსდაცვითი ელემენტების შესახებ ან მითითებას ადგილისა, სადაც შეიძლება მოხდეს მსგავსი ინფორმაციის მოთხოვნა ან მოძიება მე-3 მუხლის ფარგლებში.

დაბინძურების თავიდან აცილებისა და კონტროლის ინტეგრირებული მეთოდის შესახებ საბჭოს 1996 წლის 24 სექტემბრის დირექტივა 96/61/EC უფრო აკონკრეტებს ამ საკითხს (მუხლი 15 ეხება ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და საზოგადოების მონაწილეობას ნებართვის აღების პროცედურაში):

1. გარემოს თაობაზე ინფორმაციაზე წვდომის თავისუფლების შესახებ საბჭოს 1990 წლის 7 ივნისის დირექტივის 90/313/EEC (14) დებულებების ზიანის მიუყენებლად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა განაცხადები ახალ ნაგებობებზე ნებართვის ან არსებითი ცვლილებების შესახებ ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებისთვის სათანადო დროის განმავლობაში, რათა მას შეეძლოს კომენტარი გააკეთოს მათზე კომპეტენტური ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. ეს

გადაწყვეტილება, მინიმუმ ნებართვის ასლის და ნებისმიერი შემდგომი განახლების ჩათვლით, ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვის.

2. მე-9 მუხლში მითითებული სანებართვო პირობების შესაბამისად, კომპეტენტური ორგანოს მიერ ჩატარებული გაფრქვევების მონიტორინგის შედეგები ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვის.
3. ძირითადი ემისიებისა და პასუხისმგებელი წყაროების მიერ ჩატარებული ინვენტარიზაცია გამოქვეყნდება კომისიის მიერ სამ წელიწადში ერთხელ წევრი სახელმწიფოების მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე. კომისია ადგენს ინფორმაციის გადაცემისთვის საჭირო ფორმატს და დეტალებს მე-19 მუხლით დადგენილი პროცედურის შესაბამისად.
ამავე პროცედურის შესაბამისად, კომისიას შეუძლია შესთავაზოს ზომები, რათა უზრუნველყოს პირველ ქვეპუნქტში მითითებული ემისიების ინვენტარიზაციის, ასევე სხვა რეესტრებიდან და ემისიების შესახებ ჩანაწერთა მონაცემების ურთიერთშეჯერება და ურთიერთშეჯერება.
4. 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტები გამოიყენება 90/313/EEC დირექტივის მე-3 (2) და (3) მუხლით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

საქართველოს კანონმდებლობა ზოგადად შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომების შესახებ 2003/4/EC დირექტივით რეგულირებულ საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ, სახელმწიფო ორგანოების მიერ გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კანონმდებლობა და დადგენილი პროცედურები შეესაბამება ევროკავშირის შესაბამისი დირექტივის მოთხოვნებს. საქართველოს სამართლებრივ სისტემაში დადგენილი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ვადებსა და ფორმატთან დაკავშირებით შეესაბამება ევროკავშირის 2003/4/EC დირექტივას, ასევე საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე უარის თქმის კრიტერიუმებს.

რაც შეეხება შეუსაბამობებს, პრობლემატური საკითხია მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა განმცხადებლისთვის არასაკმარისი ინფორმაციის გაცემის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს, რომ საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის არაადეკვატური გაცემის შემთხვევაში განმცხადებელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს, არის დეტალები, რომლებიც დაზუსტებას საჭიროებს. გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 2003/4/EC დირექტივასთან დაახლოების მიზნით, მიზანშეწონილი იქნება საჯარო დაწესებულებების პოტენციალის ზრდის, ინფორმაციის გადაცემის პროცედურებისა და პრაქტიკის ხელშეწყობა.

ორჰუსის კონვენცია

2000 წლის აპრილში საქართველომ მოახდინა ორჰუსის კონვენციის რატიფიცირება. გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) აღნიშნული კონვენცია ხელს უწყობს და არეგულირებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, საზოგადოების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარემოს დაცვის საკითხებში. იგი ადგენს, რომ მდგრადი განვითარება მიიღწევა მხოლოდ ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით. კონვენცია მოითხოვს, რომ გარემოს დაცვა იყოს მთავრობის ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და პასუხისმგებლობის ნაწილი. საზოგადოების ჩართულობა ხელს უწყობს პროექტების განვითარების გაუმჯობესებას და ერთობლივ მმართველობას.

1998 წლის 25 ივნისს ორჰუსში, დანიაში, მიღებულ „კონვენციას გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში

საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ ხელი მოაწერა ან რატიფიცირება მოახდინა ევროპის 40 ქვეყანამ. მასში ნათქვამია:

მუხლი 3 – ზოგადი დებულებები

თითოეული მხარე ხელს შეუწყობს საზოგადოების გარემოსდაცვით განათლებას და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას, განსაკუთრებით გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოპოვების გზების და გარემოსდაცვით სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესსა და სამართალწარმოებაში საზოგადოების მონაწილეობის საკითხებს.

მუხლი 6 – საზოგადოების მონაწილეობა საქმიანობათა გარკვეულ სფეროებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში

1. თითოეული მხარე:

- ა) I დანართში ჩამოთვლილი შემოთავაზებული საქმიანობის ნებართვაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამოიყენებს წინამდებარე მუხლის დებულებებს;
- ბ) საკუთარი ეროვნული კანონმდებლობის ჩარჩოებში აგრეთვე გამოიყენებს წინამდებარე თავის დებულებებს იმ შეთავაზებულ საქმიანობებში, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი I დანართში, თუმცა შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს გარემოზე; ამისათვის მხარეებმა უნდა განსაზღვრონ, რამდენად ეხება ასეთი სახის შეთავაზებული საქმიანობა წინამდებარე დებულებებს;
- გ) თუ ეს გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, არ გამოიყენოს ამ თავის დებულებები იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ეროვნულ თავდაცვას, თუ ეს მხარე მიიჩნევს, რომ ეს უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ამ მიზნებზე.

2. დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინების მეშვეობით (გარემოებათა გათვალისწინებით) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე. მათ შორისაა შემდეგი საკითხები:

- ა) შემოთავაზებული საქმიანობა და განაცხადი, რომელზეც იქნება მიღებული გადაწყვეტილება;
- ბ) შესაძლებელი გადაწყვეტილებების ხასიათი ან გადაწყვეტილების პროექტი;
- გ) ხელისუფლების ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია გადაწყვეტილების მიღებაზე;
- დ) გათვალისწინებული პროცედურა იმის ჩათვლით, თუ როდის და როგორ იქნება ეს ინფორმაცია მოწოდებული:
 - I) პროცედურის განხორციელების დაწყება;
 - II) საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობები;
 - III) ნებისმიერი წინასწარ დაგეგმილი სახალხო მოსმენის დრო და ადგილი;
 - IV) მითითება სახელისუფლებო ორგანოდან, საიდანაც სათანადო ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი და სადაც ეს ინფორმაცია იგზავნება საზოგადოებისათვის განსახილველად;
 - V) შესაბამისი სახელისუფლებო ორგანოს ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფო უწყების

მითითება, რომელსაც შესაძლებელია გაეზღვანოს შენიშვნები, კითხვები და მათი წარდგენის განრიგი;

VI) მითითება იმის შესახებ, თუ შემოთავაზებულ საქმიანობასთან დაკავშირებული რომელი გარემოსდაცვითი ინფორმაცია არის ხელმისაწვდომი; და

ე) ფაქტი, რომ საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეროვნულ თუ ტრანსსასაზღვრო პროცედურას.

3. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები სხვადასხვა ფაზისთვის ითვალისწინებს გონივრულ ვადებს, რითაც ზემოთ, მეორე პარაგრაფის შესაბამისად იძლევა საკმარის დროს საზოგადოების ინფორმირებისათვის და გარემოს დაცვის საკითხების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეფექტური მომზადებისა და მონაწილეობისათვის.

4. ყოველი მხარე უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობას ადრეულ ეტაპზე, როდესაც ყველა ვარიანტი ღიაა და საზოგადოებას აქვს მასში ეფექტური მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

5. ყოველი მხარე, სადაც ეს შესაძლებელია, ვალდებულია განაცხადის წარდგენამდე წახალისოს პოტენციური მონაწილეები, განსაზღვროს დაინტერესებული საზოგადოება, გამართოს მასთან მსჯელობა და განაცხადის წარდგენამდე მიაწოდოს მას ინფორმაცია მათი განაცხადების ამოცანებზე ნებართვის მიღების შესახებ.

6. ყოველი მხარე მოითხოვს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოსგან, მოთხოვნის შესაბამისად, თუკი ამას ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობა, მისცეს დაინტერესებულ საზოგადოებას საშუალება, როგორც კი ამის შესაძლებლობა გამოჩნდება, უფასოდ და დროულად შეამოწმოს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც გადაწყვეტილების მისაღებად იქნება საჭირო, რომელზეც ამ მუხლშია საუბარი და რომელიც საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის მომენტისათვის ხელმისაწვდომი იქნება მხარეების იმ უფლებების შელახვის გარეშე, რაც გულისხმობს გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნებაზე უარის თქმას (მეოთხე თავის მე-3 და მე-4 პარაგრაფების შესაბამისად). ასეთ ინფორმაციაში შევა მინიმუმ მეოთხე მუხლის ინფორმაცია ამ თავის პირობების დარღვევის გარეშე:

ა) სავარაუდო საქმიანობის ადგილის და ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლების აღწერილობა მოსალოდნელი ნარჩენებისა და გამონაბოლქვის შეფასების ჩათვლით;

ბ) იმ მნიშვნელოვანი გავლენის აღწერა, რომელსაც მოახდენს შემოთავაზებული საქმიანობა გარემოზე;

გ) იმ ღონისძიებების აღწერა, რომელიც გათვალისწინებულია შედეგების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად, გამონაბოლქვის ჩათვლით;

დ) ზემოაღნიშნულის არატექნიკური რეზიუმე;

ე) განმცხადებლის მიერ შესწავლილი ძირითადი ალტერნატივის მონახაზი;

ვ) ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, ის ძირითადი მოხსენებები და ინფორმაცია, რომელსაც გამოსცემს სახელმწიფო ორგანო იმ დროისათვის, როდესაც დაინტერესებულ საზოგადოებას ზემოთ მოცემული მეორე პარაგრაფის მიხედვით უნდა მიეწოდოს ინფორმაცია.

7. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები საშუალებას აძლევს საზოგადოებას, წერილობით ან, საჭიროებისამებრ, განმცხადებელთან საჯარო მოსმენაზე ან გამოკითხვაზე წარადგინოს ნებისმიერი კომენტარი, ინფორმაცია, ანალიზი ან მოსაზრება, რომელსაც იგი მიიჩნევს შემოთავაზებული საქმიანობის შესაფერისად.

8. ყოველი მხარე უზრუნველყოფს, რომ ჯეროვანი ყურადღება მიექცეს საზოგადოების მონაწილეობის შედეგებს.

9. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ სახელმწიფო ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას საზოგადოებას დაუყოვნებლივ ეცნობოს გადაწყვეტილების შესახებ შესაბამისი პროცედურების თანახმად. თითოეული მხარე საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომს გახდის გადაწყვეტილების ტექსტს იმ მიზეზებთან და მოსაზრებებთან ერთად, რომლებზეც დაფუძნებულია გადაწყვეტილება.

10. ყოველი მხარე ვალდებულია უზრუნველყოს, რომ თუ სახელმწიფო ორგანო ხელახლა განიხილავს ან დახვეწს სამოქმედო პირობებს პირველ პარაგრაფში მოცემული საქმიანობისათვის, მუხლის მე-2-დან მე-9 ჩათვლით დებულებები შესაბამისი ცვლილებებით გამოყენებული იქნება, როდესაც ეს მიზანშეწონილია.

11. ყოველი მხარე საკუთარი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის ჩარჩოებში შესაძლებლობის და მიზანშეწონილობის მიხედვით გამოიყენებს წინამდებარე მუხლის პირობებს გადაწყვეტილებების მიღებისას.

4 დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაცია და ანალიზი

4.1 დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაციის მეთოდი

იმისათვის, რომ ჩართულობა იყოს შინაარსიანი, აუცილებელია დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება, ჩართულობის მიმართ მათი მოთხოვნილებების და მოლოდინების, ხოლო პროექტთან მიმართებაში მათი პრიორიტეტების და მიზნების გაგება. ეს ინფორმაცია ხელს უწყობს ჩართულობის მორგებას დაინტერესებული მხარის თითოეულ ტიპზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირების ან ჯგუფების იდენტიფიცირება, ვისთვისაც უფრო რთულია კონსულტაციებში მონაწილეობა ან რომლებიც შეიძლება არაპროპორციულად დაზარალდნენ მათი სოციალურად იზოლირებული ან მოწყვლადი სტატუსის გამო. ასევე მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რა გავლენას იქონიებს თითოეულ დაინტერესებულ მხარეზე ან როგორ აღიქვამენ ამ ზემოქმედებას – რათა ჩართულობაზე მორგებულად მოხდეს მათი სათანადო ინფორმირებულობა.

რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტისთვის დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება მოხდა და მოხდება შემდეგნაირად:

- დაინტერესებული მხარეების ძირითადი კატეგორია, რომელზეც შეიძლება იმოქმედოს პროექტმა ან დაინტერესდეს პროექტით;
- თითოეული ამ კატეგორიის ფარგლებში კონკრეტული პირები ან ორგანიზაცია პროექტის გავლენის მოსალოდნელი არეალის და ასევე ზემოქმედების ხასიათის გათვალისწინებით.

ზემოქმედების ქვეშ მყოფი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებისთვის გამოყენებულია სისტემური მიდგომა. დაინტერესებული მხარეები იყოფა ორ კატეგორიად:

- ზემოქმედების ქვეშ მყოფი დაინტერესებული მხარეები (A) – ისინი, ვისზეც შეიძლება პოტენციურად იმოქმედოს პროექტის სხვადასხვა ტიპის პოტენციურმა ზემოქმედებამ.

- ზემოქმედების ქვეშ მყოფი დაინტერესებული მხარეები არიან ინდივიდები ან ადამიანთა ჯგუფი, რომლებზეც შეიძლება პოტენციურად იმოქმედოს პროექტის გარემო და სოციალურმა ზემოქმედებამ (როგორცაა მიწის წართმევა; ფიზიკური ან ეკონომიკური ადგილმონაცვლეობა; ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხები; შუქრდილების ციმციმი, ხმაური და სხვა დისკომფორტი და ა.შ.). პროექტის პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება შეფასებულია ბსგზმ-ში. მსგავს ზემოქმედებას შეუძლია პირდაპირ ან ირიბად გავლენა მოახდინოს პროექტის დაინტერესებულ მხარეებზე.
- დაინტერესებული მხარეები ინტერესთა საფუძველზე (I) – პროექტის ბენეფიციარები ადგილობრივი და ქვეყნის მასშტაბით, დაინტერესებული მხარეები, რომლებისთვისაც საყურადღებოა პროექტის მიერ დადგენილი ნებისმიერი პროცედურა, ეროვნული და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოების დაინტერესებული ნაწილი.
 - დაინტერესებული მხარეები ინტერესთა საფუძველზე არიან ჯგუფები ან ორგანიზაციები, რომლებზეც პროექტი უარყოფითად არ ზემოქმედებს, მაგრამ მათი ინტერესები განსაზღვრავს მათ ჩართულობას. გარდა ამისა, არსებობენ დაინტერესებული მხარეები ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორიის მიღმა, რომელთა იდენტიფიცირება შესაძლებელია „ინტერესზე დაფუძნებული“ ანალიზით. როგორც წესი, ესენი არიან სახელმწიფო ორგანოები, არასამთავრობო ორგანიზაციები, აგრეთვე ეროვნული, სოციალური და გარემოსდაცვითი საჯარო სექტორის სააგენტოები, რომელთა ინტერესის სფერო დაკავშირებულია პროექტთან, ან სადაც ასეთი ორგანიზაციები ახორციელებენ პროექტებს თემებთან ამ არეალში.
- გადაწყვეტილების მიმღები დაინტერესებული მხარეები (D) – ისინი, ვინც მონაწილეობს პროექტის შემუშავებასა და მის დაფინანსებაში. გარდა ამისა, აქ შედის მარეგულირებელი ორგანოები, როგორცაა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

4.2 გამოვლენილი დაინტერესებული მხარეები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია გამოვლენილი დაინტერესებული მხარეები კლასიფიკაციის (ზემოთ მოყვანილი) მიხედვით.

ცხრილი 4-1 საპროექტო ობიექტისთვის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ტაბულა

დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი	დაინტერესებული მხარე	პროექტთან დამოკიდებულება: ზემოქმედებაზე დაფუძნებული (A), ინტერესზე დაფუძნებული (I) ან გადაწყვეტილების მიმღები (D)
მიწის მფლობელები და მოსარგებლები	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის მესაკუთრეები და მოსარგებლები (ფორმალური და არაფორმალური) არიან ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლების – რუისის და ურბნისის, აგრეთვე გორის მუნიციპალიტეტის სოფლების – საქაშეთის, არაშენდასა და შინდისის მაცხოვრებლები.	A: დაზარალებული კერძო მიწის მესაკუთრეები. ფიზიკური ადგილმონაცვლეობა მოსალოდნელი არ არის. ეკონომიკური ადგილმონაცვლეობა (სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გამოყენება) დაახლოებით 120 ჰექტარში შინამეურნეობა შეიძლება მივაკუთვნოთ ამ კატეგორიას.
	დაზარალებული სასოფლო-სამეურნეო კომპანიები	A: 1 სასოფლო-სამეურნეო კომპანიის მიწებს შეეხება ეს პროექტი:

დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი	დაინტერესებული მხარე	პროექტთან დამოკიდებულება: ზემოქმედებაზე დაფუძნებული (A), ინტერესზე დაფუძნებული (I) ან გადაწყვეტილების მიმღები (D)
	<p>სამოვრების არაფორმალური მომხმარებლები. პროექტის ტერიტორიაზე ოფიციალურად სამოვრები არ არის. მთლიანობაში, პროექტის ზემოქმედების არეალში გამოვლინდა სამი ადგილობრივი ნაკვეთი, რომელიც ამჟამად გამოიყენება ადგილობრივების მიერ, როგორც არაფორმალური სამოვრები. ის განლაგებულია სოფლებში რუისსა და ურბნისში (ქარელის მუნიციპალიტეტი) ან მათ მახლობლად. აღნიშნული ნაკვეთების საკადასტრო ნომრებია: 68.15.45.000.130; 68.15.47.022.001 და 68.16.45.000.131</p> <p>მფლობელები სამოსახლო, თუმცა აუთვისებელი მიწისა, რომლის ღირებულება შემცირდება ხმაურის/ციმციმის ეფექტის გამო</p>	<p>შპს "აგრო - 1959"</p> <p>A: სოფლების რუისისა და ურბნისის მაცხოვრებლები. ტურბინებისთვის საჭირო და მიწის შესყიდვას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთები განლაგებულია არაფორმალურ სამოვრად გამოყენებული ტერიტორიის გარეთ.</p> <ul style="list-style-type: none"> - პროექტი არ ახდენს ზემოქმედებას სამოვრებზე - სამოვრად გამოყენებული ტერიტორიების გამოყენება არ არის გათვალისწინებული - პროექტით სამოვრებზე წვდომის შეზღუდვა არ არის გათვალისწინებული
ადგილობრივი თემები	<p>მცხოვრებნი ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლებისა: რუისი, ურბნისი, სასირეთი.</p> <p>მცხოვრებნი გორის მუნიციპალიტეტის სოფლებისა: საქაშეთი, არაშენდა, შინდისი.</p>	<p>A და I: ტურბინებთან და პროექტის ობიექტებთან განლაგებული უახლოესი თემები. ზოგიერთ ოჯახზე პოტენციური ზემოქმედება მოიცავს შუქრდილების ციმციმს, ხმაურს, ვიზუალურ ზემოქმედებას. მშენებლობის ეტაპზე შეიძლება პრობლემა იყოს მტერის გამონაბოლქვი და მოძრაობის უსაფრთხოება.</p>
ადგილობრივ თემებს შორის მოწყვლადი ჯგუფები	<p>პროექტის ზონაში მოწყვლადი ჯგუფები მოიცავს დევნილებს, დაბალშემოსავლიან ოჯახებს და ოჯახებს, რომლებსაც ქალი უძღვება, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, თემის ხანდაზმულ წევრებს.</p>	<p>A: გამოვლენილი ჯგუფია დევნილთა დასახლება საქაშეთში.</p> <p>პროექტმა შეიძლება არაპროპორციულად ასახოს მოწყვლად ჯგუფებზე ისეთი ზემოქმედება, როგორცაა მობილურობა, ხელმისაწვდომობა, გენდერული ნიშნით ძალადობა და შევიწროება, დაავადებების გავრცელება, შრომითი/ეკონომიკური ექსპლუატაცია და ა.შ.</p>
ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები	<p>ქარელის მუნიციპალიტეტი; გორის მუნიციპალიტეტი</p> <p>პოლიციამ და საგანგებო დახმარების სამსახურმა უნდა დაარეგულირონ საგზაო მოძრაობა მიწოდების დროს ან სერიოზული არეულობის შემთხვევაში.</p>	<p>D: საპროექტო ტერიტორია ამ მუნიციპალიტეტების იურისდიქციაშია.</p> <p>ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს წვლილი მიუძღვით ადგილობრივი განვითარების გეგმებში, მუნიციპალური მიწების მართვაში. მუნიციპალიტეტი მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარეა საპროექტო დოკუმენტაციის გამყარებისა და საჯარო კონსულტაციების მოწყობისას, ასევე უნდა იყოს საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმის მნიშვნელოვანი წევრი.</p>
სამთავრობო ორგანოები	<p>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p>	<p>D: მარეგულირებელი ორგანო (გარემოს მარეგულირებელი), რომელიც კურირებს ეკოლოგიურად მგრძობიარე და გარემოსდაცვით საკითხებს.</p>

დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი	დაინტერესებული მხარე	პროექტთან დამოკიდებულება: ზემოქმედებაზე დაფუძნებული (A), ინტერესზე დაფუძნებული (I) ან გადაწყვეტილების მიმღები (D)
	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	D: პროექტის განმახორციელებელი; არეგულირებს აგრეთვე მალარობისა და კარიერებზე ლიცენზიების გაცემას
	კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი და არქეოლოგიური კვლევის ცენტრი	D: მარეგულირებელი ორგანო, რომელიც ზედამხედველობას უწევს კულტურული მემკვიდრეობისა და არქეოლოგიური ძეგლების/ფუნქციების დაცვას.
	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	D: საზოგადოებრივი ჯანდაცვა
	სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	D: მარეგულირებელი ორგანოს ნაწილი, რომელიც ზედამხედველობს საჯარო კონსულტაციებისა და ჩართულობის პროცესს პროექტის შემუშავებისას
	გარემოს ეროვნული სააგენტო/გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	D: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მარეგულირებელი ორგანო, რომელიც უშუალოდ პასუხისმგებელია გარემოსდაცვითი ნებართვების პროცედურებზე.
სახელმწიფო ორგანიზაცია	საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე)	D: ეროვნული ელექტრო ქსელის მართვის პასუხისმგებელი ორგანო
	„საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო“ არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი.	D: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველო; მარეგულირებელი ორგანო ჩაატარებს კონსულტაციას ფრენების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით
	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია	D: დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, რომელიც არეგულირებს ტელემაუწყებლობას, რადიომაუწყებლობას, ფიქსირებულ/მობილურ ტელეფონს და ინტერნეტ მომსახურებას საქართველოში. სატელეკომუნიკაციო ქსელებთან და ინფრასტრუქტურასთან წვდომის რეგულირება
	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	D: პასუხისმგებელია საქართველოში საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე; ორგანიზაცია, რომელთანაც უნდა გაიმართოს კონსულტაციები საგზაო ინფრასტრუქტურის კვეთასთან დაკავშირებით
მედია	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებული შპს „საქართველოს მელიორაცია“	D: ახორციელებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის იმ ობიექტებზე, სადაც სამუშაოები რამდენიმე ათეული წელია არ ჩატარებულა. ამავდროულად, კომპანია არის ირიგაციისა და სადრენაჟე მომსახურების ერთადერთი მიმწოდებელი ქვეყანაში. მარეგულირებელი ორგანო ჩაატარებს კონსულტაციას სარწყავი არხების გადაკვეთის თაობაზე
	რეგიონული და ადგილობრივი მასმედია (კონკრეტულად არ არის განსაზღვრული)	I: პოტენციურად ჩაერთვება პროექტის შესახებ საინფორმაციო ანგარიშის შედგენასა და გავრცელებაში.
არასამთავრობო ორგანიზაციები	არასამთავრობო ორგანიზაციები გარემოს და სოციალური დაცვის სფეროში:	I: პოტენციურად დაინტერესებულია პროექტის გარემოზე ზემოქმედებით.
ფინანსური ინსტიტუტები	ერგბ (და სხვა შესაძლო კრედიტორები)	D: პროექტის დაფინანსების უზრუნველყოფა

დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი	დაინტერესებული მხარე	პროექტთან დამოკიდებულება: ზემოქმედებაზე დაფუძნებული (A), ინტერესზე დაფუძნებული (I) ან გადაწყვეტილების მიმღები (D)
მომუშავეები და მუშათა ორგანიზაციები	მშენებლობაზე მომუშავეები და დაქირავებულები; ექსპლუატაციის ეტაპზე ჩართული მუშები	I: საჩივრები სამშენებლო, წარმოებაში დანერგვის, ასევე ექსპლუატაციისა და ტექნიკური პერსონალის მხრიდან

4.2.1 მოწყვლადი ჯგუფები – იდენტიფიცირების პროცესი

სს „ვინდ ფაურმა“ 2022 წელს დაიწყო რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტისთვის დაინტერესებული მხარეების გამოვლენის პროცესი. თავდაპირველად, შპს WEG Envi Consulting-მა პროექტის სოციალური მენეჯერის ჩართულობით ჩაატარა სოციო-ეკონომიკური საბაზისო კვლევა. კვლევის ფარგლებში, გამოყენებული იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები და მეორადი ინფორმაციის კაბინეტური კვლევა. ოფიციალური წყაროებიდან (სოციალური მომსახურების სააგენტო, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მთავრობა, საქსტატი) მიღებულ მეორად ინფორმაციასა და ჩაღრმავებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით მომზადდა სავარაუდო ზემოქმედების ქვეშ მოქცეული 14 სოფლის დეტალური პროფილი. დემოგრაფიული სტატისტიკის გარდა, გამოვლინდა ინფორმაცია მოწყვლადი მოსახლეობის თაობაზე. კერძოდ, სტატისტიკური ინფორმაცია² დევნილთა, შშმ პირთა და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი სოციალური დახმარების მიმღები ოჯახების შესახებ შესულია თითოეული სოფლის პროფილში. ადგილობრივებთან პირისპირ და ჩაღრმავებული ინტერვიუების გარდა, ადგილობრივ ქალებთან ფოკუსური ჯგუფის დისკუსიებიც ჩატარდა. დისკუსიები ძირითადად მოიცავდა შემდეგ თემებს: ადგილობრივი საჭიროებები და შინამეურნეობების სოციალური მდგომარეობა; პროექტთან დაკავშირებული ინფორმაცია პროექტის სიმძლავრის, არეალის, სავარაუდო ზემოქმედებები (იმ პერიოდში ხელსმისაწვდომი ინფორმაციის თანახმად); არსებულ მოლოდინები და წინასწარგანწყობები.

პროექტის დიზაინისა და მონახაზის საბოლოო ცვლილებების შესაბამისად მიმდინარეობს დამატებითი სოციო-ეკონომიკური კვლევა³. კვლევა ფოკუსირდება მხოლოდ იმ შინამეურნეობებზე, რომელთა მიწის ნაკვეთებიც პროექტის საჭიროებებისთვის იქნა გამოსყიდული. კვლევის ერთერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა მოწყვლადი შინამეურნეობის გამოვლენა და მათთვის სპეციალური საკომპენსაციო პაკეტების შეთავაზება საარსებო წყაროების აღდგენის პროგრამის ფარგლებში. გარდა ამისა, კონკრეტულ მოწყვლად ჯგუფებთან იგეგმება მიზნობრივი ფოკუსური ჯგუფის ინტერვიუების ჩატარება 2022 წლის საბაზისო კვლევის ფარგლებში ჩატარებული დისკუსიების გასაგრძელებლად პროექტის ფარგლებში, მოწყვლადად ითვლებიან შემდეგი პირები/შინამეურნეობები:

- ✓ ქალის მიერ მართული შინამეურნეობები - მარტოხელა ქალების მიერ მართული შინამეურნეობები, რომლებსაც არ ჰყავთ ოჯახში სხვა დამხმარე;
- ✓ ხანდაზმულთა მიერ მართული შინამეურნეობები - (≥ 65 წელი კაცის მიერ მართული შინამეურნეობების და ≥ 60 წელი ქალის მიერ მართული შინამეურნეობების შემთხვევაში), რომლებსაც არ ჰყავთ ოჯახში სხვა მარჩენალი;

¹ განახლებული პროექტის დიზაინის მიხედვით, ზემოქმედების ქვეშ მოქცეულად ითვლება მხოლოდ 5 სოფელი.

² სპეციფიურ ჯგუფებზე სტატისტიკა გამოთხოვილია სოციალური მომსახურების სააგენტოდან. ინფორმაცია დამატებით შევსებულია ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით.

³ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწების მფლობელების/მოსარგებლეების სოციო-ეკონომიკური კვლევა დაიწყო 2023 წლის აგვისტოში და დასრულდება 2024 წლის სექტემბერში. მოცემულ კვლევას ახორციელებს სს ვინდ ფაურის სოციალური გუნდი. კვლევის დიზაინის დეტალები წარმოდგენილია 6.2 ქვეთავის პირველ აბზაცში.

- ✓ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;
- ✓ იძულებით გადაადგილებული პირები;
- ✓ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი შინამეურნეობები, რომლებიც სოციალურ დახმარებას იღებენ;
- ✓ შინამეურნეობები, რომლებიც პროექტის ინტერვენციის შედეგად კარგავენ თავიანთი საკუთრების (მიწის) $\geq 50\%$ -ს.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა მოწყვლადი პირი და შინამეურნეობა, მათი მიწებისა და სხვა ქონებისთვის დაანგარიშებული კომპენსაციის გარდა, მიიღებს დამატებით საკომპენსაციო პაკეტს თავიანთი მიწის დაკარგვის სანაცვლოდ (მთლიანი მიწის კომპენსაციის 5-10%). ინფორმაცია ამგვარი ჯგუფების შესახებ მშენებლობისა და საწყის საოპერაციო ფაზაზე ყოველ ექვს თვეში ერთხელ განახლდება. საარსებო წყაროების აღდგენის სტრატეგია მორგებული იქნება ამ მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე, რათა მათ შეძლონ თავიანთი პირობების აღდგენა და გაუმჯობესებაც კი პროექტის შედეგად განხორციელებული ეკონომიკური განსახლების პირდაპირი თუ არაპირდაპირი შედეგების შემდეგ. საბაზისო კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება მოწყვლადი ჯგუფებისათვის შესაბამისი აღდგენის გეგმის შესამუშავებლად.

ეკონომიკური განსახლების ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობების გამოკითხვის გარდა, პროექტის გუნდი აგრძელებს ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სოფლებში მოწყვლადი ჯგუფების გამოვლენის პროცესს პროექტის ფარგლებში შემუშავებული კომუნიკაციის თითოეული ტიპის მეშვეობით: პირისპირ ვიზიტები, საჯარო შეხვედრები, კაბინეტური კვლევა და ა.შ.

5 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა/ ჩატარებული კონსულტაციები

5.1 ბსგზშ-ს გასაჯაროებამდე განხორციელებული პირველადი კომუნიკაცია

5.1.1 კონსულტაციები უწყებებთან და ორგანიზაციებთან

პროექტის საწყის ეტაპზე სს „ვინდ ფაურმა“ გაუგზავნა ოფიციალური წერილები პროექტის ტერიტორიაზე მოქმედ ყველა სავარაუდო დაინტერესებულ კომპანიას და სახელმწიფო სუბიექტს, აცნობა მათ პროექტის შესახებ და მოითხოვა უკუკავშირი დაგეგმვის ეტაპზე გასათვალისწინებელი ნებისმიერი შესაძლო ზემოქმედების შესახებ.

ცხრილი 5-1 ოფიციალური მიმოწერა სავარაუდო დაინტერესებულ კომპანიებთან და სახელმწიფო სუბიექტებთან

№	დაინტერესებული მხარის სახელი	პროექტის მიერ გაგზავნილი წერილები	მიღებული პასუხები
1	შპს „საქართველოს გაერთიანებული აეროპორტები“	რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტმა საქართველოს გაერთიანებულ აეროპორტებს გაუგზავნა წერილი 30.09.2021, რომელიც შეიცავდა მოკლე ინფორმაციას პროექტისა და მისი ტერიტორიის ძირითადი კოორდინატების შესახებ. პროექტმა მოითხოვა იმის დადგენა, შეეძლო თუ არა პროექტს რაიმე გავლენა ჰქონოდა მათ ნავიგაციაზე, კომუნიკაციასა და ენერგეტიკულ სისტემებზე.	შპს „საქართველოს გაერთიანებული აეროპორტებიდან“ მიღებული პასუხის თარიღი 13.01.2022. წერილში ნათქვამია, რომ კომპანიის საკუთრება ან სისტემები არ მდებარეობს შეთავაზებულ ტერიტორიაზე და არ შეიძლება გამოიწვიოს რაიმე ზემოქმედება. თუმცა კომპანიამ შესთავაზა,

№	დაინტერესებული მხარის სახელი	პროექტის მიერ გაგზავნილი წერილები	მიღებული პასუხები
			მიმართონ „საქაერონავიგაციას“ და გადაამოწმონ მათი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით.
2	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტმა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს გაუგზავნა წერილი 30.09.2021, რომელიც შეიცავდა მოკლე ინფორმაციას პროექტისა და მისი ტერიტორიის ძირითადი კოორდინატების შესახებ, ასევე წინასწარი მონაცემების შესაბამისად დაგეგმილი ქარის ტურბინების პარამეტრების თაობაზე. წერილში ითხოვდნენ ინფორმაციის მიღებას იმაზე, ხვდება თუ არა კომპანიის საკომუნიკაციო ქსელი და/ან ინფრასტრუქტურული შენობები პროექტის სამიზნე ზონაში. თუ ასეა, პროექტი ითხოვდა ინფორმაციის მიღებას შენობების განთავსების პირობებისა და შესაბამისი სამუშაოების ჩატარების პირობების შესახებ, მათ შორის, დაცვის ან/და უსაფრთხოების ზონის მანძილის შესახებ; ასევე მოცემულ წერილში აღწერილი ქარის ელექტროსადგურის პროექტის განსახორციელებლად საჭირო ნებისმიერ სხვა ინფორმაციას.	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა პროექტს უპასუხა და განაცხადა, რომ პროექტის სამიზნე ტერიტორია გადაფარავს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს დაქვემდებარებული გზების რამდენიმე მონაკვეთს და მიაწოდა ამ გზების სია შესაბამისი დანართებით. რაც შეეხება შენობებს, წერილში მითითებული იყო ინფორმაცია, თუ რა მანძილზე უნდა განთავსდეს ისინი მაგისტრალიდან საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად. გარდა ამისა, დაზუსტდა ინფორმაცია ქარის ტურბინების განლაგების ადგილიდან გზის ნაპირამდე მანძილის შესახებ.
4	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო	რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტმა სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს გაუგზავნა წერილი 30.09.2021, რომელიც შეიცავდა მოკლე ინფორმაციას პროექტისა და მისი ტერიტორიის ძირითადი კოორდინატების შესახებ, ასევე წინასწარი მონაცემების შესაბამისად დაგეგმილი ქარის ტურბინების პარამეტრების თაობაზე. პროექტმა მოითხოვა იმის დადგენა, შედის თუ არა დაცული ტერიტორიები პროექტის სამიზნე ზონაში. თუ ასეა, ინფორმაცია უნდა წარუდგინონ მსგავსი დაცული ტერიტორიების კოორდინატებზე, სასურველია DWG ან SHP ფორმატში, აგრეთვე მოცემულ წერილში აღწერილი ქარის ელექტროსადგურის პროექტის განსახორციელებლად საჭირო ნებისმიერი სხვა ინფორმაცია.	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოდან მიღებული პასუხის თარიღი 07.10.2021. წერილში აღნიშნული იყო, რომ პროექტის სამიზნე ზონაში არ შედის სააგენტოს დაქვემდებარებაში მოქცეული დაცული ტერიტორიები, მათ შორის დაგეგმილი დაცული ტერიტორიები. გარდა ამისა მოწოდებულია სიტუაციური გეგმის დანართი.
5	შპს „დელტა კომპ“	რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტმა შპს „დელტა კომპს“ გაუგზავნა წერილი 30.09.2021, რომელიც შეიცავდა მოკლე ინფორმაციას პროექტისა და მისი ტერიტორიის ძირითადი კოორდინატების შესახებ. წერილში ითხოვდნენ ინფორმაციის მიღებას იმაზე, ხვდება თუ არა კომპანიის საკომუნიკაციო ქსელი და/ან ინფრასტრუქტურული შენობები პროექტის სამიზნე ზონაში. თუ ასეა, პროექტი ითხოვდა საკომუნიკაციო ქსელის ან/და ინფრასტრუქტურის კოორდინატებს, სასურველია DWG ან SHP ფორმატში, მსგავსი ხაზოვანი შენობების საჯარო რეესტრის	შპს „დელტა კომპიდან“ მიღებული პასუხის თარიღი 12.10.2021. წერილში აღნიშნული იყო, რომ შპს „დელტა კომპის“ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა შედის პროექტის სამიზნე ზონაში, ხოლო შესაბამისი სიტუაციური ანალიზი მოწოდებული იყო დანართის სახით. ამასთან კომპანიამ განაცხადა, რომ არ არის დაგეგმილი სამუშაოების განხორციელების წინააღმდეგი. ნებისმიერი სამშენებლო სამუშაოს ჩატარების შემთხვევაში, რაც გამოიწვევს შპს

№	დაინტერესებული მხარის სახელი	პროექტის მიერ გაგზავნილი წერილები	მიღებული პასუხები
		<p>ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის არქონის შემთხვევაში; და საკადასტრო ნომრებს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მსგავსი ხაზოვანი შენობების რეგისტრირების შემთხვევაში; გარდა ამისა დაცულ ტერიტორიებზე შენობების განთავსებისა და სამუშაოების ჩატარების პირობებს, დაცვის ან უსაფრთხოების ზონამდე მანძილის ჩათვლით, აგრეთვე პროექტის განხორციელებისას გასათვალისწინებელ ნებისმიერ ინფორმაციას.</p>	<p>„დელტა კომისი“ საკუთრებაში არსებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დაზიანებას, პასუხისმგებლობა და მის აღდგენაზე გაწეული ხარჯები სრულად დაეკისრება ამ სამუშაოების შემსრულებელს. კომუნიკაციის საშუალებების დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, პროექტს სთხოვს, კომპანიისთვის სამუშაოს დაწყებამდე 5 სამუშაო დღით ადრე ეცნობებინა წერილში მითითებული სატელეფონო ნომრით.</p>
6	სს „ენერგო-პრო ჯორჯია“	<p>რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტმა სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გაუგზავნა წერილი 30.09.2021, რომელიც შეიცავდა მოკლე ინფორმაციას პროექტისა და მისი ტერიტორიის ძირითადი კოორდინატების შესახებ, ასევე წინასწარი მონაცემების შესაბამისად დაგეგმილი ქარის ტურბინების პარამეტრების თაობაზე. წერილში ითხოვდნენ ინფორმაციის მიღებას იმაზე, ხვდება თუ არა კომპანიის საკომუნიკაციო ქსელი და/ან ინფრასტრუქტურული შენობები პროექტის სამიზნე ზონაში. თუ ასეა, პროექტი ითხოვდა საკომუნიკაციო ქსელის ან/და ინფრასტრუქტურის კოორდინატებს, სასურველია DWG ან SHP ფორმატში, მსგავსი ხაზოვანი შენობების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის არქონის შემთხვევაში; და საკადასტრო ნომრებს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მსგავსი ხაზოვანი შენობების რეგისტრირების შემთხვევაში; გარდა ამისა დაცულ ტერიტორიებზე შენობების განთავსებისა და სამუშაოების ჩატარების პირობებს, დაცვის ან უსაფრთხოების ზონამდე მანძილის ჩათვლით, აგრეთვე პროექტის განხორციელებისას გასათვალისწინებელ ნებისმიერ ინფორმაციას.</p>	<p>სს „ენერგო-პრო ჯორჯიადან“ მიღებული პასუხის თარიღი 21.10.2021. წერილში აღნიშნული იყო, რომ დოკუმენტი 10/6/0,4 კვ ელექტროგადამცემი ხაზებისა და სამიზნე ტერიტორიაზე განლაგებულ ტრანსფორმატორებთან დაკავშირებით მოწოდებული იყო დანართის სახით. ამასთან ხაზი გაეცა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 განკარგულებას, რომელიც განსაზღვრავს დამცავ ზონებს და შესაბამის მახასიათებლებს, რომლებიც გასათვალისწინებელია სამუშაოების განხორციელებისას. ასევე დაზუსტდა, თუ კონკრეტულად განკარგულების რა ნაწილები უნდა განიხილოს.</p>
7	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	<p>რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაუგზავნა წერილი 30.09.2021, რომელიც შეიცავდა მოკლე ინფორმაციას პროექტისა და მისი ტერიტორიის ძირითადი კოორდინატების შესახებ, ასევე წინასწარი მონაცემების შესაბამისად დაგეგმილი ქარის ტურბინების პარამეტრების თაობაზე. წერილში ითხოვდნენ ინფორმაციის მიღებას იმაზე, ხვდება თუ არა კომპანიის საკომუნიკაციო ქსელი და/ან ინფრასტრუქტურული შენობები პროექტის სამიზნე ზონაში. თუ ასეა, პროექტი ითხოვდა საკომუნიკაციო ქსელის ან/და ინფრასტრუქტურის კოორდინატებს, სასურველია DWG ან SHP ფორმატში, მსგავსი</p>	<p>საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან მიღებული პასუხის თარიღი 29.10.2021. წერილში აღნიშნულია, რომ სამინისტრო შემოთავაზებულ ტერიტორიაზე არ ფლობს რაიმე ქონებას და პროექტის განხორციელება თავდაცვის მიზნით არანაირ დაბრკოლებას არ შექმნის.</p>

№	დაინტერესებული მხარის სახელი	პროექტის მიერ გაგზავნილი წერილები	მიღებული პასუხები
		<p>ხაზოვანი შენობების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის არქონის შემთხვევაში; და საკადასტრო ნომრებს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მსგავსი ხაზოვანი შენობების რეგისტრირების შემთხვევაში; გარდა ამისა დაცულ ტერიტორიებზე შენობების განთავსებისა და სამუშაოების ჩატარების პირობებს, დაცვის ან უსაფრთხოების ზონამდე მანძილის ჩათვლით, აგრეთვე პროექტის განხორციელებისას გასათვალისწინებელ ნებისმიერ ინფორმაციას.</p>	
8	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო	<p>რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტმა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გაუგზავნა წერილი 30.09.2021, რომელიც შეიცავდა მოკლე ინფორმაციას პროექტისა და მისი ტერიტორიის ძირითადი კოორდინატების შესახებ, ასევე წინასწარი მონაცემების შესაბამისად დაგეგმილი ქარის ტურბინების პარამეტრების თაობაზე. წერილში ითხოვდნენ ინფორმაციის მიღებას იმაზე, არის თუ არა საპროექტო ტერიტორიაზე რეგისტრირებული კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლები.</p>	<p>საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ პასუხი გამოაგზავნა 12.10.2021. წერილში აღნიშნულია, რომ 40-მდე კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი ხვდება მითითებულ კოორდინატებში (რუკა დართულია), აქედან 2 ძეგლი ეროვნული მნიშვნელობისაა. ამის გარდა წერილში მოცემული იყო ვებ-პორტალის ბმული აღნიშნული ძეგლების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის.</p>
9	შპს „მაგთიკომი“	<p>რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტმა შპს „მაგთიკომს“ გაუგზავნა წერილი 30.09.2021, რომელიც შეიცავდა მოკლე ინფორმაციას პროექტისა და მისი ტერიტორიის ძირითადი კოორდინატების შესახებ. წერილში ითხოვდნენ ინფორმაციის მიღებას იმაზე, ხვდება თუ არა კომპანიის საკომუნიკაციო ქსელი და/ან ინფრასტრუქტურული შენობები პროექტის სამიზნე ზონაში. თუ ასეა, პროექტი ითხოვდა საკომუნიკაციო ქსელის ან/და ინფრასტრუქტურის კოორდინატებს, სასურველია DWG ან SHP ფორმატში, მსგავსი ხაზოვანი შენობების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის არქონის შემთხვევაში; და საკადასტრო ნომრებს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მსგავსი ხაზოვანი შენობების რეგისტრირების შემთხვევაში; გარდა ამისა დაცულ ტერიტორიებზე შენობების განთავსებისა და სამუშაოების ჩატარების პირობებს, დაცვის ან უსაფრთხოების ზონამდე მანძილის ჩათვლით, აგრეთვე პროექტის განხორციელებისას გასათვალისწინებელ ნებისმიერ ინფორმაციას.</p>	<p>შპს „მაგთიკომმა“ პასუხი გამოაგზავნა 13.10.2021. მასში ნათქვამია, რომ წერილში მითითებული ტერიტორია (ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი რუისის მიმდებარე ტერიტორია) წარმოადგენს შპს „მაგთიკომის“ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურას, რომლის შესახებაც დანართის სახით მოყვანილი იყო სიტუაციური ესკიზი. ამასთან კომპანიამ განაცხადა, რომ არ არის დაგეგმილი სამუშაოების განხორციელების წინააღმდეგი. ნებისმიერი სამშენებლო სამუშაოს ჩატარების შემთხვევაში, რაც გამოიწვევს შპს „მაგთიკომის“ საკუთრებაში არსებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დაზიანებას, პასუხისმგებლობა და მის აღდგენაზე გაწეული ხარჯები სრულად დაეკისრება ამ სამუშაოების შემსრულებელს. კომუნიკაციის საშუალებების დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, პროექტს სთხოვეს, კომპანიისთვის სამუშაოს დაწყებამდე 5 სამუშაო დღით ადრე ეცნობებინა წერილში მითითებული სატელეფონო ნომრით.</p>

№	დაინტერესებული მხარის სახელი	პროექტის მიერ გაგზავნილი წერილები	მიღებული პასუხები
10	შპს “პისი მაქსი”	<p>რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტმა შპს “პისი მაქსი” გაუგზავნა წერილი 30.09.2021, რომელიც შეიცავდა მოკლე ინფორმაციას პროექტისა და მისი ტერიტორიის ძირითადი კოორდინატების შესახებ, ასევე წინასწარი მონაცემების შესაბამისად დაგეგმილი ქარის ტურბინების პარამეტრების თაობაზე. წერილში ითხოვდნენ ინფორმაციის მიღებას იმაზე, ხვდება თუ არა კომპანიის საკომუნიკაციო ქსელი და/ან ინფრასტრუქტურული შენობები პროექტის სამიზნე ზონაში. თუ ასეა, პროექტი ითხოვდა საკომუნიკაციო ქსელის ან/და ინფრასტრუქტურის კოორდინატებს, სასურველია DWG ან SHP ფორმატში, მსგავსი ხაზოვანი შენობების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის არქონის შემთხვევაში; და საკადასტრო ნომრებს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მსგავსი ხაზოვანი შენობების რეგისტრირების შემთხვევაში; გარდა ამისა დაცულ ტერიტორიებზე შენობების განთავსებისა და სამუშაოების ჩატარების პირობებს, დაცვის ან უსაფრთხოების ზონამდე მანძილის ჩათვლით, აგრეთვე პროექტის განხორციელებისას გასათვალისწინებელ ნებისმიერ ინფორმაციას.</p>	<p>შპს “პისი მაქსი” პასუხი გამოაგზავნა 08.10.2021. წერილში ნათქვამია, რომ კომპანიის საკომუნიკაციო ქსელი შედის პროექტის სამიზნე არეალში. ამასთან საპროექტო ჯგუფი სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა დაუკავშირდეს წერილში მითითებულ კომპანიის წარმომადგენელს, რათა თავიდან აიცილოს რაიმე დაზიანება. წერილს დართული ჰქონდა SHP ფაილი, ფოტო და ტექნიკური ხელშეკრულება.</p>
11	სს „საქართველოს რკინიგზა“	<p>რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტმა სს „საქართველოს რკინიგზას“ გაუგზავნა წერილი 09.03.2022, რომელიც შეიცავდა მოკლე ინფორმაციას პროექტისა და მისი ტერიტორიის ძირითადი კოორდინატების შესახებ, ასევე წინასწარი მონაცემების შესაბამისად დაგეგმილი ქარის ტურბინების პარამეტრების თაობაზე. წერილში ითხოვდნენ ინფორმაციის მიღებას იმაზე, ხვდება თუ არა კომპანიის საკომუნიკაციო ქსელი და/ან ინფრასტრუქტურული შენობები პროექტის სამიზნე ზონაში. თუ ასეა, პროექტი ითხოვდა ინფორმაციის მიღებას შენობების განთავსების პირობებისა და შესაბამისი სამუშაოების ჩატარების პირობების შესახებ, მათ შორის, დაცვის ან/და უსაფრთხოების ზონის მანძილის შესახებ; ასევე მოცემულ წერილში აღწერილი ქარის ელექტროსადგურის პროექტის განსახორციელებლად საჭირო ნებისმიერ სხვა ინფორმაციას.</p>	<p>სს „საქართველოს რკინიგზამ“ პასუხი გამოაგზავნა 16.03.2022. წერილში აღნიშნულია, რომ პროექტის სამიზნე ტერიტორია მოიცავს ქარელთან განლაგებულ ხაშური-გორის სარკინიგზო ხაზის ნაწილს და შინდისთან განლაგებულ გორი-შინდისის სარკინიგზო განშტოების მონაკვეთს. სს „საქართველოს რკინიგზის“ ნორმატიული დოკუმენტების მიხედვით, ქარის ელექტროსადგურის ადგილმდებარეობის ნორმები არ არის განსაზღვრული, ამდენად, კომპანია ვერ ადგენს, ექნება თუ არა პროექტს რაიმე ზემოქმედება საქართველოს რკინიგზის კომუნიკაციებზე. წერილში ასევე სთავაზობენ, რომ ელექტროსადგურის აღჭურვილობა უსაფრთხოდ დაშორდეს სარკინიგზო ობიექტებს, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული ქვეყნის კანონმდებლობითა და მშენებარე ნაგებობების ნორმებითა და პირობებით.</p>
12	სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	<p>რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტმა სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს გაუგზავნა წერილი 30.09.2021,</p>	<p>სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ პასუხი გამოაგზავნა 05.10.2021. წერილში</p>

№	დაინტერესებული მხარის სახელი	პროექტის მიერ გაზიარებული წერილები	მიღებული პასუხები
		<p>რომელიც შეიცავდა მოკლე ინფორმაციას პროექტისა და მისი ტერიტორიის ძირითადი კოორდინატების შესახებ, ასევე წინასწარი მონაცემების შესაბამისად დაგეგმილი ქარის ტურბინების პარამეტრების თაობაზე. წერილში ითხოვდნენ ინფორმაციას იმაზე, შეეძლო თუ არა პროექტს რაიმე გავლენის ქონა მათ ნავიგაციაზე, კომუნიკაციაზე და/ან ენერგეტიკულ სისტემებზე.</p>	<p>აღნიშნულია, რომ ამ ეტაპზე სააგენტოს არანაირი შენიშვნა და წინადადება არ აქვს. თუმცა, შესთავაზეს, რომ იგივე ინფორმაცია შპს „საქაერონავიგაციასთან“ და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებულიყო. ასევე მოითხოვეს, რომ საპროექტო ჯგუფმა ქარის ტურბინების განთავსებამდე მიაწოდოს ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების დაწყების შესახებ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს შესაბამისი გამაფრთხილებელი შეტყობინების გასაცემად. სამუშაოების დასრულებისას შესაბამისი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს შპს „საქაერონავიგაციას“ მონაცემთა ბაზაში შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნების მიზნით. გარდა ამისა წერილში შეთავაზებული იყო დღისა და ღამის მარკირების გამოყენება ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის, მე-14 დანართის 1-ლი ტომის მე-6 თავის შესაბამისად.</p>
13	სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო	<p>რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტმა სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს გაუზიარა წერილი 30.09.2021, რომელიც შეიცავდა მოკლე ინფორმაციას პროექტისა და მისი ტერიტორიის ძირითადი კოორდინატების შესახებ, ასევე წინასწარი მონაცემების შესაბამისად დაგეგმილი ქარის ტურბინების პარამეტრების თაობაზე. წერილში ითხოვდნენ ინფორმაციას იმაზე, შეეძლო თუ არა სატყეო სააგენტოში რეგისტრირებული რომელიმე ტერიტორია პროექტის სამიზნე ზონაში. ასეთ შემთხვევაში მოთხოვნილი იყო ინფორმაცია ამ ტერიტორიების კოორდინატებზე (სასურველია DWG ან SHP ფორმატში), ასევე ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გასათვალისწინებელია ქარის ელექტროსადგურის პროექტის განხორციელების პროცესში.</p>	<p>სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ პასუხი გამოაგზავნა 07.10.2021. წერილში ნათქვამია, რომ პროექტის სამიზნე ტერიტორია არ მიეკუთვნება სააგენტოს მიერ მართულ სახელმწიფო ტყის ზონას. ამასთან ვინაიდან სახელმწიფო სატყეო ფონდის საიდენტიფიკაციო მონაცემებზე პასუხისმგებლობა ეკისრება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ეროვნული ტყის ტერიტორიების და მათი საზღვრების შესახებ ინფორმაციას გასცემს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.</p>
14	შპს „საქაერონავიგაცია“	<p>რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტმა შპს „საქაერონავიგაციას“ გაუზიარა წერილი 30.09.2021, რომელიც შეიცავდა მოკლე ინფორმაციას პროექტისა და მისი ტერიტორიის ძირითადი კოორდინატების შესახებ, ასევე წინასწარი მონაცემების შესაბამისად დაგეგმილი ქარის ტურბინების პარამეტრების თაობაზე. წერილში მოითხოვდნენ იმის დადგენას, შეეძლო თუ არა პროექტს რაიმე ზემოქმედება კომპანიის სანავიგაციო სისტემებზე და ხვდება თუ არა მათ საკუთრებაში არსებული საკომუნიკაციო</p>	<p>შპს „საქაერონავიგაციამ“ პასუხი გამოაგზავნა 06.10.2021. წერილში ნათქვამია, რომ ქარის ელექტროსადგურის პროექტი გავლენას არ მოახდენს მათ სანავიგაციო სისტემაზე და კომპანიის საკომუნიკაციო ან ენერგეტიკული ქსელები არ არის განლაგებული შეთავაზებულ ტერიტორიაზე.</p>

№	დაინტერესებული მხარის სახელი	პროექტის მიერ გაგზავნილი წერილები	მიღებული პასუხები
15	საქართველოს მილსადენის კომპანია	<p>რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტმა საქართველოს მილსადენის კომპანიას გაუგზავნა წერილი 30.09.2021, რომელიც შეიცავდა მოკლე ინფორმაციას პროექტისა და მისი ტერიტორიის ძირითადი კოორდინატების შესახებ, ასევე წინასწარი მონაცემების შესაბამისად დაგეგმილი ქარის ტურბინების პარამეტრების თაობაზე. წერილში მოითხოვდნენ იმის დადგენას, გვხვდება თუ არა კომპანიის საკომუნიკაციო ქსელი და/ან ინფრასტრუქტურული შენობები პროექტის სამიზნე ზონაში. თუ ასეა, პროექტი ითხოვდა საკომუნიკაციო ქსელის ან/და ინფრასტრუქტურის კოორდინატებს, სასურველია DWG ან SHP ფორმატში, მსგავსი ხაზოვანი შენობების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის არქონის შემთხვევაში; და საკადასტრო ნომრებს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მსგავსი ხაზოვანი შენობების რეგისტრირების შემთხვევაში; გარდა ამისა დაცულ ტერიტორიებზე შენობების განთავსებისა და სამუშაოების ჩატარების პირობებს, დაცვის ან უსაფრთხოების ზონამდე მანძილის ჩათვლით, აგრეთვე პროექტის განხორციელებისას გასათვალისწინებელ ნებისმიერ ინფორმაციას.</p>	<p>საქართველოს მილსადენის კომპანიამ პასუხი გამოაგზავნა 15.10.2021. წერილში ნათქვამია, რომ პროექტის სამიზნე ტერიტორია კვეთს მილსადენის ნაწილს კმნ147-დან კმნ160-მდე და ეს ტერიტორიები საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N365 განკარგულების შესაბამისად რამდენიმე დამცავი ზონის (1, 2, 3, 4) ფარგლებშია მოქცეული. შესაბამისად, პირველი და მეორე დამცავი ზონაში ობიექტების მშენებლობა დაუშვებელია. მესამე და მეოთხე ზონების შემთხვევაში სამშენებლო სამუშაოები უნდა განხორციელდეს უსაფრთხო და უწყვეტი ექსპლუატაციის უზრუნველყოფით, მილსადენის ოპერატორი კომპანიის BP მიერ გაცემული წერილობითი თანხმობის და პირობების შესაბამისად, მათთან ტექნიკური პროექტის შეთანხმების შემდეგ. წერილი მოიცავდა საპროექტო დოკუმენტაციის ჩამონათვალს, რომელიც აუცილებელია ტექნიკური პირობების დადგენისა და ნებართვის მისაღებად. დოკუმენტების ჩამონათვალის წარდგენის შემდეგ კომპანიის BP საინჟინრო დეპარტამენტი შეისწავლის პროექტს და დასკვნის საფუძველზე გაიცემა მშენებლობის ნებართვა ყველა სავალდებულო პირობის მითითებით. წერილში ასევე შედიოდა წინადადებები, რომლებიც გასათვალისწინებელია საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისას.</p>
16	სს გეს „საქრუსენერგო“	<p>რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტმა სს გეს „საქრუსენერგო“ გაუგზავნა წერილი 30.09.2021, რომელიც შეიცავდა მოკლე ინფორმაციას პროექტისა და მისი ტერიტორიის ძირითადი კოორდინატების შესახებ, ასევე წინასწარი მონაცემების შესაბამისად დაგეგმილი ქარის ტურბინების პარამეტრების თაობაზე. წერილში მოითხოვდნენ იმის დადგენას, გვხვდება თუ არა კომპანიის საკომუნიკაციო ქსელი და/ან ინფრასტრუქტურული შენობები პროექტის სამიზნე ზონაში. თუ ასეა, პროექტი ითხოვდა საკომუნიკაციო ქსელის ან/და ინფრასტრუქტურის კოორდინატებს,</p>	<p>სს გეს „საქრუსენერგომ“ პასუხი გამოაგზავნა 22.10.2021. წერილში ნათქვამია, რომ კომპანიის ქონების ნაწილი პროექტის სამიზნე ზონაშია. წერილში ასევე მითითებული იყო ზემოაღნიშნული ქონების საკადასტრო ნომერი და გათვალისწინებული იყო სამუშაოების განხორციელების პირობები საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 განკარგულების შესაბამისად. ვინაიდან განკარგულება არ ითვალისწინებს უსაფრთხოების</p>

№	დაინტერესებული მხარის სახელი	პროექტის მიერ გაგზავნილი წერილები	მიღებული პასუხები
		სასურველია DWG ან SHP ფორმატში, მსგავსი ხაზოვანი შენობების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის არქონის შემთხვევაში; და საკადასტრო ნომრებს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მსგავსი ხაზოვანი შენობების რეგისტრირების შემთხვევაში; გარდა ამისა დაცულ ტერიტორიებზე შენობების განთავსებისა და სამუშაოების ჩატარების პირობებს, დაცვის ან უსაფრთხოების ზონამდე მანძილის ჩათვლით, აგრეთვე პროექტის განხორციელებისას გასათვალისწინებელ ნებისმიერ ინფორმაციას.	ზონამდე დისტანციას, წერილს დართული ჰქონდა შესაბამისი ესკიზები იმის ჩვენებით, რომ მანძილი არ უნდა იყოს დანართებში მითითებულზე ნაკლები. აგრეთვე დაერთო სიტუაციური გეგმა, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 განკარგულება და დოკუმენტი ქარის ტურბინების მინიმალური მანძილის შესახებ.
17	სილქნეტო	რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტმა სილქნეტს გაუგზავნა წერილი 30.09.2021, რომელიც შეიცავდა მოკლე ინფორმაციას პროექტისა და მისი ტერიტორიის ძირითადი კოორდინატების შესახებ, ასევე წინასწარი მონაცემების შესაბამისად დაგეგმილი ქარის ტურბინების პარამეტრების თაობაზე. წერილში ითხოვდნენ ინფორმაციის მიღებას იმაზე, ხვდება თუ არა კომპანიის საკომუნიკაციო ქსელი და/ან ინფრასტრუქტურული შენობები პროექტის სამიზნე ზონაში. თუ ასეა, პროექტი ითხოვდა საკომუნიკაციო ქსელის ან/და ინფრასტრუქტურის კოორდინატებს, სასურველია DWG ან SHP ფორმატში, მსგავსი ხაზოვანი შენობების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის არქონის შემთხვევაში; და საკადასტრო ნომრებს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მსგავსი ხაზოვანი შენობების რეგისტრირების შემთხვევაში; გარდა ამისა დაცულ ტერიტორიებზე შენობების განთავსებისა და სამუშაოების ჩატარების პირობებს, დაცვის ან უსაფრთხოების ზონამდე მანძილის ჩათვლით, აგრეთვე პროექტის განხორციელებისას გასათვალისწინებელ ნებისმიერ ინფორმაციას.	სილქნეტმა პასუხი გამოგზავნა 20.12.2021. წერილში ნათქვამია, რომ კომპანიის კომუნიკაციები შედის პროექტის სამიზნე ზონაში და დამატებითი ინფორმაცია მოწოდებული იყო კომპაქტურ დისკზე. გარდა ამისა, მიმაგრებული იყო დანართი ელექტრო ხაზებთან სიახლოვეს განლაგებული შენობებისა და დამცავი ზონების შესახებ. აგრეთვე სილქნეტმა სთხოვა საპროექტო გუნდს წარმოედგინა საპროექტო წინადადება, რომელიც მომზადებული იქნებოდა სილქნეტთან შესათანხმებლად მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად.
18	შპს "სოკარ ჯორჯია გაზი"	რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტმა შპს "სოკარ ჯორჯია გაზი" გაუგზავნა წერილი 30.09.2021, რომელიც შეიცავდა მოკლე ინფორმაციას პროექტისა და მისი ტერიტორიის ძირითადი კოორდინატების შესახებ, ასევე წინასწარი მონაცემების შესაბამისად დაგეგმილი ქარის ტურბინების პარამეტრების თაობაზე. წერილში ითხოვდნენ ინფორმაციის მიღებას იმაზე, ხვდება თუ არა კომპანიის საკომუნიკაციო ქსელი და/ან ინფრასტრუქტურული შენობები პროექტის სამიზნე ზონაში. თუ ასეა, პროექტი ითხოვდა საკომუნიკაციო ქსელის ან/და ინფრასტრუქტურის კოორდინატებს, სასურველია DWG ან SHP ფორმატში, მსგავსი ხაზოვანი შენობების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის არქონის შემთხვევაში; და საკადასტრო ნომრებს,	შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ პასუხი გამოგზავნა 11.10.2021. მასში აღნიშნულია, რომ ინფორმაცია კომპანიის საკუთრებაში არსებული გაზსადენის შესახებ მოცემულია ცალკე ფაილის სახით. მეტიც, კომპანია არ ეწინააღმდეგება დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებას, თუ ისინი შეესაბამება ქვეყნის კანონმდებლობას და გათვალისწინებულია შესაბამისი ნორმები, მათ შორის: მშენებლობა უნდა განხორციელდეს გაზსადენიდან 250 მეტრის დამორებით. საპროექტო ჯგუფის წარმომადგენელი სამუშაოების დაწყებამდე 2 (ორი) დღით ადრე

№	დაინტერესებული მხარის სახელი	პროექტის მიერ გაგზავნილი წერილები	მიღებული პასუხები
		საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მსგავსი ხაზოვანი შენობების რეგისტრირების შემთხვევაში; გარდა ამისა დაცულ ტერიტორიებზე შენობების განთავსებისა და სამუშაოების ჩატარების პირობებს, დაცვის ან უსაფრთხოების ზონამდე მანძილის ჩათვლით, აგრეთვე პროექტის განხორციელებისას გასათვალისწინებელ ნებისმიერ ინფორმაციას.	უნდა დაუკავშირდეს კომპანიის ქარელის სერვის-ცენტრის მთავარ ინჟინერს. ასევე მოწოდებულია შესაბამისი საკონტაქტო ინფორმაცია.
19	სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (სსე)	რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტმა სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას გაუგზავნა წერილი 30.09.2021, რომელიც შეიცავდა მოკლე ინფორმაციას პროექტისა და მისი ტერიტორიის ძირითადი კოორდინატების შესახებ, ასევე წინასწარი მონაცემების შესაბამისად დაგეგმილი ქარის ტურბინების პარამეტრების თაობაზე. წერილში ითხოვდნენ ინფორმაციის მიღებას იმაზე, ხვდება თუ არა კომპანიის საკომუნიკაციო ქსელი და/ან ინფრასტრუქტურული შენობები პროექტის სამიზნე ზონაში. თუ ასეა, პროექტი ითხოვდა საკომუნიკაციო ქსელის ან/და ინფრასტრუქტურის კოორდინატებს, სასურველია DWG ან SHP ფორმატში, მსგავსი ხაზოვანი შენობების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის არქონის შემთხვევაში; და საკადასტრო ნომრებს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მსგავსი ხაზოვანი შენობების რეგისტრირების შემთხვევაში; გარდა ამისა დაცულ ტერიტორიებზე შენობების განთავსებისა და სამუშაოების ჩატარების პირობებს, დაცვის ან უსაფრთხოების ზონამდე მანძილის ჩათვლით, აგრეთვე პროექტის განხორციელებისას გასათვალისწინებელ ნებისმიერ ინფორმაციას.	რამდენიმე შეხვედრა გაიმართა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ წარმომადგენლებთან და ყველა დეტალი სიტყვიერად შეთანხმდა პროექტის შესახებ წერილის გაგზავნის დღიდან. მათი ოფიციალური პასუხი მიღებულია 28.10.2022, სადაც ნათქვამია, რომ სსე-ს არაფერი აქვს საწინააღმდეგო რუისის პროექტის შესრულების თაობაზე იმ პირობით, რომ დაცული იქნება კონკრეტული მანძილი ტურბინებსა და არსებულ ელექტროგადამცემ ხაზებს შორის. მათი მოთხოვნა განხილულია პროექტის განლაგების ოპტიმიზაციისა და დიზაინის შემუშავებისას.
20	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტმა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს გაუგზავნა წერილი 30.09.2021, რომელიც შეიცავდა მოკლე ინფორმაციას პროექტისა და მისი ტერიტორიის ძირითადი კოორდინატების შესახებ, ასევე წინასწარი მონაცემების შესაბამისად დაგეგმილი ქარის ტურბინების პარამეტრების თაობაზე. წერილში ითხოვდნენ ინფორმაციის მიღებას იმაზე, ხვდება თუ არა კომპანიის საკომუნიკაციო ქსელი და/ან ინფრასტრუქტურული შენობები პროექტის სამიზნე ზონაში. თუ ასეა, პროექტი ითხოვდა საკომუნიკაციო ქსელის ან/და ინფრასტრუქტურის კოორდინატებს, სასურველია DWG ან SHP ფორმატში, მსგავსი ხაზოვანი შენობების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის არქონის შემთხვევაში; და საკადასტრო ნომრებს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მსგავსი ხაზოვანი შენობების რეგისტრირების	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა პასუხი გამოაგზავნა 11.11.2021. წერილში ნათქვამია, რომ აღნიშნული პროექტის კოორდინატები არ მიეკუთვნება მათ საკუთრებაში/დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიას. გარდა ამისა უსაფრთხოების რისკების მინიმიზაციისა და მდგრადი გარემოს უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული სამიზნე ტერიტორიების ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესწავლა და გათვალისწინება.

№	დაინტერესებული მხარის სახელი	პროექტის მიერ გაგზავნილი წერილები	მიღებული პასუხები
		შემთხვევაში; გარდა ამისა დაცულ ტერიტორიებზე შენობების განთავსებისა და სამუშაოების ჩატარების პირობებს, დაცვის ან უსაფრთხოების ზონამდე მანძილის ჩათვლით, აგრეთვე პროექტის განხორციელებისას გასათვალისწინებელ ნებისმიერ ინფორმაციას.	
21	შპს „ფოპტნეტი“	რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტმა შპს „ფოპტნეტი“ გაუგზავნა წერილი 30.09.2021, რომელიც შეიცავდა მოკლე ინფორმაციას პროექტისა და მისი ტერიტორიის ძირითადი კოორდინატების შესახებ, ასევე წინასწარი მონაცემების შესაბამისად დაგეგმილი ქარის ტურბინების პარამეტრების თაობაზე. წერილში ითხოვდნენ ინფორმაციის მიღებას იმაზე, ხვდება თუ არა კომპანიის საკომუნიკაციო ქსელი და/ან ინფრასტრუქტურული შენობები პროექტის სამიზნე ზონაში. თუ ასეა, პროექტი ითხოვდა საკომუნიკაციო ქსელის ან/და ინფრასტრუქტურის კოორდინატებს, სასურველია DWG ან SHP ფორმატში, მსგავსი ხაზოვანი შენობების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის არქონის შემთხვევაში; და საკადასტრო ნომრებს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მსგავსი ხაზოვანი შენობების რეგისტრირების შემთხვევაში; გარდა ამისა დაცულ ტერიტორიებზე შენობების განთავსებისა და სამუშაოების ჩატარების პირობებს, დაცვის ან უსაფრთხოების ზონამდე მანძილის ჩათვლით, აგრეთვე პროექტის განხორციელებისას გასათვალისწინებელ ნებისმიერ ინფორმაციას.	შპს „ფოპტნეტმა“ პასუხი გამოაგზავნა 07.10.2021. წერილში აღნიშნული იყო, რომ კომპანიის საკუთრებაში არსებული მთავარი კაბელი არ ხვდება შემოთავაზებულ საპროექტო ზონაში.
22	სსიპ მადაროების ეროვნული სააგენტო	რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტმა სსიპ მადაროების ეროვნულ სააგენტოს გაუგზავნა წერილი 30.09.2021, რომელიც შეიცავდა მოკლე ინფორმაციას პროექტისა და მისი ტერიტორიის ძირითადი კოორდინატების შესახებ, ასევე წინასწარი მონაცემების შესაბამისად დაგეგმილი ქარის ტურბინების პარამეტრების თაობაზე. წერილში მოითხოვდნენ ინფორმაციას მადაროების არსებობის ან/და შესაბამისი ლიცენზიის გაცემის თაობაზე. თუ ასეა, პროექტი ითხოვდა ასეთი ტერიტორიების კოორდინატებს (სასურველია DWG ან SHP ფორმატში), აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში პროექტის განხორციელებისას გასათვალისწინებელ ნებისმიერ ინფორმაციას.	სსიპ მადაროების ეროვნულმა სააგენტომ პასუხი გამოაგზავნა 15.10.2021. წერილში აღნიშნული იყო, რომ პროექტის სამიზნე ტერიტორია მოიცავს მადაროს (ორი უბანი) და წიაღისეულის მოპოვების სხვადასხვა ლიცენზიას, ასევე ტერიტორიებს, სადაც დაწყებულია შესაბამისი სამუშაოები ლიცენზიის მისაღებად. გარდა ამისა საპროექტო ტერიტორია მოიცავს ორ განსხვავებულ ჭაბურღილს, რომელთა კოორდინატები უნდა დაზუსტდეს. წერილს თან დაურთეს ზემოაღნიშნული ინფორმაცია.
23	საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტმა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას გაუგზავნა წერილი 30.09.2021, რომელიც შეიცავდა მოკლე ინფორმაციას პროექტისა და მისი ტერიტორიის ძირითადი კოორდინატების შესახებ, ასევე წინასწარი მონაცემების შესაბამისად დაგეგმილი ქარის ტურბინების	საქართველოს გაერთიანებულმა წყალმომარაგების კომპანიამ პასუხი გამოაგზავნა 13.10.2021. წერილში აღნიშნულია, რომ პროექტის სამიზნე ტერიტორიაზე წყალმომარაგების კომუნიკაციები არ არის. მეტიც კომპანია ამ ეტაპზე

№	დაინტერესებული მხარის სახელი	პროექტის მიერ გაზავნილი წერილები	მიღებული პასუხები
		<p>პარამეტრების თაობაზე. წერილში მოითხოვდნენ იმის დადგენას, გვხვდება თუ არა კომპანიის საკომუნიკაციო ქსელი და/ან ინფრასტრუქტურული შენობები პროექტის სამიზნე ზონაში. თუ ასეა, პროექტი ითხოვდა საკომუნიკაციო ქსელის ან/და ინფრასტრუქტურის კოორდინატებს, სასურველია DWG ან SHP ფორმატში, მსგავსი ხაზოვანი შენობების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის არქონის შემთხვევაში; და საკადასტრო ნომრებს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მსგავსი ხაზოვანი შენობების რეგისტრირების შემთხვევაში; გარდა ამისა დაცულ ტერიტორიებზე შენობების განთავსებისა და სამუშაოების ჩატარების პირობებს, დაცვის ან უსაფრთხოების ზონამდე მანძილის ჩათვლით, აგრეთვე პროექტის განხორციელებისას გასათვალისწინებელ ნებისმიერ ინფორმაციას.</p>	<p>არც ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას გეგმავს.</p>

პროექტის ზემოქმედების ზონაში მოხვედრილ ადგილობრივ თემებთან კომუნიკაციის დასაწყებად სს „ვინდ ფაუერის“ წარმომადგენლებმა მოაწყვეს შეხვედრა შიდა ქართლის გუბერნატორთან, წარადგინეს პროექტის დეტალები და მოითხოვეს თანამშრომლობა დაგეგმილი სოციალურ-ეკონომიკური კვლევებისა და თემებთან შეხვედრების თაობაზე. შიდა ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციის დახმარებით შეხვედრები მოეწყო ქარელისა და გორის მერიაში. მოეწყო შეხვედრები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან პროექტის ზემოქმედების ქვემ მყოფ ყველა თემში/ადმინისტრაციულ ერთეულში. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ითანამშრომლეს სოციალურ-ეკონომიკურ კვლევებში და შეთანხმდნენ, დაეხმარონ პროექტის ზემოქმედების ქვემ მყოფ თემებთან შეხვედრების ორგანიზებაში.

ადგილობრივ ხელისუფლებასთან ზემოაღნიშნული კომუნიკაციის გარდა 2022 წლის 10 ნოემბერს მოეწყო შეხვედრები ქარელისა და გორის მუნიციპალიტეტებში, რათა შეთანხმებულიყო და დადასტურებულიყო საცხოვრებელი ფართები თითოეულ სამიზნე სოფელში, აგრეთვე დადგენილიყო დასახლებების დაგეგმილი გაუმჯობესების სფეროები. ორივე მუნიციპალიტეტის სამიზნე სოფლებში დასახლების განვითარების გეგმა არ არსებობს, თუმცა გამოიკვეთა ბიზნესისა და დამხმარე შენობების შესაძლო განვითარების სფეროები და შესაბამისად დაკორექტირდა რუკები.

5.1.2 კონსულტაციები საპროექტო არეალის ფოკუს-ჯგუფებთან

2022 წლის სექტემბერში კონსულტაციები ჩატარდა შემდეგ ფოკუს-ჯგუფებთან:

- პროექტის ტერიტორიაზე განთავსებული მცირე და საშუალო საწარმოები
- ქალთა ჯგუფები
- საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილი დევნილები

კონსულტაციების დეტალები მოცემულია დანართში 7: ზემოქმედების ქვემ მყოფი შინამეურნეობებისა და სამიზნე ჯგუფების სოციალური კვლევა.

სოციალური კვლევის ფარგლებში ჩატარდა ინდივიდუალური კონსულტაციები. გამოიკითხა 100-ზე მეტი კომლის წარმომადგენელი. მათ მიაწოდეს მოკლე ინფორმაცია პროექტის შესახებ.

სკოპინგის ანგარიში, რომელიც მომზადებულია საქართველოში ნებართვების გაცემის პროცედურების შესაბამისად, გამოქვეყნდა 2022 წლის აგვისტოში. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შესაბამისი განცხადებები გააკეთა მედიაში და დაგეგმა საჯარო საკონსულტაციო შეხვედრები დაზარალებულ თემებთან. სკოპინგის ეტაპზე 2022 წლის 11 და 12 ოქტომბერს გაიმართა საჯარო შეხვედრები. შეხვედრები ორგანიზებული იყო საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ. პროექტის დიზაინი წარედგინა ზემოქმედების ქვეშ მყოფ ყველა თემს და ქარელისა და გორის მუნიციპალიტეტების მცხოვრებლებს. კერძოდ, ოთხი შეხვედრა გაიმართა სოფლებში დირბი, ბრეთი, რუისი და ვარიანი. სააგენტოს მიერ მოწოდებული შეხვედრების ოქმები და დამსწრეთა სია (სააგენტომ მოიცვა შეხვედრების დამსწრეთა პირად ინფორმაცია, ხოლო დოკუმენტაცია წარმოდგენილია დაფარული ფორმით) თან ერთვის დოკუმენტს (დანართი 3). შეხვედრების ფოტოები მოცემულია დანართში 3.

წინამდებარე ბსგშ-ს განხილვის შემდეგ, დოკუმენტი, ასევე, გამოქვეყნდება ერგბ-ისა და სს „ვინდ ფაუერ“-ის ვებ-გვერდებზე და ბეჭდური ასლები ხელმისაწვდომი იქნება ქარელისა და გორის მუნიციპალიტეტებში.

5.2 სკოპინგის ეტაპის კონსულტაციები ქართული გზშ-ს და ნებართვების გაცემის პროცესის ფარგლებში

სს „ვინდ ფაუერ“-მა მოამზადა სკოპინგის ანგარიში პროექტის შემუშავების შესახებ და წარუდგინა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის სექტემბერში. სკოპინგის ანგარიში გამოქვეყნებულია 2022 წლის 26 სექტემბერს. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე <https://eiec.gov.ge/Ge/PublicHearings>.

დაგეგმილი ღონისძიებების სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 11 ოქტომბერს, 11:00 საათზე, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბის ადმინისტრაციულ შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სს „ვინდ ფაუერის“, შპს „დაბლიუიჯი ენვი კონსალტინგის“ და სოფელ დირბის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები, ასევე სოფელ დირბის მაცხოვრებლები.

დაგეგმილი ღონისძიებების სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 11 ოქტომბერს, 14:00 საათზე, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის ადმინისტრაციულ შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სს „ვინდ ფაუერის“, შპს „დაბლიუიჯი ენვი კონსალტინგის“ და სოფელ ბრეთის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები, ასევე სოფლების ბრეთისა და სალოლაშენის მოსახლეობა.

დაგეგმილი ღონისძიებების სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 12 ოქტომბერს, 12:00 საათზე, სოფელ რუისის ადმინისტრაციულ შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სს „ვინდ ფაუერის“, შპს „დაბლიუიჯი ენვი კონსალტინგის“ და სოფელ რუისის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები, ასევე სოფელ რუისის მოსახლეობა.

დაგეგმილი ღონისძიებების სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 12 ოქტომბერს, 15:00 საათზე, სოფელ ვარიანის ადმინისტრაციულ შენობაში. საჯარო განხილვას

ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სს „ვინდ ფაუნდის“, შპს „დაბლიუიჯი ენვი კონსალტინგის“ და სოფელ ვარიანის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები, ასევე სოფლების ვარიანის, არაშენდასა და საქაშეთის მოსახლეობა.

საჯარო განხილვები გახსნა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა, რომელმაც დამსწრეებს გააცნო საჯარო განხილვის დღის წესრიგი (პრეზენტაციისა და კითხვა-პასუხის სესიის თანმიმდევრობა), ისაუბრა განხილვის საგანზე, შეხვედრის მიზნებზე და შემოთავაზებული პროექტის სკოპინგის ანგარიშის ზოგად სტრუქტურაზე. შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით, დამსწრე საზოგადოებას განუმარტეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა, მათ შორის, სკოპინგის ეტაპის მნიშვნელობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სააგენტოს წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა სკოპინგის პროცედურის დროს საჯარო განხილვის გამართვის მნიშვნელობას საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების მიზნით. სააგენტოს წარმომადგენელმა დამსწრე საზოგადოებას აცნობა პროექტთან დაკავშირებით კომენტარების/აზრის გამოთქმის უფლება, რასაც შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში სააგენტო გაითვალისწინებდა სკოპინგის შემაჯამებელი ანგარიშის მომზადების პროცესში. სააგენტოს წარმომადგენელმა მოუწოდა საჯარო განხილვის მონაწილეებს თავდაპირველად მოესმინათ სკოპინგის ანგარიშის პრეზენტაციისთვის, ხოლო მის შემდეგ ყველას მიეცემოდა აზრის გამოხატვისა და კითხვების დასმის საშუალება. საჯარო განხილვაზე შეავსეს მონაწილეთა სარეგისტრაციო ფორმა.

ქარის ელექტროსადგურისა და 220 კვ ქვესადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში წარადგინა შპს „დაბლიუიჯი ენვი კონსალტინგი“-ს წარმომადგენელმა. პრეზენტაციაზე განიხილეს დაგეგმილი საქმიანობების სქემატური და გეგმარების ნახაზები. პრეზენტაცია მოიცავდა დაგეგმილი ღონისძიებების ზოგად აღწერას, მათ შორის მოსაწყობი ინფრასტრუქტურისა, შემოთავაზებული ქარის ელექტროსადგურის ტექნიკურ მახასიათებლებს, ალტერნატიული ტერიტორიების ანალიზს და მოსალოდნელი ზემოქმედების ტიპებს. შპს „დაბლიუიჯი ენვი კონსალტინგი“-ს წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროექტი ითვალისწინებს მაქსიმუმ 50 ქარის ტურბინის მშენებლობას და ექსპლუატაციას. მოსახლეობას განუმარტეს, რომ ქარის ტურბინების და 220 კვ ქვესადგურის მშენებლობა იგეგმება ქარელისა და გორის მუნიციპალიტეტებში, სოფლების დირბის, ბრეთის, რუისისა და ვარიანის შემოგარენში. პროექტის უკეთ ვიზუალიზაციისთვის მოსახლეობას წარედგინა პროექტის სქემატური ნახაზები, მათ შორის ტურბინებისა და ქვესადგურების მოსაწყობად გამოყოფილი საპროექტო ტერიტორიები. შპს „დაბლიუიჯი ენვი კონსალტინგი“-ს წარმომადგენელმა განმარტა, რომ ტურბინების დამონტაჟება იგეგმება დაახლოებით 150 მიწის ნაკვეთზე, რომლის უმეტესობა კერძო მესაკუთრეებს ეკუთვნის. ნაკვეთების შესყიდვა განხორციელდება მოსახლეობასთან აქტიური კომუნიკაციის გზით და იქნება ნებაყოფლობითი. თითოეული ტურბინა და დამხმარე ინფრასტრუქტურა მოითხოვს 2 ჰა ფართობს. ტურბინები განთავსდება უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან საკმაოდ მოშორებით. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ტურბინების ზუსტი ლოკაციები გზშ-ის ეტაპზე განისაზღვრება. მან ასევე გაამახვილა ყურადღება საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ სარწყავ სისტემაზე და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, პროექტის განხორციელებით არ დაირღვეს სარწყავი ქსელის სტრუქტურა. აღნიშნა, რომ იგეგმება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება როგორც მშენებლობის (40-50 კაცი), ასევე ექსპლუატაციის ეტაპებზე (10-15 კაცი).

პროექტის ზოგადი მახასიათებლების აღწერის შემდეგ მომხსენებელმა ჩამოაყალიბა დაგეგმილი აქტივობების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი ტიპები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბიომრავალფეროვნებას, მათ შორის მოსალოდნელ ზემოქმედებას

ორნითოფაუნაზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფრინველებსა და ღამურებზე მიმდინარეობს სეზონური დაკვირვება, რაც დასრულდება გზშ-ის ეტაპამდე, რა დროსაც შესაძლებელი იქნება უფრო დეტალური ინფორმაციის მიწოდება, მათ შორის მოსალოდნელი ზემოქმედებების კუთხით გასათვალისწინებელი/განსახორციელებელი ღონისძიებების მონახაზი. აღნიშნა, რომ არსებული მონაცემებიდან გამომდინარე, საპროექტო ტერიტორია არ არის სენსიტიური ფრინველებზე და ღამურებზე ზემოქმედების თვალსაზრისით. მომხსენებელმა განმარტა, რომ ერთ-ერთი ტურბინის მოწყობა ხელოვნურად გაშენებულ ფიჭვნარში იგეგმება, ამიტომ საჭირო გახდება ხეების გაკაფვა. დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიების სახით იგეგმება ყოველი მოჭრილი ხის სანაცვლოდ მსგავს ჰაბიტატში სამი ახალი ხის დარგვა. საჯარო განხილვისას ყურადღება გამახვილდა საპროექტო ტერიტორიაზე კულტურული ძეგლების არსებობის საკითხზეც. მომხსენებელმა განმარტა, რომ ყველა სახის სამშენებლო სამუშაო განხორციელდება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული შესაბამისი ანგარიშის მიხედვით.

პრევენტივის შემდეგ სააგენტოს წარმომადგენელმა დამსწრე საზოგადოებას სთხოვა, გამოეთქვა თავისი კომენტარები და მოსაზრებები დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

საჯარო განხილვაზე გამოთქმული კომენტარები/მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა კერძო მიწის ნაკვეთებზე ტურბინების მოწყობას და განსახორციელებელ საკომპენსაციო ღონისძიებებს. მოსახლეობა დაინტერესდა, კონკრეტულად რომელ მიწის ნაკვეთებზე იგეგმება საპროექტო ინფრასტრუქტურის მოწყობა. კომპანიის წარმომადგენელმა მოსახლეობას განუმარტა, რომ დაგეგმილი აქტივობა წინასაპროექტო ფაზაშია, ამიტომ დეტალური ინფორმაცია ტურბინების კონკრეტული ადგილმდებარეობისა და რაოდენობის შესახებ დაზუსტდება დეტალური დიზაინის ეტაპზე და წარმოდგენილი იქნება გზშ ანგარიშში. დაგეგმილი აქტივობის ფარგლებში მოეწყობა არაუმეტეს 50 და არანაკლებ 36 ტურბინისა, ხოლო თითოეული ტურბინისთვის გამოიყენება დაახლოებით 2 ჰექტარი ფართობი. აღნიშნა, რომ საპროექტო ტერიტორიების დადგენის შემდეგ, კომპანიის შესაბამისი დარგის ექსპერტი მოსახლეობასთან კომუნიკაციის საფუძველზე დაადგენს კერძო მიწის ნაკვეთების ზუსტ რაოდენობას და გატარდება შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიებები. ანაზღაურდება როგორც თავად ტერიტორიის, ასევე მასზე არსებული პლანტაციების ღირებულება.

შეხვედრების ოქმები მოცემულია მე-3 დანართში.

6 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა

6.1 ერგბ-ის ბსგშ პაკეტის გასაჯაროება და საჯარო კონსულტაციები

შინაარსიანი კონსულტაციების ჩასატარებლად იდენტიფიცირებულია დაინტერესებული მხარეთა ძირითადი სამიზნე ჯგუფები:

- **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მფლობელები და მიწით მოსარგებლები** (ეკონომიკური განსახლება). მაქსიმუმ 120 ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობა.⁴

⁴ ყველა ტურბინისა და ქვესადგურის ტერიტორიისთვის უკვე შესყიდული კერძო მიწის ნაკვეთები. მისასვლელი გზებისთვის კერძო მიწების შესყიდვა ჯერ არ დასრულებულა.

მიწის შესყიდვის პარალელურად მიმდინარეობს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწების მფლობელების / მოსარგებლების სოციო-ეკონომიკური კვლევა. დღემდე პირისპირ გამოკითხულია 117 ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახი. პროექტის სოციალური მენეჯერი პირადად ახორციელებს ინტერვიუებს. ინტერვიუები ტარდება უშუალოდ ოჯახებში ძირითადად ორ ვიზიტად. პირველი ვიზიტი მოიცავს შეკითხვებს რომელიც დეტალურად აღწერს შინამეურნეობის შემადგენლობას, შინამეურნეობის საკუთრებას (საცხოვრებელი, მიწის ნაკვეთები, ა.შ.), შემოსავლის წყაროებს, დასაქმების სტატუსს, სპეციალური სტატუსების იდენტიფიცირებას (სახელმწიფო შემწეობა, იძულებით გადაადგილებული პირი, შეზღუდული შესაძლებლობები, ა.შ.), საზოგადოებრივი სამოვრების გამოყენებას, და პროექტის ზემოქმედების შეფასებას (სარგებელი და ზიანი). მეორე ვიზიტისას ხდება მიწის შესყიდვის პროცესზე ინფორმაციის დაზუსტება. მეორე ვიზიტის კითხვები დაესმით მხოლოდ იმ შინამეურნეობებს სადაც მიწის გამოსყიდვის პროცესი უკვე დასრულებულია. მიწის მფლობელების / მოსარგებლების საბაზისო სოციო-ეკონომიკური კვლევა დასრულდება 2024 წლის აგვისტოში. რაოდენობრივი კვლევის გარდა გამოყენებული იქნება თვისებრივი კვლევის ტექნიკა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახებიდან მოწყვლადი სპეციფიური ჯგუფების საჭიროებების გამოსავლენად: ქალები, სოციალური დახამრების მიმღები შინამეურნეობები / შშმ პირები, ფერმერები (მცირე ბიზნესი), და ახალგაზრდები. კერძოდ ჩატარდება ფოკუსური ჯგუფური დისკუსიები იდენტიფიცირებულ სამიზნე სეგმენტთან.

- **ადგილობრივი ბიზნესები** რომლებიც ჩართულია სასოფლო-სამეურნეო ან სამშენებლო მასალის წარმოებაში. ადგილობრივად მოიაზრება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ან გვერდით სოფლები. მთლიანობაში მხოლოდ ერთი კომპანიიდან მოხდა პროექტისთვის მიწის შესყიდვა. ამჟამად ადგილობრივად ძირითად დაინტერესებულ მხარედ 10 ბიზნესია იდენტიფიცირებული.
- **ადგილობრივი ხელისუფლება** - უშუალოდ და ირიბად ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემები. უშუალო ზემოქმედების ქვეშ ხვდება სოფლები რუისი და ურბნისი ქარელის რაიონში და საქაშეთი, არაშენდა და შინდისი გორში. თუმცა, ბსგშ კონსულტაციების პროცესში პროექტზე ინფორმაცია მიწოდებული იყო მახლობელ თემებშიც; ბრეთი, დირბი, ბებნისი ქარელში და ვარიანი გორში.
- ქარელის და გორის რაიონების **მუნიციპალური ხელისუფლება**.
- გარემოს და სოციალურ თემებზე მომუშავე **არასამთავრობო ორგანიზაციები**, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები რომლებიც ოპერირებენ პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტებში. ქარელის მუნიციპალიტეტში მსგავსი ორგანიზაციები არ ფიქსირდება. გორში ფუნქციონირებს არასამთავრობო ორგანიზაციები, თუმცა, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ არცერთ სოფელში არ აქვთ მიმდინარე პროექტები.

- უშუალო ზემოქმედების ქვეშ მოქცეული სოფლების მოსახლეობა: რუისი, ურბნისი (ქარელის მუნიციპალიტეტი⁵) და საქაშეთი, არაშენდა, შინდისი (გორის მუნიციპალიტეტი)⁶. ახლომდებარე სოფლების მოსახლეობაც შეიძლება მოიზაროს პროექტის სამიზნე სეგმენტად.
- ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები – გორის და ქარელის მუნიციპალიტეტები პრესის და ტელევიზიის ჩათვლით.

ბსგშ პროცესის დროს დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებისთვის მათთან მიმდინარე კონსულტაციების შესახებ გამოყენებულია / გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები:

- ბსგშ პაკეტი გამოქვეყნდა 2024 წლის 10 მაისს. პაკეტის ინგლისური ვერსია გამოქვეყნდა ერგბ-ის ვებ-გვერდზე, ხოლო ქართული და ინგლისური ვერსიები – სს „ვინდ ფაუერ“-ის ვებ-გვერდზე. არატექნიკური რეზიუმე და პროექტის ბუკლეტები ხელმისაწვდომია გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტების სამსახურებში, ასევე შვიდი სათემო ცენტრის/სოფლის ადმინისტრაციულ შენობაში, რომლებიც უშუალოდ / ან ირიბად ხვდებიან პროექტის ზემოქმედების ქვეშ (რუისი, ურბნისი, ბრეთი, ბებისი, დირბი, ვარიანი და შინდისი) და რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტის საჯარო საინფორმაციო ცენტრში (სსც);
- პროექტის ბროშურები და ბუკლეტები – ურიგდება მოწყვლად ჯგუფებს და ხელმისაწვდომია მათთვის, ვინც ვერ დაესწრება ბსგშ პაკეტის გასაჯაროების სესიებს. არატექნიკური რეზიუმე, ბროშურები და ბუკლეტები, რომლებიც ხელმისაწვდომია გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტების მუნიციპალურ დაწესებულებებში. ბროშურები მოიცავს პროექტის უარყოფითი და დადებითი ზემოქმედების შეჯამებას, აგრეთვე ინფორმაციას საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ;
- 2024 წლის აპრილ-ივლისის პერიოდში ჩატარდა საჯარო კონსულტაციები გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტების სოფლებში. შეხვედრებზე მოწვეულნი იყვნენ ორივე კატეგორიის - ზემოქმედებაზე და ინტერესზე დაფუძნებული დაინტერესებული მხარეები. აუცილებელი არ არის შეხვედრების ჩატარება თითოეულ სოფელში. ერთმანეთთან ახლოს მდებარე რამდენიმე სოფლის მაცხოვრებლებთან შეხვედრისას შეიძლება გამართოს კონსულტაცია ერთ, მათთვის ყველაზე მოსახერხებელ ადგილას ან სოფელში, რომელსაც აქვს პატარა სოფლების ჯგუფის საზოგადოებრივი ცენტრის სტატუსი. თუმცა საჭიროა, რომ პროექტის ზონაში ყველა სოფლის თემი იყოს ინფორმირებული დაგეგმილი შეხვედრების შესახებ და ჰქონდეს წვდომა შეხვედრის ადგილზე. 2024 წლის აპრილ-ივლისის პერიოდში სამიზნე სოფლებში სულ ჩატარდა 7 საჯარო საკონსულტაციო შეხვედრა;
- 2024 წლის 25 ივნისს ჩატარდა ერთი შეხვედრა გორში (მუნიციპალიტეტი: გ. ფერაძის N5, გორი, 15:00 საათზე), რადგან, სავარაუდოდ, დაინტერესებული მხარეების ბევრი წარმომადგენელი ან იქ ცხოვრობს ან იქა დაფუძნებული. ერთი შეხვედრა, ასევე, გაიმართა ქარელში 2024 წლის 25 ივნისს (მუნიციპალიტეტი: ქარელი, ნონეშვილის ქ. N3, 12:00 საათზე). პირისპირ და სატელეფონო შეტყობინებების გარდა შემდეგი საკომუნიკაციო

⁵ ჯამში რუისსა და ურბნისში 1760 შინამეურნეობაა 2014 წლის საყოველთაო აღწერის თანხამად – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია.

⁶ ჯამში საქაშეთში, არაშენდასა და შინდისში 642 შინამეურნეობაა 2014 წლის საყოველთაო აღწერის თანხამად – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია.

არხები იქნა გამოყენებული დაინტერესებული მხარეების ქარელის და გორის შეხვედრებზე ინფორმირების მიზნით:

N	პლატფორმა	დასახელება	თარიღები
1	პრესა	ქარელის მოამბე	14.06.2024
2	პრესა	გორის მაცნე	9.06.2024
3	ტელევიზია	ტვ მონიტორინგი	20.06.2024-24.06.2024
4	ტელევიზია	ტელეკომპანია დია	20.06.2024-24.06.2024
5	ვებ გვერდი	გორის მაცნე (www.gmnews.ge)	17.06.2024
6	ვებ გვერდი	ტვ მონიტორინგი (www.tvmonitoringi.ge)	20.06.2024
7	ვებ გვერდი	სს ვინდ ფაუერი (www.windpower.ge)	13.06.2024
8	ფეისბუქი	გორის მაცნე	17.06.2024
9	ფეისბუქი	ქარელის მუნიციპალიტეტის მერია	19.06.2024
10	ფეისბუქი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	20.06.2024
11	ფეისბუქი	ტვ მონიტორინგი (907 ნახვა, 13 გაზიარება)	20.06.2024
12	ფეისბუქი	სოციალური გვერდი „რუისი“	19.06.2024
13	ფეისბუქი	ურბნისის ადმინისტრაციული ერთეული	19.06.2024
14	ფეისბუქი	ბრეთის ადმინისტრაციული ერთეული	19.06.2024
15	ფეისბუქი	დირბის ადმინისტრაციული ერთეული	19.06.2024
16	ფეისბუქი	შინდისის ადმინისტრაციული გვერდი	16.06.2024

- ცალკე საჯარო განხილვა ჩატარდა არასამთავრობო სექტორთან თბილისში. საჯარო კონსულტაცია შედგა 2024 წლის 2 ივლისს, 12 სთ-ზე, ქორთიარდ მერიოტ თბილისში, თავისუფლების მოედანი N4. შეხვედრის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულ იქნა პროექტის ვებ გვერდზე. ყველა იდენტიფიცირებული არასამთავრობო ორგანიზაციის დაპატიჟება მოხდა ელ. ფოსტის და სატელეფონო ზარების მეშვეობით.
- LRLR პროცესის ფარგლებში ჩატარდება ინდივიდუალური კონსულტაციები, ორმხრივი შეხვედრები და შეხვედრები ფოკუს-ჯგუფებთან ზემოქმედებაზე დაფუძნებულ დაინტერესებულ მხარეებთან, LRLRF-ის გასაჯაროების დაწყებიდან მიწის შესყიდვის პროცესის დასრულებამდე;
- სოციალური მედია – შეიძლება მოიცავდეს ინტერნეტ პლატფორმების გამოყენებას, როგორცაა Zoom და ა.შ. პროექტის შესახებ გასაჯაროებული ინფორმაციის გადასაცემად. ეს მექანიზმი შეიძლება გამოიყენოს სს „ვინდ ფაუერ“-მა ერთიანი საჯარო კონსულტაციის მოსაწყობად იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რომლებსაც არ შეუძლიათ სოფლებში საკონსულტაციო შეხვედრებზე დასწრება. ამას გარდა, სოციალური მედიის ისეთი პლატფორმა როგორცაა Facebook აქტიურად გამოიყენება დაინტერესებული მხარეებისთვის მიმდინარე საჯარო შეხვედრებზე ინფორმაციის

მისაწოდებლად. კერძოდ, შემდეგი Facebook გვერდების გამოყენება მოხდა განცხადების გასავრცელებლად: ადგილობრივი გაზეთი („გორის მაცნე“), ადგილობრივი ტელევიზია (ტვ მონიტორინგი და ტვ დია), მუნიციპალური მერია (გორი და ქარელი), და ადგილობრივი თემები / სოფლები (რუისი, ურბნისი, შინდისი, დირბი, ბრეთი ა.შ.);

- მასმედია – მედია (გაზეთები, ტელევიზია) რეგიონული მასშტაბით გამოიყენება და გამოყენებული იქნება დაგეგმილი საჯარო შეხვედრების რეკლამირებისთვის და ადგილობრივი თემებისა და ფართო საზოგადოების ინფორმირებისთვის პროექტის ძირითადი მახასიათებლების შესახებ. კერძოდ, 2024 წლის 25 ივნისის შეხვედრების შესახებ განცხადებები განთავსდა გორის და ქარელი რაიონის გაზეთებში (გორის გაზეთის შემთხვევაში განცხადება ასევე განთავსდა გაზეთის ვებ გვერდსა და Facebook პლატფორმაზე). 2024 წლის 25 ივნისის შეხვედრაზე საინფორმაციო ვიდეო ასევე ეთერში გავიდა ორი ადგილობრივი ტელევიზიის მეშვეობით (ინფორმაცია შეხვედრამდე რამდენიმე დღის განმავლობაში დღეში ათჯერ გადიოდა ორივე ტელე არხზე);
- სატელეფონო კომუნიკაცია / ვიზიტები – მიმდინარე საჯარო შეხვედრებამდე ყველა იდენტიფიცირებულ მიწის მფლობელთან / მოსარგებლესთან, ასევე ადგილობრივ ბიზნესებთან ხორციელდება სატელეფონო ზარები დროის და ადგილის შეტყობინების მიზნით. ასევე ხდება შეხვედრისთვის ტრანსპორტირების შეთავაზება. ზოგ შემთხვევაში ხორციელდება ვიზიტები (მოწყვლად ჯგუფებთან). პროცესში ჩართულია პროექტის სოციალური და მიწის შესყიდვის გუნდი;
- დაგეგმილ საჯარო შეხვედრებზე დაბეჭდილი განცხადებები გამოკრულია ყველა საჯარო ადგილას ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სოფლებში (ავტობუსის გაჩერებები, მარკეტები, ა.შ.). განცხადებები ასევე განთავსებულია ადგილობრივი ხელისუფლების ადმინისტრაციულ შენობებში და მუნიციპალური მერიების საინფორმაციო დაფებზე;
- შეხვედრების დროს მოხდება / ხდება მოსახლეობის და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მიერ წამოჭრილი საკითხების აღრიცხვა და პროტოკოლების შედგენა. წერილობითი შენიშვნები განიხილება წერილობით მათი მიღებიდან ორი კვირის განმავლობაში. შეხვედრების დროს ბროშურების სახით მიწოდებული იქნება კომენტარებისა და საჩივრების გაგზავნაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია.

6.1.1 მოწყვლადი ჯგუფები – მიზნობრივი კონსულტაციები

კონსულტაციები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ყველა დაუცველ ჯგუფთან ჩატარდება პირისპირ, სახლში ვიზიტების მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი კონსულტაციები უკვე ჩატარებულია, ისინი გრძელდება დიზაინის ცვლილებების შესაბამისად. მიმდინარე კონსულტაციები დეტალურ ინფორმაციას აწვდის დაინტერესებულ მხარეებს პროექტის და მისი ზემოქმედების თაობაზე.

პროექტის შესახებ არსებული სიახლეები, ბროშურები ან საჭირო მასალები პირადად გადაეცემა თითოეულ გამოვლენილ მოწყვლად ოჯახს ან ინდივიდს (ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთების მფლობელების/მოსარგებლების სოციო-ეკონომიკური საბაზისო კვლევა; პირისპირ შეხვედრები და კონსულტაციები ყველა ადგილობრივ მცხოვრებთან 2022 წლიდან). ამასთან ერთად, პროექტის საინფორმაციო ცენტრში მოეწყობა ფოკუს ჯგუფური დისკუსიები შემდეგ მოწყვლად ჯგუფებთან: ქალ შინამეურნეობების უფროსებთან, სიღარიბის ზღვარს ქვეშ მყოფი პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობების ქალ წევრებთან, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ან მათ მომვლელებთან. ყველა პირი, რომელსაც გადაადგილების სირთულე ჰქონდა, პირადად მოინახულა სახლში პროექტის სოციალურმა გუნდმა ან უზრუნველყო

შესაბამისი ტრანსპორტი, რათა ეს პირები დასწრებოდნენ პროექტის ფარგლებში დაგეგმილ სამიზნე ჯგუფურ დისკუსიებს ან სხვა კონსულტაციებს (19 მოწყვლადი ოჯახი რუისში, საქაშეთში და არაშენდაში).

6.1.2 გასაჯაროებული გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტები

ბსგშ დოკუმენტების გასაჯაროებულ პაკეტში შედის:

- ბსგშ
- მიწის შესყიდვისა და საარსებო წყაროს აღდგენის ჩარჩო-სახელმძღვანელო
- არატექნიკური რეზიუმე
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა
- გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა

ბსგშ პაკეტის გასაჯაროება განხორციელდება კრედიტორების მოთხოვნის შესაბამისად (ESP 2019 PR1 და PR10). გასაჯაროების სესიებში ჩართულნი იქნებიან მთავარი დაინტერესებული მხარეები, როგორც ეს არის განსაზღვრული დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის წინამდებარე გეგმაში. გასაჯაროების მიზანი იქნება ბსგშ-ს პროცესის შედეგების წარდგენა, აგრეთვე რჩევების მიცემა ძირითად შემარბილებელ და მართვის ზომებთან დაკავშირებით, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის კონკრეტული ელემენტების ჩათვლით, როგორცაა საჩივრების მექანიზმი და მასზე წვდომა.

ბსგშ პაკეტი გამოქვეყნდა 2024 წლის 10 მაისს. პაკეტის ინგლისური ვერსია გამოქვეყნებულია ერგბ-ის ვებ-გვერდზე, ხოლო ქართული და ინგლისური ვერსიები – სს „ვინდ ფაუერ“-ის ვებ-გვერდზე. მთლიანი ბსგშ პაკეტის ნაბეჭდი ასლები (და არა მხოლოდ შერჩეული დოკუმენტები) ხელმისაწვდომია ერგბ და სს „ვინდ ფაუერის“ ოფისებში.

ბსგშ-ს არატექნიკური რეზიუმეს, მიწის შესყიდვისა და საარსებო წყაროს აღდგენის ჩარჩო-სახელმძღვანელოსა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის (მათ შორის, საჩივრების მექანიზმის) ქართულად ნათარგმნი ბეჭდური ასლები ხელმისაწვდომია ქარელის და გორის მუნიციპალიტეტების დაწესებულებებსა და რუისის ქარის ენერჯის პროექტის საჯარო საინფორმაციო ცენტრში (სსც) და შვიდი საზოგადოებრივი ცენტრის ადმინისტრაციულ შენობებში / სოფლებში, რომლებიც უშუალოდ პროექტის ზემოქმედების ქვეშაა (რუისი, ურბნისი, ბრეთი, ბებისი, დირბი, ვარიანი და შინდისი), რათა უზრუნველყონ ადგილობრივ თემებთან ჩართულობა, მიიღონ მათი საჩივრები და ხელი შეუწყონ რეკრუტირების პროცესს პროექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზებზე. სსც ოფისი შეიქმნა სოფ. რუისში. საზოგადოებრივი საინფორმაციო ცენტრისთვის ჩატარდა კვალიფიკაციის ზრდის პროგრამა და ტრენინგები.

6.1.3 ინფორმაციის გასაჯაროების პროცესი

ბსგშ-ს არატექნიკური რეზიუმეს, მიწის შესყიდვისა და საარსებო წყაროს აღდგენის ჩარჩო-სახელმძღვანელოსა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმას (მათ შორის, საჩივრების მექანიზმს) გააცნეს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს (შესაბამისად, ზემოქმედებაზე და ინტერესებზე დაფუძნებული დაინტერესებული მხარეები) გასაჯაროების შეხვედრებზე. მოცემულ

შეხვედრებს მათ გარდა დაესწრებიან ადგილობრივი თემები, პუბლიკები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი ხელისუფლება და ა.შ.

2024 წლის 25 ივნისს ჩატარდა საჯარო კონსულტაციები გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტებში⁷. დაინტერესებულ პირებისთვის იქნ უზრუნველყოფილი ავტობუსი თბილისიდან მუნიციპალიტეტების მიმართულებით საჯარო კონსულტაციებზე დასასწრებად. ტრანსპორტირება შეთავაზებულ იქნა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული სოფლების მსოახლეობისთვისაც. საკონსულტაციო შეხვედრებზე დასასწრებად მოწვეული დაინტერესებული მხარეები წარმოადგენენ ყველა სოფელს, რომელიც მდებარეობს პროექტის გავლენის ზონაში ან მის მახლობლად:

- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლები: რუისი, ურბნისი, ბებნისი, ბრეთი, დირბი, სასირეთი;
- გორის მუნიციპალიტეტის სოფლები: საქაშეთი, არაშენდა, შინდისი.

შეხვედრები გაიმართა პროექტის უშუალო და არაპირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ რვა სოფელში:

- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლები – რუისი, ურბნისი, ბრეთი, ბებნისი და დირბი;
- გორის მუნიციპალიტეტის სოფლები – საქაშეთი, არაშენდა და შინდისი.

საჯარო შეხვედრებზე დაინტერესებული პირების მოსაწვევი სარეკლამო განცხადებები განთავსებული იყო საზოგადოებრივ საინფორმაციო ცენტრებში, ასევე მუნიციპალურ დაწესებულებებში, დაგეგმილ შეხვედრებამდე 2 კვირით ადრე. შეტყობინებები შეიცავს ინფორმაციას შეხვედრის თემის, ადგილის, ადგილმდებარეობის, თარიღისა და დროის შესახებ. განცხადებები ასევე განთავსდა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი სოფლების საჯარო ადგილებში ყოველი საჯარო შეხვედრის წინ თითოეულ ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემში/სოფელში შეხვედრის დეტალებით: თარიღი, დრო და ადგილი. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ოჯახები (პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მიწის ნაკვეთების მფლობელები/მომხმარებლები) ინფორმირებული იყვნენ ტელეფონით ყველა საჯარო შეხვედრის შესახებ. მათ ნაწილს, ასევე, პირადად ესტუმრნენ შესაბამის სოფლებში საჯარო შეხვედრების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად.

მასმედია – მედია (გაზეთები, ტელევიზია) რეგიონული მასშტაბით გამოიყენება დაგეგმილი საჯარო შეხვედრების რეკლამირებისთვის და ადგილობრივი თემებისა და ფართო საზოგადოების ინფორმირებისთვის პროექტის ძირითადი მახასიათებლების შესახებ კერძოდ, 2024 წლის 25 ივნისის შეხვედრების შესახებ განცხადებები განთავსდა გორის და ქარელი რაიონის გაზეთებში (გორის გაზეთის შემთხვევაში განცხადება ასევე განთავსდა გაზეთის ვებ გვერდსა და Facebook პლატფორმაზე). 2024 წლის 25 ივნისის შეხვედრაზე საინფორმაციო ვიდეო ასევე ეთერში გავიდა ორი ადგილობრივი ტელევიზიის მეშვეობით (ინფორმაცია შეხვედრამდე რამდენიმე დღის განმავლობაში დღეში ათჯერ გადიოდა ორივე ტელე არხზე).

სოფლებში და მუნიციპალიტეტების ცენტრებში შეხვედრების გარდა საჯარო განხილვა მოეწყო თბილისშიც არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი ექსპერტებისთვის. შეხვედრა

⁷ შეხვედრების ადგილი შეირჩა საჯარო კონსულტაციების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე (ერგზ RP10 პუნქტი 25) .

ჩატარდა 2024 წლის 2 ივლისს. შეხვედრის დეტალები მოცემულია დანართ 6-ში. სულ საჯარო განხილვებს დაესწრო 174 ადგილობრივი მცხოვრები ზემოქმედების ქვეშ მოქცეული სოფლებიდან. ამას გარდა შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო ადგილობრივმა ხელისუფლებამ, 11-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ, ერთმა ბიზნესის წარმომადგენელმა და სამმა დამოუკიდებელმა ექსპერტმა. აღსანიშნავია, რომ ყველა დამსწრის დამოუკიდებულება პროექტისადმი პოზიტიურია.

საკონსულტაციო შეხვედრების დროს დამსწრეები ინფორმაციას იღებენ პროექტის დეტალების (ზემოქმედება და შედეგების შერბილება, ხარჯები და სარგებელი და ა.შ.), ასევე საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის და კომუნიკაციის საშუალებების შესახებ, რათა შენიშვნები და საჩივრები მიეწოდოს პროექტის განმცხადებლებს. მოცემულ ეტაპზე სს „ვინდ ფაურმა“ დანიშნა პირი, რომელიც პასუხისმგებელია კომენტარებისა და საჩივრების შეგროვებაზე, ხოლო ამ პასუხისმგებლობას მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე განახორციელებს საზოგადოებრივი საინფორმაციო ცენტრი.

საჩივრები და კომენტარები შეიძლება ასევე გაეგზავნოს ერგბ-ს, ხოლო დაინტერესებული მხარის დასტურის შემთხვევაში, პასუხისმგებელი პირი/საზოგადოებრივი საინფორმაციო ცენტრი დაეხმარება მას ერგბ-ში კომენტარების/საჩივრების წარდგენაში.

დამატებითი კონსულტაციები

ხმაურის შეფასება – შედეგები

კომპანია Meventus AS-მა, 2024 წლის ივლისში განახორციელა პროექტის შედეგად წარმოქმნილი ხმაურის შეფასება მისი საბოლოო დიზაინის საფუძველზე და მოამზადა ანგარიში. ESAP-ის (გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის) 1.12 პუნქტის მიხედვით მომზადებული „ქარის ელექტროსადგურის განლაგების განსაზღვრის პროცედურა“ აიტვირთება პროექტის ვებგვერდზე შეფასების შედეგებთან ერთად. განახლებულ ინფორმაციას დაინტერესებული მხარეები სექტემბერში სოფლებში საქმეთსა და რუისში დაგეგმილი კონსულტაციების დროს მიიღებენ⁸. ანგარიშის შედეგების თანახმად, ღამის ხმაურის ლიმიტის - 45 დბ-ის გადაჭარბება მოსალოდნელია მხოლოდ ერთი არასაცხოვრებელ შენობის შემთხვევაში (ეკლესია, რომელიც მდებარეობს რუისის სამხრეთ-ცენტრალურ ნაწილში), თუმცა, შემარბილებელ ღონისძიებად გამოყენებული იქნება ტურბინის შეზღუდვა (დაბალხმიან ოპერაციულ რეჟიმზე გადასვლა) ხმაურის 45 დბ-მდე შესამცირებლად, რაც მსოფლიო ბანკის გზამკვლევის თანახმად შეესაბამება ღამის საათებში ხმაურის დასაშვებ ნორმას. გარდა ამისა, ხსენებული შენობა ეკლესიას წარმოადგენს, რომელიც ღამით ცარიელია. სოფელ საქაშეთში მდებარე ხუთი შენობის შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ ღამის ხმაურის ზღვარი 45 დბ იქნება, პროექტის სოციალური გუნდი ამ კონკრეტულ შინამეურნეობებს კონსულტაციებზე დასასწრებადაც მიიწვევს და სახლში მიაწვდის განახლებულ ბროშურებსა და ინფორმაციას. ზოგადად, შეხვედრამდე 10 დღით ადრე, სოფლების საქაშეთისა და რუისის ყველა მცხოვრები ინფორმირებული იქნება საჯარო კონსულტაციის თარიღების, დროისა და ადგილის შესახებ სხვადასხვა წყაროს მეშვეობით, იქნება ეს ფეისბუქის

⁸ მიუხედავად იმისა, რომ მოსალოდნელი ხმაურის ზემოქმედება ყველაზე ცუდი სცენარიდან კი მსოფლიო ბანკის დაწესებული ნორმის ფარგლებშია (55 დბ დღისით და 45 დბ ღამით), მნიშვნელოვნად მიიჩნევა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია.. ასეთი მცირე ზემოქმედება ძირითადად ორ სოფელშია მოსალოდნელი: რუისსა და საქაშეთში. შესაბამისად, ამ ორ სოფელში ჩატარდება საკონსულტაციო შეხვედრები ხმაურის ზემოქმედების შესახებ განახლებული ინფორმაციის მისაწოდებლად.

გვერდები, პროექტის ვებგვერდი, დაბეჭდილი განცხადებები საჯარო სივრცეებში (ავტობუსის გაჩერებები, ბაზრები, ადგილობრივი თვითმმართველობის ოფისები და ა.შ.) თუ ინფორმაციის ზეპირსიტყვიერად გავრცელება⁹. 2024 წლის 3 სექტემბერს სოფელ საქაშეთში საჯარო საკონსულტაციო შეხვედრა დაგეგმილი, ხოლო სოფელ რუისში კონსულტაციები 2024 წლის 19 სექტემბერს გაიმართება. მოცემული შეხვედრები გახლავთ 2024 წელს გამართული საჯარო შეხვედრების ნაწილი. ისინი დაინტერესებულ მხარეებს მიაწვდიან დამატებით ინფორმაციას პროექტზე, 2024 წლის ივლისში დასრულებული ხმაურის შეფასების ანგარიშის შედეგების და პროექტის განახლებული დიზაინის ჩათვლით.

ჩრდილების ციმციმის შეფასება – შედეგები

კომპანია Meventus AS-მა, 2024 წლის ივლისში განახორციელა პროექტის შედეგად წარმოქმნილი ჩრდილების ციმციმის შეფასება მისი საბოლოო დიზაინის საფუძველზე და მოამზადა ანგარიში. ESAP-ის (გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის) 1.12 პუნქტის მიხედვით მომზადებული „ქარის ელექტროსადგურის განლაგების განსაზღვრის პროცედურა“ აიტვირთება პროექტის ვებგვერდზე შეფასების შედეგებთან ერთად. სექტემბერ - ოქტომბერში, სოფლებში საქაშეთი, არაშენდა, ურზნისი და რუისი დაგეგმილი კონსულტაციების დროს, დაინტერესებულ მხარეებს განახლებული ინფორმაცია მიეწოდება¹⁰. ანგარიშის თანახმად, ჩრდილების ციმციმის ზემოქმედების ქვეშ 1484 შენობა მოხვდება. აქედან გამომდინარე, განხორციელდება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები (ტურბინების გამორთვა) ასეთი ზემოქმედების დასაშვებ დონემდე შესამცირებლად. ყველა შესაძლო ზემოქმედების ქვეშ მყოფ შინამეურნეობებამდე ხმის მისაწვდენად, პროექტის გუნდი ინფორმაციას კონსულტაციების შესახებ გაავრცელებს ზემოქმედების ქვეშ ყველაზე მეტად მოქცეულ რაიონებში განცხადებების განთავსებით (საქაშეთის ჩრდილოეთი; რუისი და არაშენდა – პროექტის არეალის მახლობლად დასახლებული ტერიტორიები; რამდენიმე შენობა ურზნისში) გარდა ამისა, განახლებული ბროშურები და განცხადებები შესაბამის რაიონებში შემთხვევითი პრინციპით (ყოველი მეათე სახლი) დაურიგდება მოსახლეობას, სამიზნე ადგილებში ინფორმაციის ფართოდ გავრცელების მიზნით. შეხვედრებამდე ათი დღით ადრე¹¹ ინფორმაცია შეხვედრების შესახებ განთავსდება პროექტის ვებგვერდსა და შესაბამისი სოფლების/მუნიციპალიტეტების ფეისბუქ გვერდებზე. კონსულტაციების განრიგი ასეთია:

- ✓ საქაშეთი –3 სექტემბერი, 2024;
- ✓ რუისი –19 სექტემბერი, 2024;
- ✓ არაშენდა –3 ოქტომბერი, 2024;
- ✓ ურზნისი –16 ოქტომბერი, 2024.

9 კონსულტაციების განრიგი პროექტის ვებგვერდზე აგვისტოს შუა რიცხვებში, განახლებულ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმაშიც იქნება წარმოდგენილი.

10 ანგარიშში გამოვლენილია ჩრდილების ციმციმის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველაზე ახლოს მდებარე 1484 შენობა, რომლებიც ძირითადად ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ოთხ სოფელშია, ესენია: საქაშეთი, არაშენდა, ურზნისი და რუისი.

11 კონსულტაციების განრიგი ასევე წარმოდგენილი იქნება აგვისტოს შუა რიცხვებში პროექტის ვებგვერდზე განთავსებულ განახლებულ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმაში.

6.1.4 პროექტის საინფორმაციო მასალები

ზემოაღნიშნული გასაჯაროებული დოკუმენტების გარდა, საინფორმაციო მასალებში შედის:

- ბროშურები და ბუკლეტები, რომლებიც აღწერს პროექტს (ძირითადი მახასიათებლები, ზემოქმედება, შერბილება) ძალიან მარტივ, არატექნიკურ ფორმატში. ბროშურები და ბუკლეტები დარიგდება და გავრცელდება საჯარო საკონსულტაციო შეხვედრების დროს და ხელმისაწვდომია მუნიციპალურ დაწესებულებებში, საზოგადოებრივ საინფორმაციო ცენტრებში და პროექტის უშუალო ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ შვიდ სათემო ცენტრის/სოფლის (რუისი, ურბნისი, ბრეთი, ბებისი, დირბი, ვარიანი და შინდისი) ადმინისტრაციულ შენობაში.
- PowerPoint პრეზენტაციები, რომლებიც აღწერს პროექტს (ძირითადი მახასიათებლები, ზემოქმედება, შერბილება). პრეზენტაციები წარმოდგენილი იქნება საჯარო საკონსულტაციო შეხვედრების დროს და ხელმისაწვდომი იქნება მუნიციპალურ დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ საინფორმაციო ცენტრებში.

6.1.5 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა ბსგზმ გასაჯაროების პერიოდში

ცხრილი 6-1 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა ბსგზმ გასაჯაროების პერიოდში

აქტივობა	სამიზნე დაინტერესებული მხარეები	ჩართულობის მეთოდი	ვადები და სიხშირე
ბსგზმ და გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტების გასაჯაროება	ყველა იდენტიფიცირებული დაინტერესებული მხარე (ზემოქმედებასა და ინტერესებზე დაფუძნებული, მოწყვლადი ჯგუფების ჩათვლით)	კრედიტორებთან შეთანხმების შემდეგ ბსგზმ კვლევა, არატექნიკური რეზიუმე, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა და მიწის შესყიდვისა და საარსებო წყაროს აღდგენის ჩარჩო-დოკუმენტი სრულად იქნება გასაჯაროებული ონლაინ. დოკუმენტები ხელმისაწვდომი იქნება სს „ვინდ ფაუნდ“-ის ვებგვერდზე ფინანსურ დახურვამდე. საჭიროების შემთხვევაში, დაინტერესებულ მხარეებს აქვთ შესაძლებლობა გააკეთონ კომენტარი ან მოითხოვონ დამატებითი ინფორმაცია გასაჯაროების პერიოდში. არატექნიკური რეზიუმე, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა და მიწის შესყიდვისა და საარსებო წყაროს აღდგენის ჩარჩო-დოკუმენტი ხელმისაწვდომი იქნება გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტების ოფისებში. PowerPoint პრეზენტაცია ასახავს არატექნიკურ რეზიუმეს და მიწის შესყიდვისა და საარსებო წყაროს აღდგენის ჩარჩო-დოკუმენტს. ეს დოკუმენტები ასევე გამოქვეყნდება კრედიტორის ვებგვერდზე, მათ შორის ერგბ-ის და შეიცავს ბსგზმ კვლევას, არატექნიკურ რეზიუმეს, მიწის	გასაჯაროების თარიღია 2024 წლის მაისი გასაჯაროების პერიოდი 60დღე ერგბ-ის ფინანსურ დახურვამდე

აქტივობა	სამიზნე დაინტერესებული მხარეები	ჩართულობის მეთოდი	ვადები და სიხშირე
		<p>შესყიდვისა და საარსებო წყაროს აღდგენის ჩარჩო-დოკუმენტს, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის წინამდებარე გეგმას და გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმას ქართულ და ინგლისურ ენებზე.</p> <p>საკონტაქტო პირი ხელმისაწვდომი იქნება ადგილობრივი მოსახლეობისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული მხარისთვის, რათა მათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები პროექტის შესახებ, ასევე დაუსვან შეკითხვები მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.</p>	
<p>კონსულტაციები, დაკავშირებული ბსგზმ-ს გასაჯაროებულ პაკეტთან</p>	<p>ყველა იდენტიფიცირებული დაინტერესებული მხარე (ზემოქმედებასა და ინტერესებზე დაფუძნებული, მოწყვლადი ჯგუფების ჩათვლით)</p>	<p>შეხვედრები დაგეგმილია პროექტის უშუალო ზემოქმედების ქვეშ მყოფ რვა სოფელში:</p> <ul style="list-style-type: none"> - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლები – რუისი, ურზნისი, ზებნისი, ბრეთი დირბი; - გორის მუნიციპალიტეტის სოფლები – საქაშეთი, არასენდა და შინდისი. <p>საჭიროების შემთხვევაში არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის შეიძლება დაიგეგმოს Zoom-ში შეხვედრა, ორგანიზებული სს „ვინდ ფაუერ“-ის საკონტაქტო პირის მიერ.</p> <p>გარდა ამისა, არატექნიკური რეზიუმეს, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის და მიწის შესყიდვისა და საარსებო წყაროს აღდგენის ჩარჩო-დოკუმენტის ნაბეჭდი ასლები ხელმისაწვდომი იქნება მუნიციპალურ სამსახურებში ქართულ ენაზე, რათა მათზე იოლი წვდომა ჰქონდეთ ხანდაზმულებს და მათ, ვისაც არ აქვთ ინტერნეტი.</p>	<p>გასაჯაროების თარიღია 2024 წლის 10 მაისი</p> <p>საჯარო შეხვედრებზე დაინტერესებული პირების მოწვევის სარეკლამო განთავსებული იყო და განთავსდება მუნიციპალურ სამსახურებში 2024 წლის მაის-ივნისში.</p> <p>2024 წლის ივნის-ივლისის განმავლობაში ჩატარდება საჯარო კონსულტაციები გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტების სოფლებში.</p>
	<p>ზემოქმედების ქვეშ მყოფი ჯგუფები; მოწყვლადი ჯგუფები</p>	<p>იმ შემთხვევაში, თუ ზემოქმედების ქვეშ მყოფი ან მოწყვლადი დაინტერესებული მხარეები ვერ შეძლებენ ინტერნეტში გამოქვეყნებულ დოკუმენტებზე წვდომას, ჩატარდება ინდივიდუალური და ორმხრივი შეხვედრები ბსგზმ-ის არატექნიკური რეზიუმეს, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის და მიწის შესყიდვისა და საარსებო წყაროს აღდგენის პროცესის შედეგების, გასაჩივრების პროცესის ხელმისაწვდომობისა და კომპენსაციის ან განსახლების პრინციპებისა და განრიგის შესახებ.</p>	

აქტივობა	სამიზნე დაინტერესებული მხარეები	ჩართულობის მეთოდი	ვადები და სიხშირე
		<p>ინდივიდუალური კონსულტაციები და შეხვედრები ფოკუს-ჯგუფებში მოეწყობა იმ შინამეურნეობებთან და კომერციულ სტრუქტურებთან, რომლებიც განიცდიან მიწის გამოყენებით გამოწვეულ ზემოქმედებას მიწის შესყიდვისა და საარსებო წყაროს აღდგენის პროცესში.</p> <p>სს „ვინდ ფაუერ“-ის წარმომადგენლები მონახულბენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა ოჯახებს და საჭიროების შემთხვევაში გაუზიარებენ არატექნიკური რეზიუმესა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის ასლებს.</p>	

ერგბ-ის გასაჯაროების 60-დღიანი პერიოდის ბოლოს შემუშავდება საჯარო კონსულტაციებისა და ინფორმაციის გამჟღავნების ანგარიში დამატებითი კონსულტაციებისა და უკუკავშირის საფუძველზე, რომელიც განხორციელდა გასაჯაროების პერიოდში. შემდეგ ანგარიში უკუკავშირის შესახებ გამოქვეყნდება სს „ვინდ ფაუერ“-ის ვებგვერდზე ბსგზმ-ს საბოლოო პაკეტთან ერთად, რომელიც განმარტავს განხორციელებულ გასაჯაროების ღონისძიებებს, მიღებულ გამოხმაურებას, აგრეთვე არის თუ არა ის გათვალისწინებული ბსგზმ-სა და მართვის საბოლოო გეგმებში და რა გზით.

6.2 ქართული მხარის გზმ გასაჯაროება და საჯარო კონსულტაციები

6.2.1 ეროვნული ნორმები საჯარო კონსულტაციის შესახებ

საჯარო კონსულტაციების ჩატარების მოთხოვნები და პროცედურები, აგრეთვე ინფორმაციის გამჟღავნებისა და განხილვისთვის დადგენილი ვადები დეტალურად არის აღწერილი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7, მე-9 და მე-12 მუხლებში.

დეტალური აღწერა მოცემულია თავში 3.1 „ეროვნული მოთხოვნები“.

საჯარო განხილვები უნდა მოეწყოს მხოლოდ სკოპინგისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების დადგენის ეტაპებზე. სკოპინგის ეტაპისთვის საჯარო განხილვა უკვე ჩატარდა 2022 წლის ოქტომბერში და აღწერილია თავში 5.2.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გამოცემის ეტაპზე საჯარო განხილვა უნდა მოეწყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან არაუადრეს 25 დღისა და არაუგვიანეს 30 დღისა. საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვის ჩატარებამდე არაუგვიანეს 20 დღისა.

საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- განსახილველი საკითხის არსი და მოკლე აღწერა, საკითხის განხილვის ფორმატი;
- საჯარო განხილვის ჩატარების დროის, ადგილისა და წესის შესახებ;

- იმ ვებგვერდის მისამართი, რომელზედაც ხელმისაწვდომია ეს განცხადება, გზმ-ის ანგარიში და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, აგრეთვე მითითება საჯარო განხილვის დროს აღნიშნული დოკუმენტების ნაბეჭდი ეგზემპლარების მიღების შესაძლებლობის შესახებ.

6.2.2 ეროვნული დონის გზმ კონსულტაციების წინასწარი გრაფიკი

სკოპინგის ანგარიშის გასაჯაროება და ჩატარებული საჯარო საკონსულტაციო შეხვედრები აღწერილია წინამდებარე თავში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის შესახებ.

ქართული გზმ-ის დასრულებისა და გასაჯაროების სავარაუდო ვადები არის 2024 წლის ივნის-ივლისში.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გამოცემის გზმ-ს ეტაპზე საჯარო განხილვა უნდა მოეწყოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გზმ-ს პაკეტის წარდგენიდან და გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაზე განაცხადის რეგისტრაციიდან არა უადრეს 25 და არაუგვიანეს 30 დღის ვადაში. საექსპერტო კომისია ამზადებს და სამინისტროს წარუდგენს საექსპერტო დასკვნას გზმ ანგარიშის შესახებ კომისიის შექმნიდან 40 დღის ვადაში და ამ მომენტისთვის კონსულტაციების პროცესის საფუძველზე საჯარო შენიშვნები წარედგინება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

ამრიგად, საჯარო საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარების სავარაუდო ვადაა 2024 წლის ივლისი-აგვისტოს ბოლოა.

ცხრილი 6-2 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა საქართველოს გზმ პროცესისთვის

აქტივობა	სამიზნე დაინტერესებული მხარეები	ჩართულობის მეთოდი	ვადები და სიხშირე
გზმ დოკუმენტების გამჟღავნება	ყველა იდენტიფიცირებული დაინტერესებული მხარე (ზემოქმედებასა და ინტერესებზე დაფუძნებული, მოწყვლადი ჯგუფების ჩათვლით)	გზმ კვლევა და არატექნიკური რეზიუმე სრულად იქნება გასაჯაროებული ონლაინ. დოკუმენტები ხელმისაწვდომი იქნება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე. გზმ-ის და არატექნიკური რეზიუმეს ნაბეჭდი ასლები ხელმისაწვდომი იქნება გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტების სამსახურებში. საკონტაქტო პირი ხელმისაწვდომი იქნება ადგილობრივი მოსახლეობისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული მხარისთვის, რათა მათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები პროექტის შესახებ, ასევე დაუსვან შეკითხვები მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.	გასაჯაროების თარიღი არის 2024 წლის 10 მაისი 30-დღიანი გასაჯაროების პერიოდი
კონსულტაციები, დაკავშირებული ბსგზმ-ს გასაჯაროებულ	ყველა იდენტიფიცირებული დაინტერესებული მხარე	შეხვედრებს დაგეგმავს სსიპ გარემოსდაცვითი საინფორმაციო და განათლების ცენტრი.	საჯარო განხილვა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

პაკეტთან	(ზემოქმედებასა და ინტერესებზე დაფუძნებული, მოწყვლადი ჯგუფების ჩათვლით)	მოსალოდნელია, რომ 4 შეხვედრა დაიგეგმება სკოპინგის გასაჯაროების პროცესის ანალოგიურად.	სამინისტროში გზმ-ს პაკეტის წარდგენიდან არაუადრეს 25 და არაუგვიანეს 30 დღის ვადაში
----------	--	--	---

6.3 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის სამომავლო პროგრამა

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა არის უწყვეტი პროცესი, რომელიც ხორციელდება პროექტის მშენებლობის, ექსპლუატაციაში შესვლისა და ექსპლუატაციის ფაზებზე. გამოყენებული პროცესები იქნება გამჭვირვალე, დაშინების, ჩარევისა და იძულების გარეშე. ამ ნაწილის მიზანია აღწეროს რა სახის ინფორმაცია იქნება გასაჯაროებული, რა ფორმატში, მეთოდების ტიპები, რომლებიც გამოყენებული იქნება ინფორმაციის გადაცემისთვის და კონსულტაციის მეთოდები, რომლებიც გამოყენებული იქნება წინა თავებში გამოვლენილ დაინტერესებულ მხარეთა თითოეულ ჯგუფთან.

6.3.1 ჩართულობის მეთოდები

პროექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მიმდინარე პროცესის შესახებ მათი ინფორმირებისთვის გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები:

- სს „ვინდ ფაუერ“-მა გახსნა საჯარო საინფორმაციო ცენტრი – ცენტრის დანიშნულებაა ადგილობრივ თემებთან ურთიერთობა, საჩივრების მიღება, პერსონალის მიზიდვის პროცესების ხელშეწყობა და ა.შ. საზოგადოებრივი საინფორმაციო ცენტრის ოფისის გახსნა სოფელ რუისში 2024 წლის აპრილში, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე. ეს ცენტრი გამოიყენება ადგილობრივ თემებთან თანამშრომლობისთვის, საზოგადოებრივი საჩივრების მისაღებად, კადრების აყვანის პროცესის გასაადვილებლად და ა.შ. საჯარო საინფორმაციო ცენტრი იმუშავებს პროექტის მთლიანი ციკლის განმავლობაში;
- პროექტის ბროშურები და ბუკლეტები – დაურიგდება მოწყვლად ჯგუფებს და ხელმისაწვდომი იქნება მათთვის, ვინც ვერ დაესწრება ბსგშმ პაკეტის გასაჯაროების სესიებს. არატექნიკური რეზიუმე, ბროშურები და ბუკლეტები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება საჯარო საინფორმაციო ცენტრში და გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტების მუნიციპალურ დაწესებულებებში, მოიცავს პროექტის უარყოფითი და დადებითი ზემოქმედების შეჯამებას, აგრეთვე ინფორმაციას საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ;
- პლაკატები ან შეტყობინებები – აბრები და საილუსტრაციო პლაკატები (ინფოგრაფიკა) განთავსდება საჯარო საინფორმაციო ცენტრის შენობებზე და პროექტის საკვანძო ლოკაციებზე (ანუ დროებით სამშენებლო ბანაკების მთავარ შესასვლელ კარიბჭეებზე), გასაჩივრების მექანიზმზე პირდაპირი წვდომის ჩათვლით;
- სოციალური მედია – ეს შეიძლება მოიცავდეს შეტყობინებების გაგზავნის პლატფორმების გამოყენებას, როგორცაა WhatsApp, Telegram, Zoom და ა.შ. პროექტის შესახებ ზოგადი ინფორმაციის გადასაცემად. მონაცემთა კონფიდენციალურობა უზრუნველყოფილი და დაცული უნდა იყოს დაინტერესებული მხარეების მონაცემთა ბაზის შექმნის შემთხვევაში;
- შეხვედრები თემის ლიდერებთან – ეს შეიძლება იყოს არაფორმალური შეხვედრები, რომლებიც გაიმართება თემის ლიდერებთან, რათა შენარჩუნდეს კარგი ურთიერთობა

საზოგადოებასთან და გადაწყდეს ნებისმიერი პრობლემა, რომელიც შეიძლება ჰქონდეს საზოგადოებას;

- ონლაინ კომუნიკაცია – სასარგებლოა ინტერესებზე დაფუძნებული დაინტერესებული მხარეებისთვის. ჩართულობისა და გამყდავების მექანიზმები გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმისა და მართვისა და მონიტორინგის გეგმების განხორციელებისთვის პროექტის მშენებლობისა და საოპერაციო ფაზების განმავლობაში რეკლამირებული იქნება სს „ვინდ ფაურ“-ის ვებგვერდზე კომენტარისთვის მოწოდებული საკონტაქტო პირის მითითებით. იგივე ინფორმაცია იქნება ხელმისაწვდომი კრედიტორი დაწესებულების შესაბამის ვებგვერდზე.

6.3.2 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა მშენებლობის წინა, მშენებლობისა და ექსპლუატაციაში შესვლის ეტაპებზე

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა მშენებლობის წინა, მშენებლობისა და ექსპლუატაციაში შესვლის ეტაპებზე საშუალებას მისცემს დაინტერესებულ მხარეებს შეაფასონ, მუშაობს თუ არა პროექტის პროცესები და ღონისძიებები ისე, როგორც ეს იყო დაგეგმილი, თუ აღირიცხება საჩივრები და ხდება მათზე რეაგირება, აგრეთვე ხარვეზების შემთხვევაში თუ ტარდება მაკორექტირებელი ქმედებები. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ეფექტური მართვა მშენებლობისა და ექსპლუატაციაში გაშვების ეტაპებზე მნიშვნელოვანია, რადგან მას შეუძლია იმოქმედოს პროექტის დარჩენილ ნაწილზე. მშენებლობასთან და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ჩართულობის პროცესები მოცემულია ქვემოთ.

ცხრილი 6-3 წინასამშენებლო, სამშენებლო და ექსპლუატაციაში შესვლის ეტაპებზე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის განრიგი

აქტივობა	დაინტერესებული მხარეები	ჩართულობის მეთოდი	ვადები და სიხშირე
საკომპენსაციო და საარსებო წყაროს აღდგენის ღონისძიებები მიწის შესყიდვისა და საარსებო წყაროს აღდგენის გეგმის შესაბამისად	მიწის შესყიდვისა და საარსებო წყაროს აღდგენის პროცესში გამოვლენილი პუქმ პირები (კვლევეები, გეგმები): ფერმერები; სასოფლო-სამეურნეო კომპანიები; მწყემსები	ინდივიდუალური კონსულტაციები, შეხვედრები ფოკუს ჯგუფებთან (მაგ., ბიზნესი, ქალები, მოწყვლადები), საჯარო შეხვედრები მიწის შესყიდვისა და საარსებო წყაროს აღდგენის ჩარჩო-დოკუმენტისა და გეგმის შესაბამისად	მშენებლობამდე და ადრეული სამუშაოების დაწყებამდე
აგნობეთ დაინტერესებულ მხარეებს სამშენებლო და ექსპლუატაციაში გაშვების საქმიანობების შესახებ, ვადების ჩათვლით.	პირდაპირი და ირიბი ზემოქმედების ქვეშ მყოფი დაინტერესებული მხარეები	ოფიციალური შეტყობინებები განთავსდება საჯარო საინფორმაციო ცენტრის შენობაზე, დროებითი სამშენებლო ობიექტების შესასვლელებთან და მისასვლელი გზის გასწვრივ სტრატეგიულ ადგილებში. ის მოგვაცვდის ინფორმაციას მშენებლობის დაწყების, ექსპლუატაციაში გაშვების და სამუშაოების დროს შესაძლო შეფერხების (როგორცაა გზების დაკეტვა, შეფერხებები და ა.შ.) შესახებ. ასევე ჩატარდება ორმხრივი შეხვედრები უშუალოდ ზემოქმედების ქვეშ მყოფ დაინტერესებულ მხარეებთან, რათა ეცნობოს მათ მშენებლობის დაწყების და პროექტის სამშენებლო განრიგში ნებისმიერი	მშენებლობის დაწყებამდე და ექსპლუატაციაში შესვლამდე. ეს განახლდება საჭიროებისამებრ მშენებლობისა და ექსპლუატაციაში გაშვების ფაზებში, თუ იქნება ცვლილებები დაგეგმილ საქმიანობაში ან პროცესებში. ორმხრივი შეხვედრები უნდა ჩატარდეს

აქტივობა	დაინტერესებული მხარეები	ჩართულობის მეთოდი	ვადები და სიხშირე
		ცვლილების შესახებ.	წელიწადში ორჯერ პროექტის მშენებლობის ფაზის განმავლობაში და/ან საჭიროების შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაში ან პროცესებში მნიშვნელოვანი ცვლილებების დროს.
	ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოები, სამთავრობო ორგანოები	ოფიციალური შეტყობინება ელფოსტით ან წერილები შესაბამის ადგილობრივ სახელისუფლებო ორგანოსთან შეთანხმებით გაიგზავნება მშენებლობისა და ექსპლუატაციაში გაშვებისა და ვადების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად.	
	არასამთავრობო ორგანიზაციები		
	ყველა დაინტერესებული მხარე	პროექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში გაშვების ღონისძიებებისა და ვადების შესახებ შეტყობინება სს „ვინდ ფაურ“-ის ვებგვერდზე	
კომუნიკაცია ფერმერებთან/ მწყემსებთან/ მონადირეებთან	ფერმერები, მესაქონლეები, მონადირეები	პროექტში ნებისმიერი განახლება მიეწოდება ფერმერებს/მწყემსებს პროექტის საჯარო საინფორმაციო ცენტრის ოფისის მეშვეობით, მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი კომუნიკაციის განახლებისთვის.	კვარტალურად, პროექტის მშენებლობის ფაზის განმავლობაში და/ან საჭიროების შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაში ან პროცესებში მნიშვნელოვანი ცვლილებების დროს
საზოგადოების განვითარების საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის გამჟღავნება/საკონსულტაციო საქმიანობა	ადგილობრივი თემები	შეხვედრები ადგილობრივ საზოგადოებასთან თემის განვითარების პროგრამების განსახილველად/შეთანხმების მიზნით	დასადასტურებელია – თემის განვითარების გეგმა და სოციალური პაკეტი
საგანგებო მზადყოფნის და სამოქმედო გეგმის შესახებ შეტყობინება	მწყემსები, ფერმერები და მოსახლეობა საპროექტო უზნის მახლობელი თემებიდან	ჩატარდება ორმხრივი შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან, რათა მოხდეს მათი ინფორმირება საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შესახებ და მათი მხრიდან ნებისმიერი პრობლემის ოპტიმიზაცია. საგანგებო სიტუაციებში ქმედებების დაგეგმვის შესახებ ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომი იქნება პროექტის საჯარო საინფორმაციო ცენტრში.	მშენებლობის დაწყებამდე და ექსპლუატაციაში შესვლამდე, აგრეთვე თუ არის ძირითადი ცვლილებები ამგვარ დაგეგმარებაში
	ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოები, სამთავრობო ორგანოები და სამხედროები	ოფიციალური შეტყობინება ელფოსტით ან წერილები, რომლებიც აცნობებს შესაბამის სამთავრობო უწყებებს/სახელისუფლებო ორგანოებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პროცედურების შესახებ და კონკრეტული ღონისძიებისთვის საჭირო კოორდინაციის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში გაიმართება ორმხრივი შეხვედრები.	

აქტივობა	დაინტერესებული მხარეები	ჩართულობის მეთოდი	ვადები და სიხშირე
გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგი და ანგარიშგება	პროექტის კრედიტორები	გარემოსდაცვითი და სოციალური აუდიტი საქართველოს სტანდარტებთან, კრედიტორების მოთხოვნებთან და სასესხო შეთანხმებებთან პროექტების შესაბამისობის შესაფასებლად	კვარტალურად პროექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე
გასაჩივრების მექანიზმის დანერგვა	ყველა იდენტიფიცირებული დაინტერესებული მხარე	როგორც აღწერილია მოცემულ დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის გასაჩივრების მექანიზმის ნაწილში (იხ. ნაწილი 7)	შეიქმნება მიწის შესყიდვისა და საარსებო წყაროს აღდგენის საქმიანობის დასრულებამდე, აგრეთვე მშენებლობის და ექსპლუატაციაში გაშვების ფაზების დაწყებამდე და განახლდება პროექტის მთლიანი ციკლის ბოლომდე.

6.3.3 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა ექსპლუატაციის ეტაპზე

საპროექტო კომპანიისა და საექსპლუატაციო და მომსახურების კომპანიისთვის მნიშვნელოვანი იქნება უზრუნველყოფნა შეუფერხებელი გადასვლა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის კუთხით სამშენებლო და ექსპლუატაციაში გაშვების ფაზიდან პროექტის საექსპლუატაციო ფაზაზე იმ მეთოდების შემცირებით, რომლებიც ყველაზე ეფექტური იყო მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზებზე. მნიშვნელოვანი იქნება ამ მეთოდების გამოყენების გაგრძელება, რათა თავიდან ავიცილოთ დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის სიხშირის დაცემა, რადგან ისინი უკვე გარკვეულები არიან ჩართულობის ტიპურ პროცესებში.

ცხრილი 6-4 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის განრიგი საექსპლუატაციო ფაზაზე

აქტივობა	დაინტერესებული მხარეები	ჩართულობის მეთოდ	ვადები და სიხშირე
აგნობეთ დაინტერესებულ მხარეებს მშენებლობის/ექსპლუატაციაში გაშვებიდან საექსპლუატაციო ფაზაზე გადასვლის შესახებ	ყველა დაზარალებული დაინტერესებული მხარე	ოფიციალური შეტყობინებები განთავსდება საჯარო საინფორმაციო ცენტრის შენობაზე, პროექტის საკვანძო შენობებსა და ტურბინის მოედნებზე, რათა გვამცნოს პროექტის საოპერაციო ფაზის დაწყება.	სამუშაოების დაწყებამდე მინიმუმ 2 თვით ადრე
	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და სახელისუფლებო ორგანოები, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციები	ოფიციალური შეტყობინება ელფოსტით ან წერილები გაიგზავნება ინფორმაციის საოპერაციო ფაზის ღონისძიებებისა და ვადების შესახებ.	
საგანგებო მზადყოფნის გეგმა ან ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან	ფერმერები, მესაქონლეები და მოსახლეობა საპროექტო უბნის მახლობელი თემებიდან	ჩატარდება ორმხრივი შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან, რათა მოხდეს მათი ინფორმირება საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შესახებ და მათი მხრიდან ნებისმიერი პრობლემის ოპტიმიზაცია.	ექსპლუატაციის დაწყებამდე 2 თვით ადრე და თუ არსებობს მნიშვნელოვანი ცვლილებები დაგეგმარებაში

აქტივობა	დაინტერესებული მხარეები	ჩართულობის მეთოდ	ვადები და სიხშირე
დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ადგილობრივ მესამე მხარეებზე	სახელისუფლებო ორგანოები, სახელმწიფო უწყებები და ადგილობრივი თვითმმართველობა პროექტის კრედიტორები	ოფიციალური შეტყობინება ელფოსტით ან წერილები, რომლებიც აცნობებს შესაბამის სამთავრობო უწყებებს/სახელისუფლებო ორგანოებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პროცედურების შესახებ და კონკრეტული ღონისძიებისთვის საჭირო კოორდინაციის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში გაიმართება ორმხრივი შეხვედრები.	
გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგი და ანგარიშგება	პროექტის კრედიტორები	გარემოსდაცვითი და სოციალური აუდიტი საქართველოს სტანდარტებთან, კრედიტორების მოთხოვნებთან და სასესხო შეთანხმებებთან პროექტების შესაბამისობის შესაფასებლად	ყოველწლიურად პროექტის მთელი საექსპლუატაციო ფაზის განმავლობაში
გასაჩივრების მექანიზმის დანერგვა	ყველა იდენტიფიცირებული დაინტერესებული მხარე	როგორც აღწერილია მოცემულ დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის გასაჩივრების მექანიზმის ნაწილში (იხ. ნაწილი 7)	აღდგენილია ექსპლუატაციის დაწყებისას და იმართება მთელი საექსპლუატაციო ფაზის განმავლობაში სწრაფი და ეფექტური რეაგირების უზრუნველსაყოფად

7 გასაჩივრების მექანიზმი

მიწის შესყიდვა, რომელიც წინასამშენებლო ეტაპის მნიშვნელოვანი ფაზაა, ხშირადაა დაკავშირებული ზემოქმედების ქვეშ მყოფი შინამეურნეობების საჩივრებთან, რომლებიც შესაძლოა არ დაკმაყოფილდნენ მიღებული კომპენსაციებით და შეცვლილი პირობებით. საპროექტო ღონისძიებებმა (მშენებლობის, ექსპლუატაციაში შესვლის და ექსპლუატაციის დროს) შეიძლება გამოიწვიოს პოტენციური დისკომფორტი, აგრეთვე გარემოზე და სოციალური ზემოქმედება (ხმაური, შუქრდილების ციმციმი, მტვრის გაფრქვევა და ა.შ.), აგრეთვე დაინტერესებული მხარეების მხრიდან მასთან დაკავშირებული საჩივრები. ყველა იმ საკითხისა და ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი მხარეების მხრიდან პოტენციური საჩივრების მოსაგვარებლად საჭიროა საჩივრების განხილვის მექანიზმის შექმნა. გასაჩივრების მექანიზმის მიზანია სისტემის ჩამოყალიბება, რათა მიიღოს, დაარეგისტროს, შეისწავლოს და ხელი შეუწყოს პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებულ დაინტერესებულ მხარეთა პრობლემებსა და საჩივრებს.

გასაჩივრების მექანიზმი არის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მნიშვნელოვანი ნაწილი და ამოქმედდება გარემოსდაცვითი და სოციალური გასაჯაროების პროცესში, მშენებლობისა და ექსპლუატაციის განმავლობაში პროექტის მთლიანი ციკლის ბოლომდე. საჩივრების განხილვის მექანიზმი გამოიყენებს გასაგებ და გამჭვირვალე პროცესს, რომელიც კულტურულად მისაღებია და ადვილად ხელმისაწვდომია უსასყიდლოდ. ასე რომ, ყველა დაინტერესებულ/დაზარალებულ მხარეს ექნება საჩივრის დაფიქსირების შესაძლებლობა.

საჩივრების განხილვის მექანიზმზე საერთო პასუხისმგებლობა დაეკისრება საპროექტო კომპანიას, თუმცა პასუხისმგებლობა მისი განხორციელების ელემენტებზე შეიძლება იყოს ხელშეკრულებით დელეგირებული.

7.1 გასაჩივრების მექანიზმის საკვანძო პრინციპები

პროექტის ფარგლებში გასაჩივრების მექანიზმი შეესაბამება შემდეგ პრინციპებს:

- თავიდანვე გაირკვევა გასაჩივრების მექანიზმის პროცედურის მიზანი;
- პროცესი გაიზომება პროექტის რისკებისა და ზემოქმედების გათვალისწინებით;
- პროცესი იქნება გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული ყველა დაინტერესებული მხარის წინაშე წერილობითი ფორმით წარდგენის, გასაჯაროების და შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისთვის ახსნის ბერკეტების გამოყენებით;
- გასაჩივრების მექანიზმს ნათელს, გასაგებს და ადვილად ხელმისაწვდომს გახდის ინფორმაციის ადგილობრივ ენაზე და ზეპირი ფორმით მიწოდება თემებში, სადაც წერა-კითხვის პრობლემაა;
- საჩივრები და პრობლემები ოპერატიულად მოგვარდება;
- მექანიზმი გამორიცხავს საჩივრის წარდგენასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან ანგარიშსწორებას; და
- გატარდება ისეთი პრევენციული ზომები, როგორცაა შურისძიების საწინააღმდეგო პოლიტიკა, კონფიდენციალურობის ზომები და საჩივართან დაკავშირებით შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვა, ასევე საჩივრების ანონიმურად წარდგენის შესაძლებლობა.

7.2 გასაჩივრების მექანიზმის მიზანი

გასაჩივრების მექანიზმის მიზანია დაინტერესებული მხარეების პრობლემებისა და შეშფოთების შეფასება და განხილვა პროექტის საქმიანობასთან დაკავშირებით, შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელება ბსგშ-ს და პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მაჩვენებლების დაცვით.

გასაჩივრების პროცედურა განიხილავს საჩივრებს, რომლებსაც წამოჭრიან ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემები და ნებისმიერი სხვა დაინტერესებული მხარე, აგრეთვე შემუშავებულია ცალკე მექანიზმი მომუშავეთა საჩივრების განსახილველად. ქარის ენერგეტიკულ პროექტებთან დაკავშირებული ტიპური საჩივრები შემდეგია:

- ✓ მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული საჩივრები;
- ✓ სამშენებლო ზარალთან დაკავშირებული საჩივრები; და
- ✓ გარემოსდაცვითი საჩივრები.

ყველა შესაბამისი პრეტენზია მიიღება ზემოქმედების ქვეშ მყოფი დაინტერესებული მხარეებისგან და გამოძიებამდე არ გადაწყდება, თუნდაც საჩივარი უმნიშვნელო იყოს. მასში შედის საჩივრები გენდერული ნიშნით ძალადობის, სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის, სექსუალური

შევიწროების, პროექტის თანამშრომლებსა და საზოგადოების წევრებს შორის კონფლიქტის თაობაზე და ა.შ.

თუმცა მოწინავე გამოცდილების მიხედვით, შემდეგი პრეტენზიები სცდება პროექტის სფეროს:

- საჩივრები მათი ლეგიტიმურობის შეფასებით აშკარად არ არის დაკავშირებული პროექტთან;
- სამთავრობო პოლიტიკასთან და სამთავრობო ინსტიტუტებთან დაკავშირებული საკითხები;
- დანაშაულებრივ ქმედებასა და ძალადობასთან დაკავშირებული საჩივრები, რომლებიც გადაეცემა მართლმსაჯულების სისტემას; და
- კომერციული დავები: კომერციული საკითხები გათვალისწინებული იქნება სახელშეკრულებო შეთანხმებებში და საკითხები გადაწყდება კომერციული გადაწყვეტის სხვადასხვა მექანიზმის ან სამოქალაქო სასამართლოს მეშვეობით.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე საჩივარი უარყოფილი იქნება სკრინინგის ეტაპზე, მომჩივანს ეცნობება ეს გადაწყვეტილება, მათ შორის უარის დასაბუთებაც.

7.3 საჩივრების მექანიზმის მართვის საფეხურები

7.3.1 საჩივრების მართვის პროცედურების გასაჯაროება

მოცემული პროექტის გასაჩივრების მექანიზმი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდება აქ ასახული და გასაჯაროების პროცესებთან დაკავშირებული საშუალებების გამოყენებით. შეტყობინებები საჩივრის წარდგენისა და შემდგომი კონტროლის პროცესის შესახებ ასევე განთავსდება პროექტის ძირითად ლოკაციებზე (მაგ. საჯარო ინფორმაციის ცენტრი და საიტი/ოფისის შესასვლელი) და მუნიციპალიტეტებში. მოწოდებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება ქართულ ენაზე და მოიცავს შემდეგს:

- რისი უზრუნველყოფა შეუძლია პროექტის მასშტაბის მექანიზმებს და რა სარგებელი შეიძლება მიიღონ მომჩივნებმა კომპანიის გასაჩივრების მექანიზმის გამოყენებით, სხვა გადაწყვეტის მექანიზმებისგან განსხვავებით;
- ვის შეუძლია საჩივრების წამოყენება (ანუ ყველა დაინტერესებული მხარე);
- სად, როდის და როგორ შეუძლიათ თემის წევრებს საჩივრების წარდგენა;
- ვინ არის პასუხისმგებელი საჩივრების მიღებაზე და მათზე რეაგირებაზე;
- რა სახის პასუხი შეიძლება მიიღოს მომჩივანმა კომპანიისგან, მათ შორის, რეაგირების დრო;
- სხვა სახის რა უფლებები და დაცვაა გარანტირებული.

7.3.2 საჩივრის წარდგენა

საჩივრების განხილვის მექანიზმის დანერგვისთანავე, საჩივრების წარდგენა მოხდება შემდეგნაირად:

- შევსებული ფორმის (იხ. ნიმუში დანართში 4) პირდაპირ ჩაგდება საჩივრებისთვის განკუთვნილ დალუქულ ყუთში საჯარო საინფორმაციო ცენტრისა და პროექტის ოფისის შესასვლელთან;
- გადაეცემა თემთან ურთიერთობის ოფიცერებს;
- გაიგზავნება ფოსტით ან ელექტრონული ფოსტით პირდაპირ სს „ვინდ ფაუერის“ თბილისის ოფისში
- მისამართი: ზურაბ ავალიშვილის 12
- ტელეფონით მითითებულ ნომერზე: 577 77 08 09
- უშუალოდ მიიღება პროექტის პერსონალის, მათ შორის უსაფრთხოების პერსონალის მიერ (პროექტის შესასვლელ პუნქტებსა და ოფის(ებ)ის დაცვის პერსონალი უნდა იყოს ინფორმირებული და გაწვრთნილი ნებისმიერ საჩივარზე სათანადოდ რეაგირებისთვის).

ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება საჯარო საინფორმაციო ცენტრისა და პროექტის საკვანძო ობიექტის/ოფისის შესასვლელებში, საჩივრების ყუთების განთავსების ადგილებში, რათა აცნობოს მოსახლეობას გასაჩივრების შემდგომი პროცესის და ვადების შესახებ.

წერა-კითხვის უცოდინარი მომჩივნისთვის ან მათთვის, ვინც ამჯობინებს საჩივრების სიტყვიერად წარდგენას, იქნება შესაძლებელი, მიაწოდონ ის საჯარო საინფორმაციო ცენტრის პერსონალს ან შეხვდნენ შესაბამისი ობიექტის მენეჯერს გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებში/შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საკითხებში. ის ჩაინიშნავს საჩივრის დეტალებს და წაუკითხავს მას ხმამაღლა განმცხადებელს, რათა დაადასტუროს, რომ საჩივრის საკვანძო ელემენტები დაფიქსირებულია. როცა შესაბამისი მენეჯერი მიუწვდომელია, უსაფრთხოების პერსონალი მიიღებს საჩივრებს და უზრუნველყოფს მათ დარეგისტრირებას გასაჩივრების ფორმალური პროცედურის გამოყენებით.

თუ წარდგენილია ანონიმური საჩივარი (მაგ. წერილი ან ელფოსტა მომჩივნის შესახებ დეტალების გარეშე) ან მომჩივნის მოთხოვნა ანონიმურად დარჩენის შესახებ, საჩივარი ასევე მიიღება და განიხილება.

7.3.3 საჩივრების შემდგომი გაკონტროლება

ზემოთ ნახსენები ნებისმიერი მეთოდით წარდგენილი საჩივრის მიღებისას, განხორციელდება ქვემოთ მოყვანილი ნაბიჯები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყველა საჩივრის ადეკვატური გამოძიება და თავიდან იყოს აცილებული ნებისმიერი საკითხის ან უკმაყოფილების ღია დატოვება.

- საჩივარი ჩაიწერება სარეგისტრაციო ფორმაში (იხ. ნიმუში დანართში 5). მასში შევა:
- საჩივრის დეტალები;
- საჩივრის გადაწყვეტაზე პასუხისმგებელი პერსონალი/განყოფილება;
- პროცესის მიმდინარეობის დეტალები (მიღების თარიღი, სტატუსი, შედეგის მიღების თარიღი);
- მომჩივნისთვის მიწოდებული პასუხი;

- გატარებული მაკორექტირებელი და პრევენციული ღონისძიებები მსგავსი საჩივრის განმეორების თავიდან ასაცილებლად; და
- საჩივრები მიიღება უმოკლეს ვადაში (მიღებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა) ოფიციალური დასტურის გაგზავნით საჩივრის ნომრით და პასუხის ვადის თარიღით, რათა მომჩივანი დარწმუნდეს, რომ ორგანიზაციის რეაგირება სათანადოა;
- სენსიტიური საჩივრების შემთხვევაში, როგორცაა ისეთები, რომლებიც მოიცავს მრავალრიცხოვან ინტერესს და დაზარალებულთა დიდ რაოდენობას, ან დაკავშირებულია ფიზიკურ და ეკონომიკურ ადგილმონაცვლეობასთან, სექსუალურ ძალადობასა და შევიწროებასთან ან ძალადობასთან გენდერული ნიშნით, სადაც საჭიროა უფრო კომპლექსური გამოძიება, მომჩივანი მიიღებს განმარტებით წერილს საჩივრის მიღებიდან ორი კვირის განმავლობაში საჩივრის გადასაჭრელად საჭირო ქმედებების და სავარაუდო ვადების შესახებ; და
- საპროექტო კომპანია პირველი დასტურის წერილში განმარტავს, თუ რომელი პრეტენზია აშკარად სცილდება მექანიზმის ფარგლებს და რა ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება შეუძლიათ თემებს მსგავსი პოტენციური საკითხების გადასაჭრელად.

სს „ვინდ ფაუერ“ მართავს ცენტრალურ მონაცემთა ბაზას, რათა აღირიცხოს საპროექტო არეალიდან დაფიქსირებული ყველა საჩივრის ჩანაწერი. მონაცემთა ბაზა შეიცავს საჩივრის წარმდგენი პირის ან ორგანიზაციის სახელს; საჩივრის თარიღს და ხასიათს; განხორციელებულ ნებისმიერ შემდგომ ქმედებას; სს „ვინდ ფაუერ“-ის, კონტრაქტორის ან სხვა შესაბამისი მხარის მიერ განხორციელებულ გადაწყვეტილებებს და მაკორექტირებელ ქმედებებს; საბოლოო შედეგს; აგრეთვე როგორ და როდის ეცნობა მომჩივანს ეს გადაწყვეტილება.

7.3.4 საჩივრების განხილვა და გამოძიება

წარმოდგენილი საჩივრების გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება საჭირო გახდეს საჩივრების გადაწყვეტაში სხვადასხვა დეპარტამენტის ჩართვა. საჩივრის განხილვაზე პასუხისმგებელი პირები მოაწყობენ პროცესს საჩივრის ლეგიტიმურობის დასადასტურებლად და დეტალების გამოსაძიებლად.

როდესაც საჩივრები კომპლექსურია და სწრაფად ვერ გვარდება, შეიძლება გახდეს საჭირო ვრცელი გამოძიება საკითხის ესკალაციის თავიდან ასაცილებლად. პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული მხარე რჩება საპროექტო კომპანია, თუმცა გამოძიება და განხილვა შეიძლება დელეგირდეს საინჟინრო, შესყიდვების და მშენებლობის კონტრაქტორზე ან საექსპლუატაციო და მომსახურების კომპანიაზე. გასაჩივრების მექანიზმი უნდა შეესაბამებოდეს უსასყიდლოების პრინციპს. თუ საგამოძიებო ჯგუფი ჩამოყალიბდა კომპანიის შიგნით, გასათვალისწინებელია საკითხები პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის, კვალიფიკაციის, გენდერული შემადგენლობის და ბიუჯეტის კუთხით. საჭიროების შემთხვევაში, ჩატარდება შეხვედრები მომჩივნებთან და ადგილზე ვიზიტები.

ყველა საჩივარი განხილვა პროექტის პასუხისმგებელი მხარის მიერ წარდგენიდან 2 კვირის განმავლობაში. თუკი საჩივრები მოითხოვს უფრო ხანგრძლივ გამოძიებას, მომჩივანს ეცნობება ამ დაგვიანების და პასუხის მოსალოდნელი ვადის შესახებ.


სენსიტიური საჩივრების შემთხვევაში, როგორცაა ისეთები, რომლებიც მოიცავს მრავალრიცხოვან ინტერესს, ან დაკავშირებულია სექსუალურ ძალადობასა და შევიწროებასთან ან ძალადობასთან

გენდერული ნიშნით, ან თემთან დაკავშირებულ კონფლიქტებთან – ეს შეიძლება გახდეს მესამე მხარის ორგანიზაციების ჩართვის მიზეზი ერთობლივ გამოძიებაში, ან დაუშვას ადგილობრივი ან ეროვნული სახელისუფლებო ორგანოების ჩართვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომჩივნები ეთანხმებიან ამ მიდგომას.

7.3.5 საჩივრების გადაწყვეტის ვარიანტები და საპასუხო ქმედებები

მიდგომა, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სახის საჩივრის გადაწყვეტისას, განსხვავებული იქნება პრობლემის ხასიათის, წარმოშობის სიხშირისა და საჩივრების რაოდენობის მიხედვით. იმის ნაცვლად, რომ დაწესდეს კონკრეტული პროცედურა თითოეული კონკრეტული ტიპის საჩივრისთვის, გასაჩივრების მექანიზმის მოქნილობა იძლევა სხვადასხვა ტიპის საჩივრისთვის შესაბამისი გადაწყვეტის ვარიანტების უზრუნველყოფის საშუალებას. მაგალითად, ეს ვარიანტები შეიძლება მოიცავდეს მავნე აქტივობების შეცვლას ან შეჩერებას, ან მათი ვადისა და მოცულობის შეზღუდვას (მაგ. სამშენებლო მტვრის ან მისასვლელი გზის ხმაურის გამო), ბოდიშის მოხდას და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის სტრატეგიის გადახედვას.

ზოგადი პროცედურის სახით წარმოგიდგენთ სს „ვინდ ფაუერის“ საჩივრების გადაწყვეტის შემოთავაზებულ სქემას.



საჩივრის გადაწყვეტის ორდონიანი ზოგადი სქემა შემოთავაზებულია ძირითადი სტრუქტურის სახით:

- პირველი დონის მექანიზმები ითვალისწინებს საჩივრებს, რომლებიც ადვილად გადაიჭრება ადგილზე ტოპ-მენეჯერების ჩართულობის გარეშე. მარტივი საჩივრები შეიძლება მიიღონ წერილობით ან ზეპირად და თუ ისინი მალე გადაიჭრება, საჩივრების მონაცემთა ბაზაში შეინახება მხოლოდ მოკლე ჩანაწერი. პირველი დონის პროცესი შემოიფარგლება ერთი კვირით.
- იმ შემთხვევაში, თუ ობიექტზე მიღებული საჩივრები არ ექვემდებარება იოლად გადაჭრას (როგორც პირველი დონის პროცესი), საჩივრების განხილვის მექანიზმის პასუხისმგებელი წარმომადგენლები ეხმარებიან მომჩივნებს სწორად შეადგინონ და შეიტანონ წერილობითი საჩივარი, რომელიც მოხვდება მე-2 დონის მექანიზმში; ერთი თვე არის მაქსიმალური დრო, რომელიც მოცემულია საქმის შესწავლისა და განხილვის საფუძველზე დასაბუთებული პასუხის გასაცემად.

საჩივრის გადაწყვეტა მიეწოდება მომჩივანს წერილობით ან ზეპირად, იმისდა მიხედვით, თუ რა ფორმატი აირჩია მომჩივანმა, მაგრამ ყველა შემთხვევაში წერილობითი ჩანაწერი შეინახება კომპანიაში. იმ შემთხვევებში, როდესაც საჩივარი/პრეტენზია უარყოფილია ან როდესაც კომპანიას არ მოეთხოვება ქმედება, კომპანიის წარმომადგენელი იმოქმედებს დიპლომატურად, როდესაც ამცნობს მომჩივანს დასაშვებობის განხილვის პროცესის შედეგებს, რათა თავიდან აიცილოს კონფლიქტის ესკალაცია.

საჩივრის მიღების შემდეგ შეთავაზებული გადაწყვეტილება მიეწოდება და ეცნობება მომჩივანს დადგენილ ვადაში. თუ მომჩივანი არ მიიღებს შეთავაზებულ გადაწყვეტას, კომპანია ხელახლა შეაფასებს სიტუაციას, განიხილავს და დააზუსტებს დასკვნას მომჩივანთან და დარწმუნდება, რომ გასაჩივრების მექანიზმის ფარგლებში ყველა ალტერნატივა არის შესწავლილი. თუ მომჩივანი კვლავ არ დაკმაყოფილდება შეთავაზებული რეზოლუციით, მომჩივანს მიეცემა უფლება გამოიყენოს დავის გადაწყვეტის მექანიზმი მე-2 დონის პროცესის ფარგლებში ან კომპანიის საჩივრების მექანიზმს მიღმა (გარე მექანიზმი).

როდესაც შემოთავაზებული გადაწყვეტა მიიღება ან შეთანხმდება ყველა ჩართული მხარის მიერ, საქმე დაიხურება და შეგროვდება მტკიცებულება, რომ განხორციელდა საჭირო ქმედებები. ასეთი მტკიცებულებები მოიცავს:

- მომჩივანთან შეხვედრის ჩატარებას კოლექტიური შეთანხმების დასასრულებლად ან დასტურის მისაღებად და საქმის დოკუმენტაციასთან ერთად საჩივრის დახურვის მიზნით;
- ფოტოების გადაღებას ან სხვა დოკუმენტური მტკიცებულებების შეგროვებას საჩივრის და მისი გადაჭრის ამომწურავი ჩანაწერის შესაქმნელად.

თუ მომჩივანი არ დაკმაყოფილდა შეთავაზებული გადაწყვეტილების შედეგით, შემდგომი განხილვისა და ხელახალ შეფასებასთან დაკავშირებული ქმედებები უნდა დასრულდეს და ინფორმაცია დაიდოს მომჩივნის მიერ უკმაყოფილების შესახებ შეტყობინებიდან 2 კვირის განმავლობაში.

7.4 გასაჩივრების მექანიზმი სამშენებლო და ექსპლუატაციაში შესვლის ფაზაზე

მშენებლობისა და ექსპლუატაციაში შესვლის ფაზაზე საჭიროა ორი ცალკეული გასაჩივრების მექანიზმის დანერგვა შემდეგი მხარეებისთვის:

- **მუშები** – სამშენებლო და ექსპლუატაციაში გაშვების პერსონალი, მუშები, პროექტის პერსონალი (მათ შორის, ქვეკონტრაქტორების პერსონალი და ვიზიტორები);
- **მესამე მხარე** – ყველა სხვა მხარე, რომელიც არ არის დაკავშირებული პროექტთან.

პროექტის პერსონალის წევრს დაეკისრება პასუხისმგებლობა, მართოს საჩივრების მექანიზმი ამ დროის განმავლობაში, რათა უზრუნველყოს ყველა მიღებული საჩივრის დამუშავება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მოცემული გეგმის დებულებების მიხედვით. მას ასევე მოეთხოვება შესაბამისი პერსონალის მომზადება (როგორც ქვემოთაა ასახული). ადეკვატური რესურსები გამოეყოფა დანიშნულ პერსონალს, რომელიც პასუხისმგებელია საჩივრების მართვაზე. დამატებით გუნდს ან არსებული გუნდის ნაწილს შეუძლია მხარი დაუჭიროს პერსონალის წევრს.

თუმცა პერსონალი გამოცდილი იქნება ჩართულობის პროცესებში და ეცოდინება კრედიტორების მოთხოვნები დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროცესში.

7.4.1 მომუშავეთა გასაჩივრების მექანიზმი (შიდა)

მომუშავეთა გასაჩივრების მექანიზმი ხელმისაწვდომი გახდება მშენებლობის და ექსპლუატაციაში გაშვების პროცესში ჩაბმული პერსონალისთვის, რომელიც დაკავშირებულია მშენებლობასთან და ექსპლუატაციაში გაშვებასთან, რათა მან შეძლოს სამუშაოსთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა. ეს მოიცავს ყველა დასაქმებულს საპროექტო კომპანიაში, საინჟინრო, შესყიდვების და მშენებლობის კონტრაქტორს, ქვეკონტრაქტორებს, ნებისმიერ სხვა დაკავშირებულ კონტრაქტორს და პროექტის ვიზიტორს. მშენებლობაში და ექსპლუატაციაში გაშვების პროცესში ჩაბმული ყველა პერსონალი ინფორმირებული იქნება გასაჩივრების მექანიზმის შესახებ სამსახურში მიღებისთანავე. ასევე იქნება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მივიღოთ წვდომა გასაჩივრების მექანიზმზე, რომელიც განთავსდება ობიექტზე არსებულ საკვანძო ადგილებში (მაგ. განცხადებების დაფებზე) და მომუშავეთა განთავსების სპეციალურ შენობებში.

მშენებლობის და ექსპლუატაციაში გაშვების პროცესში ჩაბმული პერსონალის საჩივრები წერილობით წარედგინება შესყიდვების და სამშენებლო კონტრაქტორს კონკრეტული საჩივრის ფორმის მეშვეობით (იხ. ნიმუში დანართში 4). საჩივრის ფორმა ხელმისაწვდომი იქნება ადგილზე არსებულ საკვანძო პუნქტებში (მაგ. ადმინისტრაციული ბლოკი, სასადილოს ტერიტორია და ოფისები), ასევე პერსონალის განსახლების ნებისმიერ ადგილას. საჩივრის ფორმა ხელმისაწვდომი იქნება ქართულ, ინგლისურ და მუშახელისთვის მისაღებ სხვა ენებზე. საჩივრები ასევე შეიძლება ზეპირად კონფიდენციალურად წარედგინოს საჩივრების განხილვის მექანიზმზე პასუხისმგებელ მენეჯერს ან სხვა მენეჯერს და ის შეავსებს საჩივრის ფორმას მომჩივნის სახელით.

საჩივრის წარდგენის ფორმები შეიცავს მომჩივნის საკონტაქტო მონაცემებს; თუმცა, სურვილის შემთხვევაში საჩივარი შეიძლება ანონიმურად წარადგინონ. საჩივრების ფორმები განთავსდება დალუქულ და დაკეტილ საფოსტო ყუთში, რომელიც მდებარეობს ყველა საკვანძო ადგილას, სადაც ხელმისაწვდომია საჩივრის ფორმები. საჩივრების ყუთი შემოწმდება რეგულარულად კვირაში

რამდენჯერმე. თუ უპირატესობა ენიჭება სიტყვიერ საჩივარს, ეს შეიძლება დააზუსტოს მომჩივანმა საჩივრის წარდგენის დროს, ხოლო პასუხისმგებელი პერსონალი ჩაიწერს მიღებულ საჩივარს და დაარეგისტრირებს მას ფორმალური პროცესის ფარგლებში.

საჩივრებზე პასუხები იქნება გამჭვირვალე და ანგარიშსწორებისგან თავისუფალი. საჩივრების შემდგომი განხილვა შესრულდება გასაჩივრების შემდგომი ქმედებების ამსახველ ფორმებში და ასევე დაფიქსირებული იქნება საჩივრების რეესტრში. შემდგომი ქმედებების ამსახველ ფორმაში მითითებული იქნება ყველა ქმედება, რომელიც განხორციელდა საჩივრის მოსაგვარებლად და შემდგომი დიალოგი, რომელიც მას მოჰყვა, ასევე სიტუაციის შემდგომი მონიტორინგი ან სხვა დაგეგმილი ქმედებები. შევსებული და ხელმოწერილი ფორმები ინახება გასაჩივრების მექანიზმის სპეციალურ საქაღალდეში ადგილზე. ის ხელმისაწვდომი იქნება გარე დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი და სოციალური აუდიტორებისთვის განსახილველად მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზაში საჭირო პერიოდული გარემოსდაცვითი და სოციალური აუდიტის დროს.

მომუშავეთათვის განკუთვნილი საჩივრების განხილვის მექანიზმის სტრუქტურა:

საჩივრების განხილვის პირველი დონის მექანიზმის წევრები:

- საინჟინრო, შესყიდვების და მშენებლობის კონტრაქტორის სპეციალისტი სოციალურ საკითხებში
- პროფკავშირის წარმომადგენელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- საინჟინრო, შესყიდვების და მშენებლობის კონტრაქტორის მომუშავეთა წარმომადგენელი

საჩივრების განხილვის მე-2 დონის მექანიზმის წევრები:

- საინჟინრო, შესყიდვების და მშენებლობის კონტრაქტორის პროექტის მენეჯერი
- საინჟინრო, შესყიდვების და მშენებლობის კონტრაქტორის მენეჯმენტის პერსონალი
- პროფკავშირის წარმომადგენელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- შესყიდვების და სამშენებლო კონტრაქტორის მომუშავეთა წარმომადგენელი
- სს „ვინდ ფაუერის“ მენეჯერი სოციალურ საკითხებში

შიდა საჩივრების გადაწყვეტის მსგავსი სტრუქტურა შეიქმნება სს „ვინდ ფაუერის“ მიერ საკუთარი თანამშრომლების შიდა საჩივრების განსახილველად.

7.4.2 მესამე მხარის გასაჩივრების მექანიზმი

მესამე მხარის საჩივრების ფორმები ხელმისაწვდომი იქნება ქართულ ენაზე საჯარო საინფორმაციო ცენტრსა და საკვანძო ობიექტებში/ოფისებში. დალუქული და დაკეტილი „საჩივრების ყუთები“ ხელმისაწვდომი იქნება ამ ადგილებში საჩივრის ფორმის წარდგენისთვის. შესაბამისი მენეჯერის საკონტაქტო ინფორმაცია მისი დანიშნისთანავე გამოქვეყნდება განცხადებების დაფაზე ობიექტის მთავარ შესასვლელთან. რეგისტრაციის, განხილვის, კონტროლის და მათზე რეაგირების პროცესი იქნება ისეთივე, რაც აღწერილია ქვეთავში 7.3.

როდესაც მესამე მხარის საჩივრები მიიღება ტელეფონით, წერილების სახით ან ელექტრონული ფოსტით, ისინი ასევე ოფიციალურად ჩაიწერება და სათანადოდ გაკონტროლდება დანიშნული

წარმომადგენლის მიერ. საჩივრის შესახებ გადაწყვეტილება მიეწოდება მომჩივანს იმის მიხედვით, თუ რომელი ფორმატი აირჩია მომჩივანმა პრიორიტეტულად. იმ შემთხვევებში, როდესაც საჩივარი/პრეტენზია უარყოფილია, კომპანიის წარმომადგენელი იმოქმედებს დიპლომატიურად, როდესაც ამცნობს მომჩივანს განხილვის პროცესის შედეგების შესახებ, რათა თავიდან აიცილოს კონფლიქტის ესკალაცია.

კომპანია ხელახლა შეაფასებს სიტუაციას, მოაწყობს შეხვედრას მომჩივანთან და ადგილობრივი თემის წევრებთან, რომლებიც კონფლიქტების დროს არბიტრაჟის ან კონფლიქტურ ჯგუფებთან შუამავლის როლს ასრულებენ, რათა განიხილონ და განმარტონ დასკვნები და დარწმუნდნენ, რომ გასაჩივრების მექანიზმის ფარგლებში ყველა ალტერნატივა იყო შესწავლილი.

საჩივრის წარდგენის, შესწავლის, ძირეული მიზეზის დადგენის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მაკორექტირებელი და პრევენციული ქმედებების და ნებისმიერი შემდგომი ქმედებების (მათ შორის მონიტორინგის) ოფიციალური ჩანაწერები დარეგისტრირდება საჩივრის შემდგომი კონტროლის ფორმაში და შეინახება დოკუმენტირებული ინფორმაციის სახით შემდგომი ან მაკორექტირებელი/დამასრულებელი ქმედებებისთვის განკუთვნილ ყველა სხვა თანმხლებ მტკიცებულებასთან ერთად.

შემდგომი ქმედებების ფორმაში მითითებული იქნება ყველა ქმედება, რომელიც განხორციელდა საჩივრის მოსაგვარებლად, აგრეთვე შემდგომში წარმოებული დიალოგი სიტუაციის შემდგომ მონიტორინგთან ან სხვა დაგეგმილ ზომებთან ერთად. შევსებული და ხელმოწერილი ფორმები ინახება გასაჩივრების მექანიზმის სპეციალურ საქაღალდეში, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება განსახილველად შესაბამისი მესამე მხარისთვის, როგორცაა დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი და სოციალური აუდიტორები.

მესამე მხარის საჩივრების განხილვის მექანიზმის სტრუქტურა:

საჩივრების განხილვის პირველი დონის მექანიზმის წევრები:

- საინჟინრო, შესყიდვების და მშენებლობის კონტრაქტორის სპეციალისტი სოციალურ საკითხებში
- საინჟინრო, შესყიდვების და მშენებლობის კონტრაქტორის ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
- ინჟინრის სოციალური ექსპერტი (ზედამხედველი კომპანია)
- ინჟინრის გარემოსდაცვითი ექსპერტი (ზედამხედველი კომპანია)
- სს „ვინდ ფაუერ“-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი
- საჯარო საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი

საჩივრების განხილვის მე-2 დონის მექანიზმის წევრები:

- საინჟინრო, შესყიდვების და მშენებლობის კონტრაქტორის პროექტის მენეჯერი და მენეჯმენტის თანამშრომლები
- ინჟინრის (ზედამხედველი კომპანიის) მენეჯერი და მენეჯმენტის პერსონალი
- სს „ვინდ ფაუერ“-ის მენეჯმენტი

- სს „ვინდ ფაუერ“-ის მენეჯერი სოციალურ საკითხებში
- საჯარო საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი

7.4.3 მონიტორინგი

საინჟინრო, შესყიდვების და მშენებლობის კონტრაქტორის მიერ განხორციელებული საჩივრებისა და პრეტენზიების მონიტორინგის პროცესს ყურადღებით გააკონტროლებს სს „ვინდ ფაუერ“, რომელიც განიხილავს მას ყოველკვირეულ და ყოველთვიურ გარემოსდაცვით, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების თემებზე მოწყობილ შეხვედრებზე, აგრეთვე ინჟინრის მიერ მომზადებული ობიექტის აუდიტის პროგრამისა და ზედამხედველობის ანგარიშების მეშვეობით. გარდა ამისა, ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების კონსულტანტი ჩაატარებს კვარტალურ მესამე მხარის დამოუკიდებელ აუდიტს, რომელიც დაადასტურებს პროცესის შესაბამისობას და საჩივრების დოკუმენტაციისა და მათზე რეაგირების მეთოდს.

სს „ვინდ ფაუერ“-ის ჩართულობის ეფექტურობა საჩივრების გადაწყვეტის პროცესში გარანტირებულია კომპანიის წარმომადგენლების მონაწილეობით საჩივრების განხილვის მექანიზმში, როგორც ეს აღწერილია პუნქტში 7.4.2.

დასკვნები ეცნობება კრედიტორებს და საპროექტო კომპანიის საბჭოს.

7.5 გასაჩივრების მექანიზმი ექსპლუატაციის ეტაპზე

ექსპლუატაციის ეტაპზე საჩივრების განხილვის მექანიზმი მშენებლობისა და ექსპლუატაციაში გაშვების ეტაპის მსგავსი იქნება. გასაჩივრების მექანიზმი ხელმისაწვდომი იქნება როგორც მომუშავეთათვის, ასევე მესამე მხარისთვის.

საჩივრების ფორმები ექნებათ ქართულ ენაზე საჯარო საინფორმაციო ცენტრში, ასევე ობიექტის საკვანძო ლოკაციებზე დალუქულ და დაკეტილ „საჩივრების ყუთებში“, რომლებიც განთავსდება ამ ადგილებში საჩივრის ფორმის წარდგენისთვის. საჩივრების ყუთი რეგულარულად შემოწმდება. რეგისტრაციის, განხილვის, კონტროლის და მათზე რეაგირების პროცესი იქნება ისეთივე, რაც ზემოთ იყო აღწერილი. ექსპლუატაციის ეტაპზე მიღებული ყველა საჩივარი (მათ შორის ყველა შემდგომი დოკუმენტაცია) შეინახება მინიმუმ 5 წლის განმავლობაში, ჩანაწერები ხელმისაწვდომი იქნება ადგილზე.

როდესაც მესამე მხარის საჩივრები მიიღება წერილების სახით ან ელექტრონული ფოსტით, ისინი ასევე ოფიციალურად აღირიცხება და სათანადოდ გააკონტროლდება დანიშნული წარმომადგენლის მიერ. შესაბამისი მენეჯერის საკონტაქტო ინფორმაცია გამოქვეყნდება საჯარო საინფორმაციო ცენტრში და განცხადებების დაფებზე ობიექტის მთავარ შესასვლელთან/ოფისთან.

მესამე მხარის საჩივრების განხილვის მექანიზმის სტრუქტურა:

საჩივრების განხილვის პირველი დონის მექანიზმის წევრები:

- სს „ვინდ ფაუერ“-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი
- საჯარო საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი

საჩივრების განხილვის მე-2 დონის მექანიზმის წევრები:

- სს „ვინდ ფაუერ“-ის მენეჯმენტი (მენეჯერი; საბჭო)
- სს „ვინდ ფაუერ“-ის მენეჯერი სოციალურ საკითხებში
- საჯარო საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი

ობიექტზე იქნებიან მომუშავეთა მიერ შერჩეული წარმომადგენლები, რომლებიც ჩაერთვებიან საჩივრების მართვაში და პროფკავშირების წარმომადგენლებთან კოორდინაციაში.

საჩივრების განხილვის მექანიზმის თანამშრომელთა სტრუქტურა:

საჩივრების განხილვის პირველი დონის მექანიზმის წევრები:

- პროფკავშირის წარმომადგენელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- სს „ვინდ ფაუერ“-ის თანამშრომელთა წარმომადგენელი

საჩივრების განხილვის მე-2 დონის მექანიზმის წევრები:

- სს „ვინდ ფაუერ“-ის მენეჯმენტი (მენეჯერი; საბჭო)
- პროფკავშირის წარმომადგენელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- სს „ვინდ ფაუერ“-ის თანამშრომელთა წარმომადგენელი

7.6 გასაჩივრების პროცედურები ქალთა, მოწყვლადი და დაუცველი ჯგუფებისთვის

7.6.1 გენდერული ნიშნით ძალადობისა და სექსუალური შევიწროების საწინააღმდეგო პროცედურები

შემდეგი პროცედურები განხორციელდება გენდერული ნიშნით ძალადობისა და შევიწროების შემთხვევების სარეგისტრაციოდ:

- პროექტის გენდერული ნიშნით ძალადობისა და შევიწროების საწინააღმდეგო კონკრეტული პოლიტიკა, რომელიც დეტალურად აღწერს თანამშრომელთა შორის მიუღებელი ქცევის ჩამონათვალს, დადგენილებებს ანგარიშგების შესახებ, მოძალადეებისთვის სანქციებს და ხელმისაწვდომ რესურსებსა და მხარდაჭერის სისტემებს დაზარალებულთათვის, მომზადდება და განხორციელდება კრედიტორების და საქართველოს მოთხოვნების, მათ შორის სს „ვინდ ფაუერ“-ის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის დანერგვის სახელმძღვანელოს შესაბამისად;
- თანამშრომლებს მიეწოდებათ ინფორმაცია მომუშავეს ქცევის კოდექსთან დაკავშირებით ქართულ, ინგლისურ და სხვა ენებზე (საჭიროების შემთხვევაში) მათი სამუშაო ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც მოიცავს დადგენილებებს ანგარიშგების, გამოძიების, შეწყვეტისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ გენდერული ნიშნით ძალადობისა და შევიწროების ჩამდენი პირების მიმართ;
- საინჟინრო, შესყიდვების და მშენებლობის კონტრაქტორი საექსპლუატაციო და მომსახურების კომპანიასთან ერთად პერსონალისთვის ჩაატარებს სავალდებულო რეგულარულ ტრენინგს და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს გენდერული

ძალადობისა და შევიწროების თემაზე ადგილობრივი თემის წევრებისა და მათი კოლეგების, განსაკუთრებით ქალების მიმართ, აგრეთვე გასაჩივრების მექანიზმის ხელმისაწვდომობაზე გენდერული ნიშნით ძალადობისა და შევიწროების შემთხვევების დასაფიქსირებლად;

- პერსონალი გაეცნობა კანონებსა და ნორმებს, რომელთა მიხედვით, სექსუალური შევიწროება და გენდერული ნიშნით ძალადობა დასჯადი დანაშაულია, რაც სისხლისსამართლებრივად იდენება;
- უზრუნველყოფილი იყოს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საკითხებზე მომუშავე ჯგუფებში და საჯარო საინფორმაციო ცენტრებში ქალთა დაბალანსებული წარმომადგენლობის ჩართვა, რათა პროცესი ადვილად გასაგები და ხელმისაწვდომი გახდეს მდებარეობითი სექსის პერსონალისთვის;
- თანამშრომელთა და მასპინძელი საზოგადოების წევრების მხრიდან სექსუალური შევიწროების ფაქტებზე ანონიმური გასაჩივრების ინსტრუმენტის შემუშავება და მომჩივანთა კონფიდენციალურობის დაცვა;
- საინჟინრო, შესყიდვების და მშენებლობის განყოფილება მოამზადებს ქალ კოორდინატორებს გენდერული ნიშნით ძალადობისა და სექსუალური შევიწროების საკითხებში პერსონალს შორის გენდერული ნიშნით ძალადობისა და შევიწროების ნებისმიერი შემთხვევის განსახილველად;
- საინჟინრო, შესყიდვების და მშენებლობის კონტრაქტორი საექსპლუატაციო და მომსახურების კომპანიასთან ერთად იმუშავებს ადგილობრივ ხელისუფლებასთან მჭიდრო კოორდინაციით, რათა გამოიძიონ მასპინძელ თემებში გენდერულ ძალადობასთან და შევიწროებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საჩივარი, როცა ის ეხება პროექტის თანამშრომლებს;
- საინჟინრო, შესყიდვების და მშენებლობის კონტრაქტორი უზრუნველყოფს მიზნობრივ ტრენინგს (მათ შორის ცხოვრებისეულ უნარებში, როგორცაა ლიდერობა და გადაწყვეტილების მიღება) და ცნობიერების ამაღლებაში მოწყვლადი მუშაკებისთვის, როგორცაა ქალები; და
- მონიტორინგის სისტემის შემუშავება გენდერული ნიშნით ძალადობისა და შევიწროების კუთხით საქმიანობის მონიტორინგის მიზნით კონტროლის ეფექტურობის შესაფასებლად.

7.6.2 ანგარიშგება გენდერულ ძალადობასა და სექსუალურ შევიწროებაზე

შემუშავდება არხები და ინსტრუმენტები გენდერული ძალადობისა და შევიწროების შესახებ ანონიმური შეტყობინებისთვის. ანგარიშგების არხები უზრუნველყოფს უსაფრთხოებას და კონფიდენციალურობას, რათა წახალისოს მსგავსი ინციდენტების გაშუქება. ანგარიშგების არხები უნდა მოიცავდეს რომელიმეს:

- საზოგადოების წევრები: არხები შეიძლება შეიცავდეს საჩივრების/გამოხმაურების ყუთებს, უფასო ტელეფონის ნომერს, დანიშნულ საზოგადოებრივ ორგანიზაციას (მაგ. არასამთავრობო ორგანიზაციებს და ა.შ.), სერვისის მომხმარებელთა ჯგუფს ან ადგილობრივ ქალთა ორგანიზაციას. ანგარიშგების არხები უნდა შეიცავდეს ანონიმურ და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომ ვარიანტებს, რათა წახალისონ ბავშვები და ახალგაზრდები, გამოთქვან თავისი აზრი.

- პერსონალი: არხები შეიძლება შეიცავდეს საჩივრების/უკუკავშირის ყუთებს საიტზე/ოფისში, ონლაინ ანგარიშს კომპანიის ვებგვერდზე ან ელფოსტაზე.

7.7 გასაჩივრების მექანიზმის საკონტაქტო ინფორმაცია

საჩივრების განხილვის მექანიზმის შექმნისთანავე საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იქნება საკონტაქტო ინფორმაცია და საჩივრების მიღების პუნქტების მისამართი. ამჟამად დაინტერესებულ მხარეებს სთავაზობენ შემდეგ დეტალებს, რათა შეძლონ თავიანთი საჩივრების ან კომენტარების წარდგენა შემოთავაზებულ პროექტთან დაკავშირებით.

ცხრილი 7-1 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა – საჩივრების განხილვის მექანიზმის საკონტაქტო ინფორმაცია

კომპანია	საკონტაქტო ინფორმაცია
საპროექტო კომპანია	სს „ვინდ ფაუერ“
გუნდები სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებში	სს „ვინდ ფაუერ“ ზურაბ ავალიშვილის 12, 0179, თბილისი, საქართველო მიწისა და სოციალურ საკითხებზე მომუშავე გუნდის საკონტაქტო ტელეფონის ნომრები: +995 577 77 08 09 +995 599 21 32 35
მენეჯერი სოციალურ საკითხებში	შორენა ჭოხონელიძე ტელეფონი: +995 577 77 08 09 ელფოსტა: shtchokhonelidze@gmail.com

საპროექტო კომპანიის, საინჟინრო, შესყიდვების და მშენებლობის კონტრაქტორის, აგრეთვე საექსპლუატაციო და მომსახურების კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია დადასტურდება სამშენებლო და საექსპლუატაციო ფაზების დაწყებამდე.

7.8 პროცესის მიმდინარეობა და ვადები

ცხრილი 7-2 გასაჩივრების პროცესი და ვადები

ეტაპი	ვადები
დონე 1: საჩივრის თავდაპირველი წარდგენა/ანგარიშგება	
მიღებული/წარდგენილი საჩივარი	
დარეგისტრირებული/დადასტურებული საჩივარი	საჩივრის წარდგენიდან 1 კვირის განმავლობაში
შესწავლილი საჩივარი	საჩივრის წარდგენიდან 2-დან 3 კვირამდე*

ეტაპი	ვადები
შეთავაზებული გადაწყვეტილება გადაეცემა მომჩივანს	საჩივრის წარდგენიდან 30 დღის განმავლობაში
დონე 2: საჩივრები, რომლებიც ვერ გადაწყდა პირველი დონის მექანიზმით	
საჩივრის ხელახალი შეფასების ზომები/ახალი გადაწყვეტის შეთავაზება/მომჩივნის ინფორმირება საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ	2 კვირის განმავლობაში მომჩივნის მიერ უკმაყოფილების შესახებ შეტყობინებიდან
იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი ვერ გადაწყდება ორ მხარეს შორის, ჩართულნი იქნებიან შუამავლები, ანუ ადგილობრივი ლიდერები, რომლებსაც ესმით პროექტის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული კულტურა და პრაქტიკა.	მომჩივნის მიერ უკმაყოფილების შესახებ შეტყობინებიდან 2 კვირის ვადაში

შენიშვნა: როდესაც კომპლექსური საჩივრები ან სხვა ფაქტორები ახანგრძლივებს გამოძიების დროს, მომჩივანს ეცნობება ამ შეფერხების შესახებ და მიეწოდება განახლებული პასუხის მოსალოდნელი ვადები

საჩივრის გადაწყვეტის ორდონიანი ზოგადი სქემა შეთავაზებულია ძირითადი სტრუქტურის სახით:

- პირველი დონის მექანიზმები ითვალისწინებს საჩივრებს, რომლებიც ადვილად გადაიჭრება ადგილზე ტოპ-მენეჯერების ჩართულობის გარეშე. მარტივი საჩივრები შეიძლება მიიღონ წერილობით ან ზეპირად და თუ ისინი მალე გადაიჭრება, საჩივრების მონაცემთა ბაზაში შეინახება მხოლოდ მოკლე ჩანაწერი.
- იმ შემთხვევაში, თუ ობიექტზე მიღებული საჩივრები არ ექვემდებარება იოლად გადაჭრას (როგორც პირველი დონის პროცესი), საჩივრების განხილვის მექანიზმის პასუხისმგებელი წარმომადგენლები ეხმარებიან მომჩივნებს სწორად შეადგინონ და შეიტანონ წერილობითი საჩივარი, რომელიც მოხვდება მე-2 დონის მექანიზმში.

7.9 ტრენინგი

პროექტის მენეჯმენტი პასუხისმგებელი იქნება, მხარი დაუჭიროს გასაჩივრების მექანიზმს და უზრუნველყოს, რომ პერსონალმა და შესაბამისმა დაინტერესებულმა მხარეებმა იცოდნენ მისი ხელმისაწვდომობის შესახებ.

პროექტის მენეჯმენტმა ასევე აუცილებელია უზრუნველყოს პერსონალის გამოყოფა გასაჩივრების მექანიზმის მართვისთვის. ეს პერსონალი სრულად უნდა იყოს ინფორმირებული საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ და ჰქონდეს წვდომა წინამდებარე დოკუმენტზე, რათა გარანტირებული იყოს გაწერილი მოვალეობების ეფექტური შესრულება.

ვინაიდან საჩივრების წარდგენა/მიღება შესაძლებელია საჯარო საინფორმაციო ცენტრში და პროექტის საკვანძო ობიექტზე/ოფისში, აუცილებელია ამ პროცესთან დაკავშირებულმა უსაფრთხოების პერსონალმა გაიაროს ტრენინგი, აგრეთვე ჰქონდეს წვდომა ამ დოკუმენტზე და

ნებისმიერ შესაბამის ფორმაზე, პროექტის პასუხისმგებელი მხარეების საკონტაქტო ინფორმაციის ჩათვლით და ა.შ.

გარდა ამისა, ყველა თანამშრომელი პროექტის დაწყებისთანავე ინფორმირებული იქნება გასაჩივრების მექანიზმის ხელმისაწვდომობის, მათ შორის მისი ძირითადი მახასიათებლების შესახებ, როგორცაა გენდერული ნიშნით ძალადობისა და სექსუალური შევიწროების შემთხვევები, პროცესები და სად შეიძლება მათზე წვდომის მიღება.

8 განხორციელების პროცედურები

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის წინამდებარე გეგმის ეფექტურად ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია მენეჯმენტის სტრუქტურის განსაზღვრა და შესაბამისი პერსონალის დანიშვნა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის წინამდებარე გეგმის განხორციელებისა და მართვის მიზნით.

8.1 ფუნქციები და პასუხისმგებლობები (საპროექტო კომპანია)

8.1.1 სს „ვინდ ფაუერ“-ის მენეჯერი სოციალურ საკითხებში

სახელი	დასადასტურებელი
საკონტაქტო ინფორმაცია	დასადასტურებელი

შენიშვნა: ქვემოთ მოცემული ფუნქციები ადგილზე უნდა გადაიხედოს პროექტში მომუშავე პერსონალის და მისი პასუხისმგებლობების საბოლოოდ განსაზღვრების შემდეგ. შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საკითხებში, აგრეთვე გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებში პასუხისმგებელი მენეჯერების და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის მოვალეობების ჩამონათვალი ქვემოთ უნდა განთავსდეს პროექტზე მომუშავე მხარეების დასტურის შემდეგ.

მენეჯერი სოციალურ საკითხებში პასუხისმგებელია:

- განახორციელოს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის ყველა ასპექტი, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის შესაბამისობას კრედიტორების მოთხოვნებთან;
- აღიაროს დაინტერესებული მხარეები პარტნიორებად სტრატეგიული მიზნების შემუშავებასა და განხორციელებაში;
- დაეხმაროს დაინტერესებულ მხარეთა მართვის ქვედანაყოფს ეფექტური კონსულტირებისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის პროცესში;
- უფროსი ხელმძღვანელობის კონსულტირება დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის საკითხებში და/ან რისკებში მათი გაჩენისთანავე, რათა შესაძლებელი იყოს რისკის ეფექტურად მართვა;
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის განხორციელებისა და მართვის მხარდაჭერაზე;
- ნებისმიერ გარე დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობაზე საგანგებო სიტუაციების დაგეგმვის, წვრთნებისა და საგანგებო შემთხვევებთან დაკავშირებით.

მენეჯერი სოციალურ საკითხებში სოციალურ თემებზე მომუშავე გუნდში დანიშნავს პირს, რომელიც პასუხისმგებელია სოციალური მედიის მონიტორინგზე და ყალბი ამბების/კამპანიების მართვაზე.

8.1.2 სს „ვინდ ფაუერ“-ის მენეჯერები გარემოსდაცვით, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების საკითხებში

სახელი	დასადასტურებელი
საკონტაქტო ინფორმაცია	დასადასტურებელი

სს „ვინდ ფაუერ“ აიყვანს/დანიშნავს მენეჯერებს გარემოსდაცვით, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების საკითხებში მშენებლობისა და ექსპლუატაციაში შესვლის, აგრეთვე ექსპლუატაციის ფაზებში. საპროექტო კომპანიის მენეჯერები გარემოსდაცვით, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების საკითხებში ზედამხედველობას გაუწევენ კონტრაქტორების გარემოსდაცვით და სოციალურ საქმიანობას. მენეჯერები გარემოსდაცვით, ჯანმრთელობისა და შრომის საკითხებში პასუხისმგებელი არიან განახორციელონ:

- დაინტერესებულ მხარეთა საკითხების იდენტიფიცირება და სათანადო ქმედება ამ საკითხების გადასაჭრელად;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის მიერ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმისა და ჩართულობის არსებული მეთოდების გასაჯაროება;
- პროექტის პერსონალის სათანადო ინფორმირება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმასა და საჩივრების მექანიზმთან დაკავშირებით (უსაფრთხოების პერსონალის ჩათვლით) და უზრუნველყოფა საჭირო რესურსებით (მაგ. მანქანები, კომპანიის ტელეფონები, საოფისე მასალები);
- დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრებისა და ინფორმაციის გამჟღავნების სწორად მართვა;
- ყველა საჩივრის დამუშავებისა და გადაწყვეტის ზედამხედველობა;
- აუდიტის ანგარიშების არატექნიკური რეზიუმეს და საჭიროების შემთხვევაში სრული ანგარიშების დამოუკიდებელი პერიოდული მონიტორინგისა და გასაჯაროების ზედამხედველობა;
- მონაწილეობის მიღება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ღონისძიებებში, რომლებიც პირდაპირ კავშირშია შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის პრობლემებთან ან საგანგებო სიტუაციების მართვის დაგეგმვასთან.

8.1.3 საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი (მენეჯერი საჩივრების მოგვარების საკითხებში)

სახელი	დასადასტურებელი
საკონტაქტო ინფორმაცია	დასადასტურებელი

ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ დაინტერესებულ მხარეებთან რეგულარული კომუნიკაციის შესანარჩუნებლად, აიყვანენ/დანიშნავენ საზოგადოებასთან ურთიერთობის მინიმუმ ერთ სპეციალისტს (ეს მოვალეობა შეიძლება შეასრულოს დანიშნულმა ჯანმრთელობის და შრომის

უსაფრთხოების მენეჯერმა). საჭიროების შემთხვევაში, დასახმარებლად შეიძლება მობილიზებული იყოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დამატებითი სპეციალისტი. საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი კარგად უნდა იცნობდეს საპროექტო რეგიონს და უნდა საუბრობდეს ადგილობრივ ენაზე. საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი მოსახლეობას გაეცნობა საჯარო საკონსულტაციო შეხვედრების დროს, ხოლო ინფორმაცია საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის შესახებ (მისი სახელი, საკონტაქტო ინფორმაცია და მოვალეობები) ხელმისაწვდომი იქნება საჯარო საინფორმაციო ცენტრში. საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის პასუხისმგებლობაში შედის:

- საზოგადოების შეხედულებების, მოსაზრებების და საჩივრების იდენტიფიცირება, ინფორმირება და ჩაწერა და / ან მათი გადაცემა საჭირო პერსონალისთვის შემდგომი დაკვირვებისთვის;
- საჩივრებზე / პრეტენზიებზე თვალის მიდევნების სისტემის შექმნა, რათა გაკონტროლდეს შეტანილი საჩივრის ტიპი, მომჩივანი და თითოეული საჩივრის სტატუსი;
- ინფორმაციის გამოქვეყნება და გავრცელება შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა შორის და მასალის თარგმნა შესაბამის ენებზე;
- წვრილმანი, პირდაპირი საკითხების განხილვა, როგორცაა მომჩივანთა მიერ ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებული საკითხები;
- მენეჯმენტის სხვა წევრებისგან განმარტებების მიღება კონკრეტულ საჩივრებთან დაკავშირებით, როგორცაა საპროექტო კომპანიის (ან პროექტის სხვა მხარის) ინფორმირების აუცილებლობა კონკრეტული საჩივრების შინაარსის ან პასუხის შესახებ;
- უზრუნველყოს ყველა მიღებული გარე საჩივრის სწორად აღრიცხვა, განხილვა და მართვა მითითებულ ვადებში, როგორც ეს აღწერილია ამ პროცედურაში; და
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასა და საჩივრებთან დაკავშირებით შესაბამისობის ვალდებულებებში ცვლილებების განახლება.

შენიშვნა: საინჟინრო, შესყიდვების და მშენებლობის კონტრაქტორი პროექტისთვის ასევე დაიქირავებს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტს.

8.1.4 სოციალური მედიის მართვა

ყალბი ამბების ან პროექტის საწინააღმდეგო კამპანიების მართვის მიზნით, რომლებიც შესაძლოა გავრცელდეს ინტერნეტში, დაინიშნება სპეციალური სოციალური მედიის მართვის მენეჯერი და დაეკისრება შემდეგი პასუხისმგებლობა:

- პოპულარული სოციალური მედიის ვებგვერდების თვალყურის დევნება (საკვანძო სიტყვები, პროექტის სახელი და ა.შ.);
- იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ვებგვერდების თვალყურის დევნება, რომლებიც ჩართულნი არიან მონიტორინგში, საინფორმაციო კამპანიაში ან სხვაგვარად გამოხატავენ ინტერესს პროექტის მიმართ;
- გააანალიზოს ინფორმაცია და მოამზადოს მოკლე მემორანდუმები სოციალური მენეჯერისა და პროექტის მენეჯერისთვის;

- დაგეგმოს და განახორციელოს საინფორმაციო კამპანიები საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტების, საჯარო საინფორმაციო ცენტრის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით;
- გამოსაყენებელი ინსტრუმენტები: ინფორმაციის გავრცელება სოციალური მედიის საშუალებით; სამიზნე ჯგუფებთან და უფრო ფართო აუდიტორიასთან საჯარო შეხვედრების მოწყობა.

8.2 მონიტორინგი და ანგარიშგება

შემდეგი შესრულების ძირითადი ინდიკატორები უნდა იყოს გათვალისწინებული დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის პროგრესის ან წარმატებულად განხორციელების შესაფასებლად. შესრულების ძირითადი ინდიკატორები უნდა აღირიცხოს ყოველთვიურად.

- ადგილობრივი თემის ჯანმრთელობასთან, უვნებლობასთან და უსაფრთხოებასთან (ტრავმები, დაზიანება, დაავადებები და ა.შ.) დაკავშირებული საჩივრების რაოდენობა (თითო სახეობაზე);
- ინციდენტების რაოდენობა, რამაც გამოიწვია თემის წევრ(ებ)ის ტრავმები/დაზიანება;
- ობიექტს მიღმა მომხდარი ინციდენტების რაოდენობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს თემის წევრ(ებ)ის დაზიანებები ან სიცოცხლის/ქონების დაკარგვა;
- ყოველთვიურად პერსონალისთვის ჩატარებული საპროექტო ტრენინგის/ინსტრუქტაჟის რაოდენობა, დამსწრეთა რაოდენობა და ახალი თანამშრომლების რაოდენობა;
- დასაქმებულ ქალთა რაოდენობა;
- რეპროდუქციული ჯანმრთელობის, სგდ-ების და აივ/შიდსის შესახებ სწავლებისა და ცნობიერების ამაღლების ტრენინგების რაოდენობა, რომლებიც გათვლილია პროექტის ზემოქმედების ზონაში მცხოვრებ ქალებსა და მოზარდ გოგონებზე;
- სექსუალური ექსპლუატაციის და ძალადობის/სექსუალური შევიწროების რისკებთან დაკავშირებით პროექტის ყველა თანამშრომლისთვის ჩატარებული საინფორმაციო ტრენინგების რაოდენობა;
- სავალდებულო რეგულარული ტრენინგის რაოდენობა და ცნობიერების ამაღლების პრაქტიკა, რომელიც ჩაუტარდა სამუშაო ძალას გენდერული ძალადობისა და შევიწროების საკითხებში ადგილობრივი თემის წევრების (მათ შორის ქალების) და მათი კოლეგების, განსაკუთრებით ქალების მიმართ; და
- მიღებული და გადაწყვეტილი საჩივრების რაოდენობა სექსუალური ექსპლუატაციის და ძალადობის, სექსუალური შევიწროების და გენდერული ნიშნით ძალადობის კუთხით და ა.შ.

ჩართულობის ყველა აქტივობა გაკონტროლდება და ანგარიშს წარადგენს საპროექტო კომპანია.

8.3 გადახედვა

როგორც აღინიშნა, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა არის ცოცხალი დოკუმენტი, რომელიც გამოიყენება გარემოსდაცვით და სოციალური მართვის სისტემებში პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში საცნობარო დოკუმენტის რანგში. ამგვარად, საჭიროა

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განახლება, რათა მასში აისახოს ნებისმიერი შესაბამისი ცვლილება, როგორცაა ცვლილებები პროექტების გარემოებებში, ახალი მოთხოვნები, ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ახალი დაინტერესებული მხარეები, მეთოდების მიმოხილვა, ცვლილებები ჩართულობის მეთოდებში, შესაბამისი პერსონალის ცვლილებები, ცვლილებები გასაჩივრების მექანიზმში. და ა.შ. ასევე შეიძლება საჭირო გახდეს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმისა და საჩივრების განხილვის მექანიზმის განახლება მაკორექტირებელი ქმედებების ფარგლებში, აუდიტთან ან სხვა მიგნებებთან მიმართებით.

როგორც მინიმუმ, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა გადაიხედება ყოველწლიურად, მუდმივი გაუმჯობესების მიღწევის მიზნით.

9 დანართები

დანართი 1 ობიექტების სიახლოვე საცხოვრებელ უბნებთან

რუისი ქვის ტურბინები და ქვესადგური: საცხოვრებელ უბნებსა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებთან სიახლოვე

ტურბინა №	მანძილი (მ)			კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი		
	საცხოვრებელი ზონა / უახლოესი სახლი					
1	2055	სამხრ.-დას.	რუისი	2073	სამხრ.-დას.	რუისის წმ.მარინეს ეკლესიის სასაფლაო
2	1500	სამხრ.-დას.	რუისი	1456	სამხრ.-დას.	რუისის წმ.მარინეს ეკლესიის სასაფლაო
3	1447	სამხრ.	სკრა	1910	სამხრ.	სკრის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია
4	2105	სამხრ.-დას.	რუისი	1933	სამხრ.-დას.	რუისის კვირაცხოვლის ეკლესია
5	903	სამხრ.-დას.	რუისი	610	სამხრ.-დას.	წმინდა კვირიკეს და ივლიტას მონასტრის სასაფლაო
6	649	ჩრდ.-აღმ.	არაშენდა	1081	ჩრდ.-აღმ.	არაშენდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია
- ამ პროექტში ძალიან მნიშვნელოვანია პროექტის ენერგეტიკული უსაფრთხოება, რაც მნიშვნელოვნად აკლია რაიონს და რეგიონს, და ალბათ პოლიტიკურად, იმიტომ რომ ინვესტიცია ნებისმიერი მატებს ქვეყანას და რეგიონს, კონკრეტულ რეგიონს, თავისი ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკური, გნებავთ გეოპოლიტიკურ მდგრადობას და მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ამ რაიონში ხდება ეს ენერგეტიკული სიახლე, ის რაც დიდი ხანია იღვწოდა საქართველო განახლებად ენერჯიებზე ყოფილიყო აქცენტი, გაეკეთებინა თამამი განაცხადი რესურსებისთვის, რომლებიც ჩვენ გავაჩნია, იგივე ქარის, მზის, გეოთერმული ენერჯიების, ბიომასის, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენ ამ პროექტში გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები, როგორც მოგახსენეთ, თუმცა ჩემი გამოცდილებითა და ბევრი იმ პროექტებიდან, რომელიც საქართველოში ენერგეტიკულ თემას ეხებოდა, მე სამწუხაროდ, ხდებოდა ხოლმე რომ, ქვეკონტრაქტორები ხშირად არჩევდნენ ხოლმე დასასაქმებელად იმ პიროვნებებს და იმ სამუშაო, ასე ვთქვათ, მონაცემებისა და კვალიფიკაციის მქონე პირებს, რომლებსაც გააჩნდათ გარკვეული სერტიფიცირება, გარკვეული ლიცენზირებული, სერტიფიცირებული უნარები, იგივე შემდგომების, იგივე მემანქანის, იგივე მეტეონის თუ ა.შ., და მნიშვნელოვანია, რომ თუ თქვენი კომპანია შეუწყობდა ხელს იგივე გადამზადების კურსებს, ან იგივე აქ რაც ჩამოვთვალე ამ სამუშაო ძალებისთვის, სამუშაო კვალიფიციური კადრების გადამზადებას, რომლებსაც დღეს სთავაზობს არაერთი პროფესიულ ტექნიკური სასწავლებელი, მოკლევადიან მაგრამ ძალიან საჭირო, რომლებიც მათ გამოადგებათ ნებისმიერ დროს, ნებისმიერი დასაქმების და კონკურენტუნარიანი დამსაქმებლის თუ ქვეკონტრაქტორის მიერ წამოყენებულ პირობას, რომ ჩვენი მოსახლეობა პასუხობდეს არა ერთხელ, არა ერთჯერადად და არა მხოლოდ ამ პროექტისთვის, არამედ მომავალშიც სხვა პროექტებშიც, და მნიშვნელოვანი იქნება, რომ თქვენმა კომპანიამ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, კარგი იქნებოდა თუ მაგალითად გამოჩნდებოდა საშუალება, იმიტომ რომ აქ არიან ძალიან ბევრი სასოფლო სამეორნეო კოოპერატივები, ძალიან ბევრი კვალიფიციური კადრები, რომლებსაც მაგალითად გამოადგებათ მომავალში მსგავსი უნარების ფლობა, და მსგავსი გამოცდილების გაზიარება და მე მიმაჩნია, რომ ალბათ ტექნიკურადაც მოსახერხებელი იქნება და ის ტარიფები, რომლებიც აუცილებლად უნდა ჩანდეს ამ პროექტში, როგორც ბენეფიტი ამ პროექტის თუ როგორ დაეხმარება ადგილობრივ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას და გადამამუშავებას და რამდენად შექმნის ადგილობრივი პროდუქციისთვის შედეგათიანი ენერჯის მიღების საშუალებას, დაბალი ტარიფები, რადგანაც მაგალითად ჩემი გამოცდილებით გეტყვით, გერმანიაში ბრანდენბურგის მიწებზე, როდესაც ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფერმერული კოოპერატივის სტუმრად გახლდით, მათ გავაცანეს თავიანთი მოდელი თუ როგორ მუშაობს თავიანთი მოდელი, და ეს ყველაფერი ასეც უნდა იყოს, რომ თავისი კოოპერატივის წევრებზე გაცილებით ნაკლებ ფასში იმ ქარის ენერჯის მიერ გამოამუშავებული ენერჯია მის კოოპერატივის წევრებზე, და ხომ არ იგეგმება რომ მოხდეს ინიცირება, შეიქმნას განახლებადი ენერჯის მომხმარებელთა კოოპერატივი, ასოციაცია, რომელიც მიიღებს ამ ბენეფიტებს და საკუთარი პროდუქცია, რომელიც აქ წარმოებული იქნება მომავალში ყოველთვის გაუწევს კონკურენციას სხვა ტრადიციულ ენერჯიაზე მომუშავე და წარმოებულ ელექტრო ენერჯიას. ყველა ტენდენციით და ყველა პროგნოზით ენერჯია მუდმივად იქნება ზრდადი და ვიდრე ქარის ენერჯია და მსგავსი ენერჯის წყაროები მუდმივად იქნებიან კონკურენტ უნარიანი ნებისმიერ შემთხვევაში, ასე რომ, ძალიან დიდი პერსპექტივები და მადლობა თქვენს კომპანიას ამ დიდი პროექტისთვის.

პასუხი 1:

ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

- ძალიან დიდი მადლობა პირველ რიგში სწორი შეფასებისთვის, პროექტის მნიშვნელობის ქვეყნისთვის და რეგიონისთვის, რამდენიმე კითხვა დასვით და სწორი აქცენტები დაისვა და მე მინდა, რომ პირველ რიგში სიხარულით მივიღებთ მაგ ინიციატივას, რომ არა მარტო ისეთი სერტიფიცირების პროგრამები უზრუნველვყოთ, რომლებიც სამშენებლო საქმიანობებში გამოიყენება, არამედ, თქვენ სწორად აღნიშნეთ, რომ რეგიონში ნომერ პირველი დასაქმების წყარო

არის სოფლის მეურნეობა, როგორც უმეტეს საქართველოს მსგავსი ტიპის არა მთიან რეგიონში, ჩვენ ცალკე ვმუშაობთ სოციალური პროექტების პაკეტზე, ამასთან დაკავშირებით ეს შეხვედრებიც მაგას ემსახურება, ნაწილობრივ, ჩვენ მივიღოთ სხვადასხვა მოსაზრებები მოსახლეობისგან, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთანაც ვფიქრობთ, რომ აქტიურად ვმუშაობთ, და მათაც იციან რა პრობლემები არსებობს და სად შეიძლება აქცენტის გაკეთება. ნუ ჩვენი ამოსავალი წერტილი მოსახლეობა არის რა თქმა უნდა, თქვენნაირ გამოცდილ ადამიანებს უნდა შევეკითხოთ აზრი და ძალიან კარგად უნდა შევაჯეროთ ის პაკეტები, რა პაკეტებსაც ჩვენ უკვე უზრუნველყოფთ, რომ ისეთი სერვისი და ისეთი სოციალური პროექტები შევთავაზოთ, რასაც ხალხი გამოიყენებს და ეფექტი ექნება მომავალში. ჩვენ შეგვიძლია რომ მაგაზე ვიმუშაოთ, რომ არამარტო, პირობითად ვიძახი, შემდგომის სერტიფიცირების პროგრამა თუ არსებობს, ეგ დავაფინანსოთ, არამედ სოფლის მეურნეობის. მე პირადად სოფლის მეურნეობაში გარკვეული გამოცდილება მაქვს, ცალკე ჩვენ ნუშის ბაღი გავაშენეთ, ოღონდ ამ პროექტს არ ეხება, და ჩემთვის ძან კარგად ნაცნობია თუ როგორი სპეციფიკური გამოცდილების მქონე ადამიანების ნაკლებობაა საქართველოში და როგორ არის საჭირო ვთქვათ იგივე განათლების მიღება, ამიტომ ჩვენ ამ კუთხით მზად ვართ.

რაც შეეხება სერტიფიცირების მიმართულებას, ის ადამიანები ვინც ტექნიკური კუთხით გაივლიან სერტიფიცირებას, ჩვენ შეგვიძლია რომ ჩვენს ამ პროექტში დასაქმდნენ და შემდეგ უკვე ბაზარზე გავლენ და ნებისმიერ პროექტში კონკურენტუნარიანი იქნებიან, ეს ერთი.

რაც შეეხება ელექტროენერჯის შეღავათს, ეგეც სწორი კითხვაა, უბრალოდ ჩვენ როგორც მწარმოებლები, კანონით შეზღუდული გვაქვს, რომ ჩვენ შეგვეძლოს მივაწოდოთ, რადგან ჩვენ არ ვართ მიმწოდებლები, ჩვენ ვართ მწარმოებლები. ჩვენ ვაწვდით სახელმწიფოს, ეგეთი შეთანხმება გვაქვს, კანონით ეგრეა განსაზღვრული, ჩვენ ვაწვდით 100% ენერჯია, რაც გამოუმუშავდება მიემართება ადგილობრივ მოხმარებას. შემდგომ უკვე სისტემაში ეს ენერჯია მიეწოდება და უკვე სისტემა წყვეტს უკვე საით წავიდეს ეს ენერჯია მოხმარების მიხედვით. ამიტომ, ჩვენ ესე პირდაპირ ვინმეს შეღავათიანი ტარიფები მივაწოდოთ მაგის უფლება არ გვაქვს, ამ კანონს ვერ დავარღვევ. ტექნიკურადაც არ შეგვიძლია გავაკეთოთ, იმიტომ რომ ამ რეგიონს ამ რაიონს ყავს სხვა მიმწოდებელი, თუმცა იგივე სოციალური პაკეტების კუთხით, ჩვენ, როგორ არის იცით, ბევრმა გამოცდილებამ გვანახა, რომ პირდაპირი ესეთი იმპულსური დახმარება არ მუშაობს, ვთქვათ რაღაც ან ვაუჩერები შევთავაზოთ ან რაიმე ასეთი. ეგეც თუ აღმოჩნდება, რომ მოსახლეობაში ეგ არის ყველაზე პრიორიტეტული ეგეც შეგვიძლია გავაკეთოთ, მაგრამ საბოლოო ჯამში ისეთი სოციალური პროექტები გვირჩევნია რომ შევთავაზოთ მოსახლეობას, რომელიც არა მარტო მოკლე ვადიანი ფინანსური დახმარებაა, არამედ იმ რაღაც პროექტს გამოიყენებენ და ვთქვათ მომავალში ამას ექნება მოდიფიკაციის ეფექტი. ამიტომ, მისაღები არის ეგ მოსაზრებები, ჩვენგან გვყავს სოციალური მენეჯერი შორენა, ჩვენი გუნდი გვყავს, რომელიც ამაზე ვმუშაობთ და ჯერ გვინდა, რომ მაქსიმალურად ამოვწუროთ ინფორმაცია მოსახლეობასთან შეხვედრების და ადგილობრივ ხელისუფლებასთან კონსულტაციის საფუძველზე. არის სხვათა შორის ძალიან ბევრი საერთაშორისო გრანტი ამ კუთხითაც, რომლებიც დამატებით შეგვიძლია მოვიზიდოთ და უფრო მეტი სერვისი შევთავაზოთ, ამაზეც ვმუშაობთ აქტიურად. ამიტომ მას შემდეგ რაც ჩვენ შევაგროვებთ ინფორმაციას და მოვუსმენთ მოსახლეობას, მოვუსმენთ ადგილობრივ ხელისუფლებას, მოვუსმენთ სხვადასხვა ექსპერტებს, ჩვენ პაკეტებად შევთავაზოთ და მაგის განხილვაც გვექნება და შემდგომ უკვე ერთად უნდა გადავწყვიტოთ რა მიმართულებით გავაკეთოთ აქცენტი და ჩვენი ბიუჯეტი ამ მიმართულებით მივმართოთ. მადლობა.

კითხვა 2:

სოფელ რუისის მკვიდრი

- სამუშაოთა დაწყების თარიღი ხომ არ დადგინდა?

პასუხი 2:

ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

ძალიან კარგი კითხვაა, დიდი მადლობა,

– სამუშაოების კუთხით ჩვენ სავარაუდოდ გავყოფთ ორ ნაწილად:

თი არის, ძირითადი სამუშაოები, რომელსაც სჭირდება გარკვეული დრო, რადგან მასშტაბური პროექტი არის, ამას ცალკე სამშენებლო ნებართვა სჭირდება. ამ ნებართვის აღებაში ჩართულია უამრავი სახელმწიფო სტრუქტურა. ასევე, იმისათვის, რომ მშენებლობის ძირითადი ნაწილი დავიწყოთ გვჭირდება დაფინანსება, მაგაზეც ვმუშაობთ. ჩვენ ვფიქრობთ რომ წელს ალბათ გაგვიჭირდება, წლის ბოლოს შეიძლება, რომ დავიწყოთ მასშტაბური მშენებლობა, მაგრამ უფრო ალბათ ზამთრის სეზონი, რომ გავა უფრო რეალისტურია, რომ რეალური სამშენებლო სამუშაოები მერე დავიწყოთ. თუმცა ჩვენ აუცილებლად გვინდა, რომ დავიწყოთ ისეთი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, როგორცაა მაგალითად მისასვლელი გზები, რომლებიც არაა მიზმი მთავარ ნებართვაზე, მაგაზე უკვე დაწყებული გვაქვს მუშაობა მუნიციპალიტეტებთან და ჩვენ შეგვიძლია ადგილობრივი გზები გავაუმჯობესოთ, რისთვისაც სამუშაოებს ჩვენ ალბათ დავიწყებთ სავარაუდოდ ზაფხულის ბოლოსკენ. მაგაზე წინასწარ გვექნება ინფორმაცია. ჩავაყენებთ საქმის კურსში მოსახლეობასაც, რომ მაქსიმალურად მიმართვიანობაც ამ მიმართულებით იყოს. არ არის ეგ რა თქმა უნდა დაკავშირებული მასშტაბურ სამუშაოებთან, მაგრამ რაღაც კუთხით მაინც უკვე ტექნიკის მობილიზება იქნება, ხალხს უკვე ავიყვანთ და რაღაც მოძრაობას დავიწყებთ.

შეეხება მთავარ სამშენებლო სამუშაოებს ეგ უფრო წლის ბოლოს ვფიქრობთ ან ზამთარი თუ მოვიდა ძაან მკაცრი ალბათ უფრო წლის გაზაფხულიდან დაიწყება, უფრო რეალისტურად ასეა. თუ მოხდა ისე, რომ უფრო მალე მივიღეთ ნებართვა და დაფინანსებაც მივიღეთ, ეს ნაწილობრივ არ არის ჩვენზე დამოკიდებული, იმიტომ რომ სახელმწიფო სტრუქტურებს თავისი განრიგი აქვთ როგორ გასცემენ ნებართვას, უფრო მალეც დავიწყებთ. მე უფრო გეუბნებით ისეთს, ცოტა თავის დაზღვევა გვქონდეს.

უხი ეკუთვნის კითხვა 2:

ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

კიდევ ერთი მინდა აღვნიშნო, თქვენ ახსენეთ რომ ქვეკონტრაქტორები მერე ვერ ახდენენ საბოლოო ჯამში იმ გეგმის განხორციელებას რაც დამტკიცდა.

პროექტში მთავარი სამშენებლო სამუშაოები მოიცავს გზების მშენებლობას, ფუნდამენტის გაკეთებას, ენერჯო კაბელების მიწისქვეშ მოქცევას, სამშენებლო მოედნების მოწყობას, ძაან მასშტაბური სამუშაოა. მაგ სამუშაოს ვახორციელებთ ჩვენ ჩვენი დედა კომპანია შპს „ფერი“, რომელიც არის საქართველოში ყველაზე გამოცდილი კომპანია ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობის, ენერჯეტიკული პროექტების მშენებლობის. კომპანია „ფერი“ არის ჩვენთან ასეთი ინვესტორი, ამიტომ ეს კომპანია, ჩვენ განვახორციელებთ ამიტომ ჩვენს ხელთ იქნება ყველანაირი ეს მიმართულება თუნდაც დასაქმების კუთხით.

იმცა იქნება გარკვეული სპეციფიკური ტექნოლოგიური სამუშაოები, მაგალითად თვითონ აი ამ ტურბინის აწყობა, ამას გააკეთებს უშუალოდ ის კომპანია რომლისგანაც შევიძენთ ჩვენ ტურბინას, იმიტომ რომ ჯერ ერთი საქართველოში ამის გამოცდილება არავის არააქვს, მეორეც ის მწარმოებელი კომპანია გაძღვევს გარანტიას, ამიტომ მან უნდა ააწყოს რომ საბოლოო ჯამში მიიღო კარგი შედეგი აწყობილი ტურბინის რომელმაც უნდა იმუშაოს. ამიტომ მიღებული პრაქტიკა არის რომ ესეთი სპეციფიკური სამუშაო რაც გულისხმობს ამ ტურბინის უშუალოდ აწყობას და შემდეგ ექსპლუატაციაში გაშვებას, მაგრამ მაგას არ ჭირდება ძალიან ბევრი ადამიანი, ამიტომ ძირითადად დასაქმების კუთხით მოთხოვნა არის სამშენებლო სამუშაოებზე. ეს სამშენებლო სამუშაოები ჩვენი განკარგვის ქვეშ იქნება, ამიტომ იქ არ არის რისკი რომ ვიღაც ქვეკონტრაქტორმა რაღაც არასწორად გააკეთოს და ის ჩვენი დაკვეთა არ შეასრულოს.

ხვა 3:

რმერთა უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი

კურბინის დიზაინი რის საფუძველზე შეიცვალა? 150 მეტრანი 105 მეტრზე ჩამოვიდა, ფრთების სიგანეც უფრო დიდია, ეს იყო ტექნიკური რეკომენდაცია თუ ჩვენ უბრალოდ მოვარგეთ ამ ლანდშაფტს, ხმაურის მინიმუზაციას ან რაღაცის მინიმუზაციას, რამ შეცვალა?

უხი 3:

ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

რის ტექნოლოგიის ბაზარზე მუდმივად ხდება ტექნოლოგიის დახვეწა. თქვენ რომ ნახოთ იგივე სხვა ქვეყნებშიც, ტენდენცია არის იმისკენ, რომ ახალი ტურბინები არის ყოველთვის უფრო დიდი ზომის. ყველა კომპანია, მწარმოებელი მუშაობს იმაზე, რომ ახალი მოდელი, რომელიც გამოვა იყოს უფრო მძლავრი, იმიტომ რომ ამაში არის მთელი ეკონომიკური ეფექტი. ასევე ის ერთი ტურბინა ერთ ადგილას უფრო მეტ ენერჯიას იღებს. აქედან გამომდინარე, ჩვენც თავდაპირველად დაშვება გვქონდა ორი მიმართულებით:

თი მიმართულება იყო, რომ მაქსიმალურად მოგვეცვა ტერიტორია, რომ დაგვენახა მაქსიმალური ზეგავლენა რა შეიძლება იყოს რეგიონზე, გარემოზე და სოციალურ საკითხზე, რომ რაიმე ადგილზე რომ მომავალში დაგვჭირდეს ეს არ გამოგვრჩეს, ანუ ჩვენ მაქსიმალურად დავტვირთეთ უფრო კონსერვატიული მიდგომით, რომ ბევრი ლოკაცია შევარჩიეთ, რომ მოდი ვნახოთ, რომ აი ამ ლოკაციებზე რა ხდება; ფრინველების, ღამურების კუთხით, კულტურული მემკვიდრეობის კუთხით, სოციალური კუთხით და გარემოზე ზეგავლენის კუთხით. ამ დროს ჩვენ შერჩეული არ გვქონდა ტურბინა, ამას გარკვეული დრო სჭირდება. შემდგომ ჩვენ ჩავატარეთ საბოლოო ტენდერი და საბოლოო ტენდერზე რამდენიმე საერთაშორისო კომპანია იყო ვინც მონაწილეობა მიიღო და მათ შემოგვთავაზეს მათი საუკეთესო ტექნოლოგია, რომელსაც ისინი გვთავაზობენ მათ შორის რელიეფის გათვალისწინებით, კლიმატის გათვალისწინებით და ა.შ. ენერგეტიკულად ჩვენ ვიღებთ იგივე სიმძლავრეს, ჩვენ არაფერს არ ვკარგავთ, 206 მგვტ იყო დადგმული სიმძლავრე მაშინაც და ეხლაც, თუმცა დავინახეთ ძალიან დიდი სარგებელი თუნდაც გარემოზე ზემოქმედების კუთხით ან სოციალური ზემოქმედების კუთხით, იმისათვის რომ ჩვენ შეგვემცირებინა რაოდენობა. ამან გამოიწვია ის, რომ ნაკლები მიწა გვჭირდება, ამან გამოიწვია ასევე ის რომ ნაკლებ სენსიტიურ ადგილებს ვეხებით, რომელზეც შეიძლება უფრო მეტი ზეგავლენა ყოფილიყო იგივე ფრინველებზე და ღამურებზე, მანდაც არ იყო ძან განსაკუთრებული ზეგავლენა და საბოლოო ჯამში დავინახეთ, რომ ენერგეტიკულად ჩვენ იგივე შედეგს ვიღებთ და რატომაც არა, მოდი გავაკეთოთ ისე, რომ ზემოქმედება შევამციროთ, არეალი შევამციროთ და მივიღოთ იგივე სარგებელი.

ამან განაპირობა ის, რომ ჩვენ ჩამოვედით თავიდან 50-ზე მეტი იყო, შემდეგ 46 და ახლა კი 33. აი ეს იყო განმაპირობებელი ფაქტორი, რამაც მოგვიყვანა აქამდე, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ჩვენი პროექტი გამოიყენებს ყველაზე უფრო თანამედროვე ტექნოლოგიას, რასაც შეიძლება ბაზარზე საერთაშორისო კომპანიები სთავაზობდნენ, რომელიც არის გამოცდილი, არის სერტიფიცირებული და ამავე დროს იძლევა საშუალებას, რომ იგივე სიმძლავრე მიიღო ნაკლები ზემოქმედებით.

იხვა 4:

რელის რაიონის სოფელ დირბის წარმომადგენელი

- თქვენ ეხლა საუბრობდით სერტიფიცირებულ შემდუღებლებსა და ა.შ. აი ჩვენ ვართ სერტიფიცირებული შემდუღებლები, გვაქვს უცხოურ კომპანიებთან მუშაობის გამოცდილება, ქართულ კომპანიებთან მუშაობის გამოცდილება და კითხვა მაქვს ასეთი: ანაზღაურება როგორ იქნება, მოჭრილ ხელფასზე იქნება თუ გამომუშავებაზე იქნება?

პასუხი 4:

ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

- პირველ რიგში ძალიან დიდი მადლობა ინიციატივისთვის, შეიძლება თქვენ უკვე გქონდათ კომუნიკაცია ჩვენს თანამშრომლებთან, მუდმივად იღებენ ინფორმაციას, ზოგი რეკავს ზოგი ოფისში მიდის, ოფისში არ ყოფილხართ უკვე მისული?

- არა. (სოფელ დირბის წარმომადგენელი)

- თხოვნა იქნება ჩვენს თანამშრომლებთან ან ჩემთანაც შეგიძლიათ გაიაროთ კონსულტაცია, ჩავაწერინოთ თქვენი მონაცემები, თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია, გამოცდილება, გვაჩვენეთ სერტიფიკატი, ჩვენ აუცილებლად განვიხილავთ თქვენს კანდიდატურას, ჩვენ ვეძებთ ეგეთ ადამიანებს.

- ჩვენ ვთანამშრომლობთ როგორც ინჟინრებთან, ასევე ქვეკონტრაქტორებთან შეგიძლია გავწიოთ თანამშრომლობა, როგორც კონსტრუქტორებთან და ა.შ. (სოფელ დირბის წარმომადგენელი)

- რუისში მოზრმანდით ბეგიჯანაშვილების (გოჩას) მაღაზიის უკან ოფისში (სხვა პასუხობს, რუისელი)

- რაც შეეხება ანაზღაურებას, ნახეთ, მე ახლა ძაან არასწორი ვიქნები რომ რამე კონკრეტული გითხრათ, რადგან თქვენ თქვენი სპეციალობა გაქვთ და თქვენ იცით თქვენი ანაზღაურება. ჩვენი ანაზღაურება იქნება ის რაც ბაზარზე არსებობს. მე უბრალოდ თქვენი სპეციალობის ანაზღაურება ვთქვა, ნამდვილად არ ვიცი, ამიტომ, ნახეთ, ის ანაზღაურება იქნება მარტო თქვენი კი არა, ნებისმიერი სპეციალობის ადამიანის ვინც ჩვენთან იმუშავებს, რა ანაზღაურებაც არის ზოგადად ბაზარზე, ან რეგიონში ან სხვაგან სადაც გიმუშავიათ რაც იყო. თუ იმაზე მეტი მეტი გავაკეთეთ ძალიან კარგი და იმაზე ნაკლები ყოველ შემთხვევაში არ იქნება. ამიტომ, მოლოდინი გქონდეთ ის, რომ იმ ანაზღაურებას მიიღებთ რაც ბაზარზე არის და ის განცდა არ გქნებათ რომ არასწორი შემოთავაზება გაგიკეთათ ვინმემ.

იმუშავებაზე იქნება თუ გამომუშავებაზე ეგ დამოკიდებული იქნება იმაზე, ბაზარზე როგორ მუშაობთ. მე ეგ უნდა დავეკითხო ჩემს სამშენებლო გუნდს, ვინც ამაზე მუშაობს. რა პრინციპით ხდება, მოკლედ რომ გითხრათ, რა პრინციპითაც სხვა პროექტებში გიმუშავიათ და რაც არის მიღებული პრაქტიკა, ჩვენ იგივე პრაქტიკას გავაგრძელებთ. არც განახლებულს რამეს შემოგთავაზებთ, არც რამეს მოვიგონებთ არაფერს, როგორც გიმუშავიათ, როგორც არის კომფორტული მუშაობა და როგორც ხდება ამ ბაზარზე მსგავს პროექტებში იმ სამშენებლო პროექტებში მუშაობა, იგივე იქნება ჩვენთანაც. აქვე მინდა კიდევ ერთხელ გითხვით ყველას, მაქსიმალურ ვიაქტიუროთ, დაგვიკავშირდით, ყველანი ირთეთ კომუნიკაციის საშუალება გვაქვს, ოფისიც გვაქვს რუისში, ბუკლეტებზე ჩვენი საკონტაქტო ინფორმაციაა მითითებული, ადგილობრივი ხალხიც არის ჩართული ჩვენთან, ადგილობრივ ოფისში საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტიც გვყავს ადგილობრივი, ჩვენი თანამშრომელი არის სოფო, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს იმას, რომ თქვენი ხმა არ დაიკარგოს და მოკლედ, მოგვაწვდინეთ ხმა ვინ ხართ, რა ხართ, რა შეგიძლიათ, და ა.შ. თხოვნა მაქვს ამის. ჩვენ კი ვცდილობთ რომ ესე მივიდეთ ყველა სოფელში, ძაან ბევრი შეხვედრა ჩავატარეთ ყველა სოფელში ვიყავით, რაც კი ამ პროექტში არეალში არის, მაგრამ გვირჩევნია რომ თქვენც იაქტიუროთ რომ სადმე ერთმანეთი არ დავკარგოთ.

- ჩვენ ვმუშაობთ როგორც უშუალოდ მუშაობის პერიოდში, ასევე კონსტრუქტორებთან, რომელიც ნახაზს ქმნის. (უშანგი ქვრივიშვილი)

- ჩვენ შემთხვევაში ის იქნება, ქარის შემთხვევაში მაინც ისეთია რომ ამის გამოცდილება ჯერ არ აქვთ საქართველოში და ეს პროექტი დაავაროექტეთ უცხოელების მიერ. ადგილობრივი ექსპერტებიც იყვნენ ჩართულები მაგრამ მთავარი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები, ფუნდამენტი როგორი უნდა იყოს, არმატურა რამდენი უნდა იყოს, როგორ უნდა დაიწნას, ეს ყველაფერი არის პროექტში მოწოდებული, მაგრამ მე თქვენ გეთანხმებით რომ შეიძლება ადგილზე რაღაც ტექნიკური გადაწყვეტილებები საჭირო იყოს და ჩართული გვეყოლება ინჟინრები და იმ ადამიანთან ჩართულობით ვინც უშუალოდ შეასრულებს რაღაც საკითხები

გავიაროთ. თუმცა იმდენად სპეციფიკური საკითხი არის, რომ რაღაც პატარა დეტალის შეცვლა თუ არ დაგვიდასტურეს უცხოელმა ესპერტებმა შეიძლება ვერ განვახორციელოთ, მაგრამ დეტალური ინსტრუქციები გვექნება რა უნდა გაკეთდეს ამის, ქართულ ენაზე შეგვიძლია რომ ეს ყველაფერი წარმოვადგინოთ ნახაზების დონეზე და შემდეგ უკვე გავივლით სად ვხედავთ სირთულეს და სად შეიძლება ვიღაცა მოვიწვიოთ როგორც ესპერტი. იმდენად აპრობირებული არის ეს ტექნოლოგია მსოფლიოში, რომ მე პირადად გამოვრიცხავ რომ რაიმე გაუკეთებელი იყო, მთავარია კარგად გავიგოთ დავალება.

კითხვა 5:

ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი

- ქალბატონებს როგორ დასაქმებთ, ძალიან ბევრი ქალბატონია? ვთქვათ საოჯახო ტურიზმის კუთხით შეიძლება თუ არა, ასევე ახალგაზრდებისთვის, ძალიან ბევრი ახალგაზრდაა რაიონში რომლებიც აპლიკაციებს ქმნიან, ამათი წარმოჩენა ახალგაზრდების და მათი ჩართვა მოდიფიკაციის, იგივე მონიტორინგის კუთხით იქნება ძალიან საინტერესო. რამდენიმე ახალგაზრდას შემიძლია რეკომენდაცია გავუწიო ძალიან ბევრი კონკურსები მოიგეს და ძალიან კარგი რესურსი იქნება სოციალური პროექტებისთვის.

პასუხი 5:

ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

- ძალიან კარგი, ჩვენ რეალურად მზად ვართ რომ ყველა ასეთი ადამიანი მივიღოთ, დაველაპარაკოთ, ვნახოთ გადაკვეთა სად გვაქვს, თუ გადაკვეთა კონკრეტულ პროექტში არსებობს ამ კონკრეტულ პროექტში გამოვიყენოთ, თუ არის სოციალური პროექტის ნაწილი, მაშინ სოციალური კუთხით გავაკეთებთ აქცენტს, ამიტომ ჩვენ ყველანაირად მზად ვართ, ყველანაირად ღია ვართ. ნახეთ, ამ პროექტს ჩვენ არ ვაკეთებთ ჩვენთვის, ამ პროექტს ჩვენ ვაკეთებთ ქვეყნისთვის და რეგიონისთვის პირველ რიგში, ამიტომ ჩვენ გვინდა რომ ეს პროექტი იყოს მორგებული ადგილობრივ საჭიროებებს. ერთად დავსხდეთ და ერთად გადავწყვიტოთ სად გავაკეთოთ მეტი აქცენტი, სად ნაკლები აქცენტი, პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება არ იძლეოდეს იმის საშუალებას რომ ქალბატონები მეტად დასაქმდნენ იმიტომ რომ სამშენებლო სპეციფიკაა, მაგრამ იქ შეიძლება სხვა მიმართულება იყოს, ამდენი ადამიანია ადგილზე, ამ ადამიანებს ადგილზე საკვები სჭირდებათ, განთავსება სჭირდებათ, მაქსიმალურად ავითვისებთ სოფლის ინფრასტრუქტურას ამ კუთხით. შეიძლება მაგ მიმართულებით უფრო ჩაერთონ. ეხლა პატარა ოფისი გვაქვს, მაგრამ მშენებლობა რომ დაიწყება დიდი ოფისი გვექნება, დიდ ოფისში ძალიან ბევრი სამეურნეო საქმე იქნება, მაგ სამეურნეო საქმეებში შეიძლება ჩაერთონ, მოკლედ, თქვენ გვითხარით, თქვენ დაგვეხმარეთ იმაში, რომ მიმართულებები გვითხარით, რა შეგიძლიათ და ჩვენ ჩვენსას შემოგთავაზებთ და სადღაც დარწმუნებული ვარ რომ საერთო ინტერესებს ვნახავთ.

- ეს ადგილი შეიძლება საინტერესო იყოს ტურისტებისთვის, როგორც ჩვენ ვნახეთ გიგანტური ენგურჰესი, ძალიან პოპულარულია ტურისტებში, მსგავსი შეიძლება გაუჩნდეს რეგიონს. *(არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

- ჩვენ მსგავსი გამოცდილება გვაქვს სხვათა შორის ყაზბეგში, დარიალი ჰესი, ძალიან ბევრი ადამიანი მიდის სანახავად, მაგამი გამოცდილება გვაქვს. ესეც თავის კუთხით მასშტაბური და მაგ კუთხითაც საინტერესო პროექტი იქნება. მე მაგალითად სადაც ჩავდივარ უცხოეთში, რომ დავინახავ ქარის სადგურებს, სულ მინდა რომ ახლოს მივიდე და ვნახო, სულ ინტერესი მაქვს. ამ კუთხითაც შეგვიძლია გარკვეული პროგრამები გავაკეთოთ. ეგ უკვე ოპერირების დროს შეიძლება. *(ზაზა ბაკურაძე)*

- ეს ძალიან კარგი იქნება ინვესტორისთვისაც, რეგიონი მოიზიდავს ტურისტებს *(არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

კითხვა 6:

ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენელი

- მე როგორც ბიზნესის წარმომადგენელი, სოფელი ბებნისიდან, რაში შეიძლება დავჭირდე პროექტს, ჩვენ გვაქვს ქვიშის კარიერი. როგორ შეიძლება ვითანამშრომლოთ ერთმანეთთან?

პასუხი 6:

ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

- ეგ სპეციფიკა, ეგ საკითხი, როგორც არის კარიერის სამშენებლო მასალის მოძიება, არის უფრო ჩვენი ქვეკონტრაქტორი კომპანიის, სამშენებლო კომპანიის შიდა საკითხები და ისინი გაივლიან ამ საკითხებს. მე კი ჩავიწერ თქვენს მონაცემებს, დაგიკავშირდებით, გავარკვიოთ რა წარმოება გაქვთ, რამხელა წარმოება გაქვთ. პირობას გაძლევთ რომ მე ამ საკითხს გავივლი ჩვენს სამშენებლო კომპანიასთან და სავარაუდოდ უფრო სამშენებლო კომპანიიდან დაგიკავშირდებიან ვინც სპეციალისტია ამისი და ისინი გაივლიან. თუ კითხვები აღარ არის დაგეშვით, მაღლობა ყურადღებისთვის.

შეხვედრის ოქმი #018

<p>თარიღი: 25/6/2024</p>	<p>დრო: 15:00</p>	<p>ლოკაცია: გორის მუნიციპალიტეტის მერია</p>
<p>შეხვედრის მიზანი: დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების ფარგლებში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისთვის მომზადებული პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების შედეგების გაცნობა</p>		
<p>დამსწრეები:</p>	<p>ბსგზმ შედეგების წარმდგენი: მედგარ ჭელიძე (შპს „დაბლიუიჯი ენვი კონსლტინგი“) პროექტის ხელმძღვანელი: ზაზა ბაკურაძე სოციალური მენეჯერი: შორენა ჭოხონელიძე გარემოს დაცვის სპეციალისტი: მათა გიკოშვილი საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენელი: სოფო ბეგიჯანაშვილი EBRD კონსულტანტი: ნინო ახვლედიანი გორის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობა და ადგილობრივი ხელისუფლება 34 ადამიანი. (30-კაცი, 4-ქალი) სამი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი (AEGEE თბილისი, თრემირთა ოჯახობის დაძაბის ასოციაცია, ა/ო ახალი დიპლომატი)</p>	
<p>ოქმი მოამზადა:</p>	<p>საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენელი: სოფო ბეგიჯანაშვილი</p>	

შეხვედრის
ფოტოები:



შეხვედრის მოკლე აღწერა: მოხდა შეხვედრის წინასწარ ორგანიზება, რაშიც სს ვინდ ფაურის სოციალურ გუნდს დაეხმარა გორის მერია და მერის წარმომადგენლები გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში. ინფორმაცია განცხადების სახით გაიკრა სოფლების უბნებში. ამას გარდა განცხადებები გამოქვეყნდა მუნიციპალიტეტის სამიზნე სოფლების (შინდისი, საქაშეთი, არაშენდა, ვარიანის მეურნეობა) სოციალურ ქსელში (ფეისბუქი). განცხადება ასევე დაიდო გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ გვერდზე (<https://www.facebook.com/share/p/T19hM3pEaxNr18ct/?mibextid=WC7FNe>). მოსახლეობის ინფორმირება მოხდა გორის პრესის დახმარებითაც (გორის მაცნე) და ასევე ტელევიზიის საშუალებით (ტვ მონიტორინგი და ტელეკომპანია დია). შეხვედრა ჩატარდა გორის მუნიციპალიტეტის მერიაში.

შეხვედრის ფარგლებში მოხდა მოსახლეობის ინფორმირება პროექტზე, მის ზემოქმედებაზე და სარგებელზე ადგილობრივებისთვის. ასევე განხილული იყო დასაქმების შესაძლებლობები, საჩივრების მექანიზმი და მიწების შესყიდვა. ყველა დამსწრეს გადაეცა პროექტის შესახებ 2 ბროშურა და ეცნო საკონტაქტო დეტალები. კერძოდ: პროექტის ვებ გვერდის და რუისში ახლადგახსნილ პროექტის საინფორმაციო ცენტრის შესახებ. ბსგზშ შედეგების მოკლედ პრეზენტაცია წარადგინა კონსულტანტმა მედგარ ჭელიძემ (38 წთ).

პრეზენტაციის შემდგომ დამსწრეთა აქტიურობა მაღალი იყო და დაისვა ბევრი შეკითხვა რაზეც პასუხები ძირითადად გასცა პროექტის ხელმძღვანელმა ზაზა ბაკურაძემ. ზოგადად, აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის განწყობა პროექტისადმი პოზიტიურია.



Gori_Signatures_25.0
6.2024.pdf

შეხვედრაზე დამსწრეთა ხელმოწერები:

შეხვედრის კითხვა პასუხის ნაწილის დეტალური ტრანსკრიპტი:

კითხვა 1:

სოფელ შინდისის მკვიდრი

- დასაქმებასთან დაკავშირებით მაინტერესებს კონკურსი იქნება თუ უნდა მოგმართონ პირადად ?

პასუხი 1:

ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

- მოგახსენებთ, კარგი კითხვაა, რაც შეეხება დასაქმებას, ჩვენ გვაქვს ასეთი მიდგომა, ალბათ სწორი მიდგომა არის, როგორც აღვნიშნეთ ოფისიც გვაქვს რუისში, პლიუს, ბროშურებზე წარმოდგენილია საკონტაქტო ინფორმაცია, კარგი იქნება თუ დასაქმების ნებისმიერი მსურველი მოგვმართავს და ჩაგვაწერინებს მის პირად ინფორმაციას, თუ რა პროფესიის ბრძანდება, რის გაკეთება შეუძლია, არის ძალიან ბევრი ადამიანი, რომელსაც კონკრეტული ხელობა აქვს შესწავლილი და ამ ხელობით უნდა მუშაობის გაგრძელება, ან შესაძლოა არ ჰქონდეს რაიმე კონკრეტული უნარ-ჩვევები და უნდა შესწავლა, ან შედარებით მარტივ სამუშაოზე უნდა მუშაობა, ამიტომ ჩვენ ამ ეტაპზე დაწყებული გვაქვს შესწავლა, ადგილობრივ ბაზარზე რა მუშა-ხელი არსებობს, რა ინტერესი აქვს, რა პროფესიის ადამიანები არიან და რისი გაკეთება შეუძლიათ, ამის მიხედვით, პრიორიტეტს მივანიჭებთ იმ სოფლებს, რომლებიც ხვდება ჩვენს არეალში და ცალსახად ჯერ იმ ადამიანებს გავითვალისწინებთ, ვინც იმ სოფლებიდან არის, რომელიც ამ არეალში ჰყვება, ამის მერე, თუ არ ამოვწურავთ რესურსს, გადავალთ უკვე იმ სოფლებზე, რომლებიც ჩვენს არეალს სცდება, მაგრამ პროექტის მასშტაბი იმხელა არის, რომ მე დარწმუნებული ვარ, საკმაოდ დიდი რაოდენობაა საჭირო, რომ ეს რესურსი ავითვისოთ.

ამიტომ მე მოვუწოდებ ყველას, ჩვენს ოფისში უკვე 100-ზე მეტი ადამიანია მოსული, ძირითადად აქცენტი გაკეთებული არის დასაქმებაზე და ჩვენ ვიწერთ ამ ინფორმაციას, ამას ჩვენ დავამუშავებთ, იმის მიხედვით პროექტის მშენებლობა რას ითვალისწინებს, ვინც ვერ მოყვება პროექტის დასაწყისში, შესაძლოა ბევრი ქალბატონი იყოს, რომელთაც მშენებლობის ნაკლები ინტერესი აქვთ და საშუალება არ იყოს, ამიტომ ამ კატეგორიისთვის ცალკე მოვიფიქრებთ, რა მიმართულებით შევძლებთ მათ დასაქმებას. მესამე კომპონენტია, სოციალური პროექტები, რომლებსაც ჩვენ განვახორციელებთ მორგებულს იმ საჭიროებებზე, რაც სოფელს გააჩნია და შესაძლოა ადამიანები, რომლებიც ვერც მშენებლობაში ჩაერთვებიან და ვერც შემდგომ, მოყვნენ ამ სოციალურ პროექტში. ასე რომ, იმისთვის რომ ჩვენ გადავწყვიტოთ ვის აქვს საშუალება დასაქმების, ჯერ უნდა გავიგოთ, ადგილზე რა მოთხოვნაა, რა მუშა-ხელი არსებობს და რა რესურსია. ჯერ მშენებლობის დაწყება ადრე არის, ხვალ და ზეგ არ ვიწყებთ. ჯერ ნებართვა უნდა მივიღოთ, შემდეგ დაფინანსება, რამდენიმე თვე გვაქვს ჯერ, ამიტომ მთელი გუნდის სახელით ყველას მოვუწოდებ, გამოიჩინეთ ინტერესი, დასაქმების მსურველმა ადამიანებმა მოგვმართონ, ჩვენი კომუნიკაციის საშუალებები ფართოა, ოფისი გვაქვს, შეგიძლიათ ასევე დაგვირეკოთ, მოგვწეროთ მეილი, ვის რომელ კომუნიკაციის არხზე მიუწვდება ხელი, შეგვატყობინოთ თქვენი სურვილის, პროფესიის და შესაძლებლობების შესახებ, ამის შემდეგ ჩვენ დავამუშავებთ მონაცემებს, თვითონ დავუკავშირდებით ადამიანებს და გავივლით დეტალებს.

კითხვა 2:

გორის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი

- ეხლა ერთიანობაში წარმოადგინეთ პროექტი, რადგან გორში ვართ შეკრებილი ძალიან საინტერესო იქნება, რამდენი ტურბინა იქნება გორის ტერიტორიაზე და თუ გაქვთ დათვლილი, ქონების გადასახადის სახით, რამდენს შემოიტანთ ადგილობრივ ბიუჯეტში?

პასუხი 2:

ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

- კანონის მიხედვით, ქონების გადასახადი არის 1 % ინვესტიციის, დაახლოებით 6 000 დოლარამდე, ყოველ წელს ოდნავ შემცირდება, რადგან ქონების ღირებულება მცირდება პირველი 5 წელიწადი, ჩვენი ვარაუდით ალბათ ასე იქნება. რაც შეეხება ტურბინებს, ასე ზეპირად არ მახსოვს, ჩემს კოლეგებს ვთხოვ დახმარებას, თუ გნებავთ, შეგიძლია რუკა გავხსნათ და რუკაზე მოვნიშნოთ. ჩვენ როდესაც მიწის ნაკვეთები შევისყიდეთ, კრიტერიუმად ალბათ უნდა ავიღოთ ის მიწის ნაკვეთები, რომლებიც სოფლის შემადგენლობაში მოყვა, ტერიტორიულად სამუშაოები შესაძლოა ვარიანიდან ან შინდისიდან შორს იყოს, მაგრამ ისე აღმოჩნდეს, რომ სოფლის ნაკვეთი იყოს ახლოს, ჩვენ ამას ვთვლით, რომ უკვე იმ სოფელთან გვაქვს კავშირი, თუ ასე გავყვებით, შეგიძლია რაღაც მონახაზი გვქონდეს.
- მესმის, ასე თვლით 6 ტურბინაა, 3 არის მოყოლილი გორის ტერიტორიაზე და 3 ქარელის, ქონების გადასახადთან დაკავშირებით დავა 3ქონდათ ერთმანეთში. მაინტერესებს წინასწარ თუ გაქვთ დაგეგმილი, რამდენი იქნება ჩვენი, რომ ვიცოდეთ მომავალში გორში შემოვა ეს გადასახადი თუ ქარელში. (გორის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი)
- ლოკაციებს რაც შეეხება, ზუსტ ინფორმაციას ეხლა ვერ გეტყვით. კი გვაქვს 33 ადგილი შერჩეული, მაგრამ არის შანსი ტურბინები ცოტა ჩაჩოჩდეს-ჩამოჩოჩდეს, ამიტომ უხეშად რომ ვთქვათ, არაშენდასთან არის 3 ტურბინა, თუმცა ის ტურბინა მიწის ნაკვეთის კუთხით, შესაძლოა სხვა სოფელს ეკუთვნოდეს, ძალიან რთულია ასე თქმა. ამ შეხვედრის მერე გავხსნათ ეს ინფორმაცია და დავამუშაოთ ან ჩემს კოლეგებს თუ აქვთ ინფორმაცია? (ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი)
- 33 -დან 12 ტურბინა იქნება გორის მუნიციპალიტეტში. (პროექტის მიწის გუნდის წარმომადგენელი)

კითხვა 2:

გორის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი

- რაც შეეხება მანძილებს ტექნიკური ინფრასტრუქტურის ელემენტებამდე, თქვენ აქ გქონდათ მოცემული 500 მეტრია საცხოვრებელ სახლამდე. ვერ გავერკვიე, ანუ 500 მეტრის რადიუსით შესაძლებელია უკვე იყოს დასახლებები? რა სტანდარტებით ხელმძღვანელობდით?

პასუხი 2:

ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

- 500 მეტრი როდესაც ვახსენე, აქ იგულისხმებოდა, რომ შერჩევის საწყის ეტაპზე ამ პრინციპით ხელმძღვანელობდნენ, როდესაც კონფიგურაცია დგებოდა. მინიმუმი დაშორება უნდა იყოს 500 მეტრი სახლსა და ტურბინას შორის. უხეშად რომ ვთქვათ, სინამდვილეში ასეთი მოთხოვნა არ არის, თუ ხმაურის მოდელირებამ აჩვენა რომ ნაკლებზეც შეიძლება არ იქნება პრობლემა. რამე შეზღუდვა ოფიციალური არ არსებობს, საორიენტაციო გათვლა საწყის ეტაპზე იყო ასეთი.
- 500 მეტრი ძალიან ახლოს ხომ არ არის? მე თვითონ ვნახე ევროპის ქვეყნებში, მაგალითად ავსტრიაში ძალიან მოშორებით არის სახლებიდან, ფაქტიურად მინდვრებზეა. (გორის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი)
- რამდენიმე კომპონენტი განსაზღვრავს დაშორების მანძილს. ერთი არის ხმაურის გავრცელება. ტურბინა გამოსცემს ხმაურს, ფრთა როდესაც ტრიალებს, ფრთის ერთი მხარის წნევა მაღალია, მეორე მხარის დაბალი და ეს ურთიერთქმედება გამოჰყოფს ხმას, თითქოს ჭრის. ტარდება ხმის გავრცელების მოდელირება, არსებობს საერთაშორისო სტანდარტით განსაზღვრული რა უნდა იყოს ხმა სახლის კედელთან, ამის საფუძველზე ჩვენ ვიცით ტურბინას რა ხმა აქვს, ოფიციალურად მომწოდებლის ინფორმაციით, შემდგომ ხდება ამ ხმის გავრცელების მოდელირება და მანძილის დადგენა. როდესაც გავაკეთეთ მოდელირება, დაახლოებით 550 მეტრამდე დაშორების საშუალება მოგვცა, სხვა რამე კონკრეტული რეგლამენტი, რომელიც განსაზღვრავს ტურბინის დაშორების მანძილს არ არსებობს არც ევროპაში, არც საქართველოში. ერთადერთი არის ხმაური, ჩვენ ეს სტანდარტი გათვალისწინებული გვაქვს, არც ერთი ჩვენი ტურბინა არ არის ისეთ ლოკაციაზე, რომელიც ავრცელებს იმაზე მეტ ხმაურს, ვიდრე დასაშვებია. (ზაზა ბაკურაძე)
- მე მესმის მაგრამ, მდინარის ხმაურიც დასაშვებია, მაგრამ თუ მდინარის პირზე ცხოვრობს ადამიანი, ყოველ დღე ისმინო.. (გორის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი)
- იმიტომ რომ, იქ სინამდვილეში დასაშვები ხმაური არ არის, თქვენ რომ ფონური გაზომვით მდინარესთან, ეს დასაშვები ხმაური არ არის. (ზაზა ბაკურაძე)
- დიახ, უბრალოდ ეჩვევა ადამიანი და.. (გორის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი)
- საქმეც მაგაშია, დასაშვები იმას ჰქვია, რომ არ უნდა გაწუხებდეთ. (ზაზა ბაკურაძე)

კითხვა 3:

ვარიანის და შინდისის დეპუტატი

- ეს დასაშვები 500 მეტრი, რომელიც დასაშვებია ტურბინიდან დასახლებამდე, ხომ თქვენს საკუთრებაში იქნება? იქ ხომ მიწის ნაკვეთია და იქნებ ვიღაცამ მოინდომოს სახლის აშენება, თავის მომიჯნავე ნაკვეთზე. ანუ 500 მეტრი დაშორება უნდა იყოს თქვენი საკუთრებიდან მოსახლეობის საკუთრებამდე.

პასუხი 3:

ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

- სწორი კითხვაა, ოღონდ ერთი დაზუსტებით მინდა ვთქვა, სოფელს აქვს თავისი განვითარების გეგმა, რაღაც ტერიტორიები განკუთვნილია სახლის აშენებისთვის, ასე ნებისმიერ ადგილზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მე აქ მინდოდა სახლის აშენება-ო, შესაბამისად არის განვითარების ზონები, რომლებიც ზემოქმედების ქვეშ ხვდება და იქ ფასი ნაკლები ხდება და ეს გასათვალისწინებელია.

- მე ფასზე არ მაქვს საუბარი, სოფელი იზრდება, სახლები შენდება, ის 500 მეტრი დაშორების მანძილი თქვენს საკუთრებაში უნდა იყოს და არა მოსახლის, რადგანაც მე ჩემს საკუთრებაში სახლის აშენება თუ მინდა, პრობლემა არ უნდა შევექმნათ, ამ კუთხით მოსახლე არ უნდა შეიზღუდოს. (დეპუტატი)
- კი, კი სწორი კითხვაა. პირველ რიგში, ტურბინის მიმდებარე ადგილი ჩვენ შესყიდული გვაქვს, დაახლოებით ორი - ორნახევარი ჰექტარი, შესაძლოა ცოტა მეტიც. ტურბინებს ვათავსებთ შუა მინდორში, რომელიც არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების. არ ვართ ახლოს დასახლებულ პუნქტთან, რომელსაც აქვს თავის დანიშნულება. ჩვენ როდესაც ვსაუბრობთ 500 მეტრზე, იგულისხმება დასახლებულ პუნქტამდე მანძილი, სადაც დასაშვებია განაშენიანება. შუა მინდორში სახლის აშენება ნაკლებად მოსალოდნელია, რადგან სოფელს უნდა მოშორდეს კილომეტრების მანძილზე. ტურბინების ლოკაციები შევარჩიეთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიაზე, სამშენებლო დანიშნულების ნაკვეთები იქ არ არის. ჩვენ მოვშორდით დასახლებულ არეალს. (ზაზა ბაკურაძე)
- დასახლებული პუნქტიდან რა მანძილით ხართ დაშორებული? (დეპუტატი)
- 500 მეტრით. (ზაზა ბაკურაძე)
- გავა წლები და ეს 500 მეტრი ისევ მოსახლეობას შეუქმნის პრობლემას, სოფელი რომ იზრდება, გაჰყვება იმ დასახლებულ პუნქტს, ისევ მოსახლე შეიზღუდება. ამას ვგულისხმობ, ის 500 მეტრი, დაცვის ზოლი უნდა იყოს თქვენს საკუთრებაში. კერძო ნაკვეთში არ უნდა იზღუდებოდეს მოსახლეობა. თუ ტურბინას სჭირდება 2,5 ჰექტარი, აქ არ უნდა შევიდეს ის 500 მეტრი. (დეპუტატი)
- საერთაშორისო სტანდარტებით, ევროპაშიც ასე კეთდება, ასე აშენებენ მსოფლიოში, ჩვენ გამოწვავის ვერ ვიქნებით. არსებობს გარკვეული კრიტერიუმი როგორ დააპროექტო ქარის პროექტი, აქ უნდა გაითვალისწინო არსებული სიტუაცია და დასახლებული პუნქტის განვითარების პერსპექტივა. ჩვენ ამაზე გვქონდა კომუნიკაცია ორივე მუნიციპალიტეტთან, გამოვითხოვეთ ინფორმაცია და შევაფასეთ ადგილები, ვერ დაგეთანხმებით, მაგ ლოგიკით არსად არ შეიძლება ქარის სადგურის აშენება, რადგან თეორიულად ყველგან შესაძლებელია ვიღაცამ მოინდომოს სახლის აშენება. (ზაზა ბაკურაძე)
- მე ზუსტად არ ვიცი რა ტერიტორიაა, ვარიანშია... არაშენდას მთაზეა.. იქ სადაც მთაზეა, შესაძლოა არც შევიზღუდოთ, მე უბრალოდ ვამბობ გავითვალისწინოთ მოსახლეობა. (დეპუტატი)
- მინდა შეგახედოთ. ძირითადად ტურბინები არის ამ შუაგულში, რამდენიმე ტურბინაა, რომელიც უშუალოდ არის სოფელთან სიახლოვეს. რუისის ტურბინა ძალიან არის დაშორებული, შეიძლება არაშენდასთან იყოს 2 ტურბინა ახლოს, ტურბინები საკმაოდ მოშორებულია, კილომეტრებზეა საუბარი. ჩვენ თუ იმას ვსაუბრობთ, რო აქ შესაძლოა მოსახლეობა დასახლდეს 100 წლის შემდეგ, ეს ტურბინა აღარც იქნება.. ზოგადად განაშენიანების განვითარება გათვალისწინებულია. მინიმუმ დაშორებას ჩვენ ვგულისხმობთ, იმ ტურბინებთან, რომლებიც ახლოს არის სოფელთან, 33-დან უმეტესობა არის შუაგულში. ასე რომ, ჩვენ არანაირად მოსახლეობას ხელს არ ვუშლით. (ზაზა ბაკურაძე)

კითხვა 4:

გორის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი

- აქვთ თუ არა ამ ტურბინებს დამცავი ზოლი? მაღალი ძაბვის ელექტრო-ხაზებს 100-იანებს, 200 - იანებს აქვთ 25 მეტრი, საქართველოს რეგულირებას აქვს თავის დაცვის ზოლი. აქვთ თუ არა ამ ტურბინებს დაცვის ზოლი, რომლის შიგნითაც აღარ შეიძლება მშენებლობა, თორემ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ჩვეულებრივად შეიძლება აშენდეს საცხოვრებელი სახლები, მიწაში კაბელებია. რა დაცვის მექანიზმებია?

პასუხი 4:

ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

უფლება მოვიპოვოთ. ინფრასტრუქტურას მიწაზე აკეთებ თუ ჰაერში, ეს უფლება გჭირდება. 87 მეტრია დაახლოებით რადიუსი.

კითხვა 8:

ვარიანის და შინდისის დეპუტატი

- საცხოვრებელი სახლებიდან დაშორების სავალდებულო მანძილი 500 მეტრია. სხვა დანიშნულების ობიექტებზე რა ხდება? ასევე ცენტრალურ მაგისტრალთან ახლოს ხართ, სადაც შესაძლებელია ბიზნეს კუთხით განვითარება დროთა განმავლობაში, ესეც თუ გაქვთ შეფასებული?

პასუხი 8:

ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

- ინდუსტრიულზე ნაკლები შეზღუდვაა. შესაძლებელია უფრო ახლოს განთავსება. ძირითადი ტურბინები არის განთავსებული ყველაფრისგან შორს. მათ შორის ავტობანიდან კილომეტრებით არის დაშორებული. არის რამდენიმე ტურბინა, რომელიც განლაგებულია შედარებით სიახლოვეს, ამ შემთხვევაშიც ავტობანს თავის დაცვის ზონა აქვს, 300 მეტრზე ახლოს ვერ მიხვალ, დასახლებულ პუნქტშიც რამდენიმე ტურბინაა, რომელზეც ვრცელდება 500 მეტრიანი შეზღუდვა და მაინც ისეა განთავსებული რომ სოფლის განაშენიანების ტერიტორიიდან საკმაოდ შორს იქნება. დაგეგმვისას გავითვალისწინეთ, რომ დაგვეშორებინა ტურბინები დასახლებულ პუნქტთან, ასევე არსებულ ინფრასტრუქტურასთან, მდინარესთანაც კი, ნაწილი ტურბინები გავაუქმეთ. ძირითადად ავითვისეთ დაუმუშავებელი ტერიტორიები.
- თეორიულად ვიღაცას შესაძლოა გეგმა ჰქონდეს ტურისტული კომპლექსის აშენების, იმას სხვა ინვესტიციები იქნება. *(დეპუტატი)*
- ტურისტულ კომპლექსს ვერ ააშენებთ, ზონა არ არის შესაბამისი, თეორიულად ყველაფერი შესაძლებელია და თქვენ შეიძლება მოინდომოთ ტრიალ მინდორში სახლის აშენება, უბრალოდ რისკები უნდა იყოს შეფასებული შესაბამისად. უნდა გადავწყვიტოთ სად განვავითაროთ ენერგეტიკულად და სად ტურისტულად. ჩვენ შევარჩიეთ ადგილი, რომელიც არ შეუშლის ხელს ამ რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, ტრიალ მინდორში და ძირითადად არის სწორი ადგილი, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება ნაკლებ სავარაუდოა. იქ სადაც მთიანი ადგილია, სადაც დაცული ტერიტორიებია, იქედან მოშორებული გვაქვს. როდესაც ვგეგმავდით ამ პროექტს ესეც გავითვალისწინეთ. უნდა გამოვიდეთ იქედან, რეგიონს რისი განვითარების პერსპექტივა აქვს. ქარის სადგურს არანაირი შეზღუდვა არ იქნება მაცხოვრებლების განვითარების კუთხით. თუ კითხვაა ამ ტერიტორიაზე ცალკე სოფელი შეიძლება თუ არა განვითარდეს, რა თქმა უნდა შეზღუდვები იქნება. *(ზაზა ბაკურაძე)*

კითხვა 9:

გორის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი

- გზების ინფრასტრუქტურა თუ არის გათვალისწინებული პროექტში?

პასუხი 9:

ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

- მადლობა ამ კითხვისთვის. არსებულ გზებს გავაუმჯობესებთ, ახალი გზა იქნება, ასფალტი არ იქნება, არსებობს თავისი ტექნოლოგია, ქვიშა-ხრეში, რომლითაც მოსწორდება ტერიტორია, იმისთვის, რომ იქ გაიაროს ისეთმა ტრანსპორტმა, რომელსაც გადააქვს მძიმე ტვირთი, როგორცაა ტურბინის ნაწილები. არსებული გზა ამისთვის არ გამოდგება. სოფლის უმეტესი გზები გაუმჯობესდება.

კითხვა 10:

გორის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი

- შიდა მოასფალტებულ გზებს გამოიყენებთ?

პასუხი 10:

ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

- არა, მოასფალტებულ გზებს არა. შესვლა გვექნება ორი ადგილიდან, ერთს გავჭირთ ახალ გზას, არსებული გზა არის, მაგრამ ავტობანზე არ გადადის და მეორე შესასვლელი იქნება ურბნისის ტერიტორიაზე, მთაგორიანი ადგილია, არსებული გზაა უბრალოდ მოსაწესრიგებელია. ასფალტიან გზას არ ვეხებით, გაბარიტული ტვირთისთვის არც გამოდგება. ეს მძიმე ტვირთი ავარიდეთ მოსახლეობას, გავდივართ დაუსახლებელ ადგილას, მინდორში. ძველ გზას მოვაწესრიგებთ, ახალი გზა იქნება უშუალოდ ტურბინასთან მისასვლელთან.

კითხვა 11:

ვარიანის და შინდისის დეპუტატი

- ბოლო კითხვა მაქვს. ეს სასოფლო-სამეურნეო განვითარების მიწებია. ვითარდება ბიზნესი, ზოგს სასათბურე მეურნეობის განვითარება უნდა, ზოგს სამაცივრე მეურნეობის, ზოგს გადამამუშავებელი მეურნეობა, ხომ არ შევზღუდავთ ბიზნესს?

პასუხი 11:

ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

- ინდისტრიულად ჩვენ ხელს არ შევუშლით. პირიქით, მიუხედავად იმისა რომ მოსახლეობისგან მიწა საბაზრო ღირებულებაზე მეტ ფასადაც შევიძინეთ, მოლაპარაკება გვაქვს, მშენებლობის შემდგომ მიწის უმეტესი ნაწილი არ დაგვჭირდება და უსასყიდლოდ დავუბრუნებთ მუდმივად. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით ამ მიწების გამოყენებაზე, კულტურის მოყვანა, ბაღის გაშენება, არანაირი შეზღუდვა არ გვაქვს. სამაცივრე, სასაწყობე მეურნეობაც შესაძლებელია. აქ საუბარია იქ ცხოვრებაზე, ხმაური შეუშლის ხელს. ტურბინიდან 10 და 20 მეტრში ვერ გააკეთებთ, ჩვენი დაცული ტერიტორიაა, 100 მეტრში გააკეთეთ. ევროპაში პორტშიც დგას ტურბინები და აეროპორტშიც ვნახე, ბევრს ჰგონია ავიაციის კუთხით არ შეიძლება. მოკლედ არანაირი შეზღუდვა არ გვაქვს.

კითხვა 12:

გორის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი

- რამდენ ხნიანია პროექტი?

პასუხი 12:

ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

- მშენებლობა დასრულდება სადღაც 1.5 - 2 წელიწადში.

კითხვა 13:

ვარიანის და შინდისის დეპუტატი

- როდის იწყება მშენებლობა?

პასუხი 13:

ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

- კარგი კითხვაა. მშენებლობას დავიწყებთ ორ ეტაპად. არის მთავარი ეტაპი, რომელიც გულისხმობს მთავარი ინფრასტრუქტურის გაკეთებას, ფუნდამენტს. ამას სჭირდება მშენებლობის ნებართვა და ფულადი სახსრები. ეხლა ვმუშაობთ ბანკთან და ასევე ვმუშაობთ ნებართვებზე. როგორც კი ორივე კომპონენტი იქნება, სავარაუდოდ ამ თვის ბოლოდან, რაც შეეხება მისასვლელი გზების გაკეთებას, ალბათ ზაფხულის ბოლოსკენ გაკეთდება.

კითხვა 14:

გორის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი

- დასაქმებაზე სად მოგმართოთ?

პასუხი 14:

ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

- ოფისში, ბროშურაზე მითითებულ საკონტაქტო ნომრებზე. მოგვწეროთ მეილზე, ვებ-გვერდზე.

კითხვა 15:

სოფელ შინდისის მკვიდრი

- ტექნიკას კერძო კომპანიისგან იქირავებთ? სოფელში ბევრს ჰყავს, მაგალითად მეც მყავს რამოდენიმე სახეობის ტექნიკა, თუ მაინც და მაინც კომპანიამ უნდა იმუშაოს?

პასუხი 15:

ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

- ძირითადი სამშენებლო სამუშაოები, გარდა ტურბინის აწყობისა, რისთვისაც ისეთი ტექნიკაა საჭირო, აქ ვერც ვიშოვნით, სპეციალურად ჩამოგვყავს „კრანი“ ასაშენებლად, დანარჩენი, რაც არის წმინდა სამშენებლო სამუშაო, ამას გავაკეთებთ ჩვენ, ანუ, ჩვენი კომპანია პროექტის კომპანიაა, ჩვენ გვყავს დედა კომპანია, რომელიც საქართველოში ყველაზე გამოცდილია ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობაში, ჰესები, გვირაბები, რეზერვუარები აგვიშენებია, ძალიან გამოცდილი კომპანიაა. ეს კომპანია იქნება ამ სამშენებლო სამუშაოების შემსრულებელი, აიყვანს ადგილობრივ მოსახლეობას და გამოიყენებს ადგილობრივ რესურსს, ამიტომ თუ ვინმეს ჰყავს ტექნიკა, წმინდა სამშენებლო ტექნიკა, თვითმცლელი, წყლის საზიდი მანქანა, ვისარგებლებთ. ჩვენთვის უკეთესია ადგილობრივი რესურსი გამოვიყენოთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია. რაც უფრო მალე მოგვაწვდით და ვინც უფრო მალე მოგვაწვდის, იმას გავითვალისწინებთ.

შეხვედრის ოქმი #019

<p>თარიღი: 02/07/2024</p>	<p>დრო: 12:00</p>	<p>ლოკაცია: ქალაქი თბილისი, ქორთიარდ მერიოტი, თავისუფლების მოედანი N4</p>
<p>შეხვედრის მიზანი: დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების ფარგლებში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისთვის მომზადებული პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების შედეგების გაცნობა</p>		
<p>დამსწრეები:</p>	<p>ბსგშ შედეგების წარმდგენი: მედგარ ჭელიძე (შპს „დაბლიუიჯი ენვი კონსალტინგი“) კონსულტანტი: მაკა ქიმერიძე (შპს „დაბლიუიჯი ენვი კონსალტინგი“) პროექტის ხელმძღვანელი: ზაზა ბაკურაძე სოციალური მენეჯერი: შორენა ჭოხონელიძე გარემოს დაცვის სპეციალისტი: მაია გიკოშვილი Alpage Caucasus კონსულტანტი: ნინო ახვლედიანი</p> <p>14 წარმომადგენელი არასამთავრობო სექტორიდან და/ან დამოუკიდებელი ექსპერტი (9 არასამთავრობო ორგანიზაცია: <i>CENN, საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNA Georgia), საზოგადოება ბიოიკი, ასოციაცია "ქალი და ბიზნესი", საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, "სახალხო დამცველი" NGO "Public Advocacy", ეკოვიჟენ (Ecovision), PMCG, ქარის ენერჯის ასოციაცია</i>)</p>	
<p>ოქმი მოამზადა:</p>	<p>სოციალური მენეჯერი: შორენა ჭოხონელიძე</p>	

შეხვედრის ფოტოები:

The image shows two screenshots. The top one is a browser window displaying a news article on the Wind Power website. The article is titled 'სს ვინდ ფაუერ' (SS Wind Power) and dated June 27, 2024. It discusses the Ruisi Wind Power Project and mentions a public consultation held on June 27, 2024, at 12:00 PM. The article provides contact information for the project, including a phone number (577770809) and an email address (social@windpower.ge). The bottom screenshot shows a Gmail interface with an email from Shorena Tchokhnelidze. The email is titled 'Ruisi Wind Power Project - Public Consultation' and dated Thursday, June 27, 5:30 PM. The email content is in Georgian and repeats the information from the website, including the date and time of the consultation and the contact details.



შეხვედრის მოკლე აღწერა: თბილისში არასამთავრობო ორგანიზაციებთან და დარგის სპეციალისტებთან საჯარო კონსულტაციის შესახებ ინფორმაცია განთავსდა პროექტის ვებ გვერდზე. ჯამში ყველა კონსულტაციის ჩათვლით პირადად მოწვეული იყო ოცი არასამთავრობო ორგანიზაცია (ელფოსტა, სატელეფონო ზარი). ქარელსა გორში მოსვლა მოახერხა მხოლოდ სამმა ორგანიზაციამ. შესაბამისად გადაწყდა თბილისში დამატებითი შეხვედრის ორგანიზება ცალკე

არასამთავრობო სექტორისთვის და ასევე დარგის ექსპერტებისთვის.

თავდაპირველად ბსგზშ შედეგების მოკლედ პრეზენტაცია წარადგინა კონსულტანტმა მედგარ ჭელიძემ (45 წთ). პრეზენტაციის შემდგომ დამსწრეთა აქტიურობა მაღალი იყო და დაისვა ბევრი შეკითხვა რაზეც პასუხები გასცეს როგორც კონსულტანტმა, ასევე პროექტის ხელმძღვანელმა ზაზა ბაკურაძემ. ზოგადად, აღსანიშნავია, რომ დამსწრე არასამთავრობო ორგანიზაციების და ექსპერტების განწყობა პროექტისადმი პოზიტიურია.



Signatures_02.07.202

შეხვედრაზე დამსწრეთა ხელმოწერები: 4_Tbilisi Public Consu

შეხვედრის კითხვა პასუხის ნაწილის დეტალური ტრანსკრიპტი:

დამატებითი კომენტარი პრეზენტაციის შემდგომ 1:

დაბლოუიჯი ენვი კონსალტინგის წარმომადგენელი

- როგორც წესი ზოოლოგიას უფრო მეტ ყურადღებას აქცევს ყველა და ბატონმა მედგარმაც მცენარეულობა ჰაბიტატების ჯგუფი იყო საკმაოდ სერიოზული, მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო აგრო ლანდშაფტი ჩვენ მოგვეთხოვებოდა EBRD-ის სამოქმედო მოთხოვნა 6 -ს მიხედვით კვლევა. მოგეხსენებათ დათო ჭელიძე ხელმძღვანელობდა ამ ჯგუფს, საკმაოდ დეტალურად მოიარა ყველა მონაკვეთი და ჩვენ მოვახდინეთ UNIC ჰაბიტატების კლასიფიკაციის მიხედვით მისი კლასიფიკაცია და აღმოვაჩინეთ ის რაც აღმოვაჩინეთ, სეზონური კვლევა ჩავატარეთ, რაც ზოგადად იშვიათია ხოლმე ასეთი ტიპის პროექტებზე ბოტანიკაში იმიტომ, რომ რატომღაც მცენარეულობა უფრო მეორე პლანზე გადადის ხოლმე ყველა მცენარეულობის შესწავლა და ჰაბიტატების საინვესტიციო პროექტებში და ზოგადად მიმაჩნია, რომ არასწორია და ჩვენი ჯგუფი ფიქრობს, რომ ეს ასე არ უნდა იყოს და ძალიან დიდი სტრესი იყო როგორც ჰაბიტატების კვლევაზე, ასევე ფლორის კვლევაზე. შევაფასეთ ასევე ბიომრავალფეროვნების თვისებების და კრიტიკული ჰაბიტატების მიხედვით გავაკეთეთ მისი შეფასება, რაც ქართული კანონმდებლობით არ მოგვეთხოვება, ეს იყო იბიარდის და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სამოქმედო მოთხოვნა და ვერ აღმოვაჩინეთ, რომ იქ რაიმე ნეგატიური შემოქმედება შეიძლება ყოფილიყო ამ მცენარეულ საფარზე. ზოგადად იმიტომ, რომ ეს ტერიტორია არის აგრო ლანდშაფტის, მაინც ვიპოვეთ კავკასიის ენდემები, რომლის შეფასებაც მოხდა სამოქმედო მოთხოვნა 6-ის მიხედვით. ალექსანდრე აბულაძე ხელმძღვანელობდა 2 მითოლოგიურ ჯგუფს, მაგრამ მას ჰყავდა კიდევ 4 თანამშრომელი, რომელიც მასთან ერთად იკვლევდა იმიტომ, რომ საკმაოდ დიდი ტერიტორია იყო და ასევე ჩვენ მოგვეთხოვებოდა ეკო სისტემის შემოწმება და პირადად მე გავაკეთე ეს ნაწილი IFC-ის სტანდარტების მიხედვით და მე კმაყოფილი ვარ ჩვენი საკონსულტაციო

კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოებით და როგორც კომპანიის, ისე EBRD-ის საიტზე ეს ყველაფერი განთავსებულია როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე და შეგიძლიათ თვალი გადაავლოთ, თუ რამე კონკრეტული გეგმებით ავსახოთ, მზად ვართ განვიხილოთ მუშა რეჟიმში. 10 ივლისამდე არის ამის დრო, 10 მაისს განთავსდა და მოგიწოდებთ ყველას დაინტერესების შემთხვევაში ნახოთ.

კითხვა 1:

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი

- გადავხედე ამ თქვენს განთავსებულ ბსგზშ დოკუმენტაციას და ერთი კითხვა მქონდა. კომპენსაციის პაკეტი გაქვთ ნახსენები, ჩრდილების ციციციმთან ზემოქმედებასთან მიმართებაში და ეს მაინტერესებს ეს პაკეტი ჩვენი კანონმდებლობის მოთხოვნაა, EBRD-ის მოთხოვნაა თუ ყველაფერი გადაწყვიტა კომპანიამ რომ ეს კომპენსაცია განხორციელდეს და როგორ მოხდება კომპენსაცია?

პასუხი 1:

მედგარ ჭელიძე, დაბლიოიჯი ენვი კონსალტინგის წარმომადგენელი, პრეზენტატორი

- ეს საინტერესო კითხვაა იმიტომ, რომ კომპენსაციის ვარიანტი, როგორც შესაძლებლობა დასახელებული იყო იმ ადრეულ ვერსიაში, რომელიც გამოქვეყნებულია და ვთქვით, რომ ეს საკითხი დამუშავების პროცესში არის. ჩვენ არც დღეს ვთვლით და არც მაშინ, რომ აუცილებელია მხოლოდ და მხოლოდ შეჩერებაზე ფოკუსირება, ვინაიდან ეს მხოლოდ IFC-ის მოთხოვნაა ზოგი ქვეყნის და არ არის მიღებული პრაქტიკა მთლიანად ევროპაში და საყოველთაოდ აღიარებული მიდგომა, მაგრამ იმის გამო, რომ ამ ბანკმა გვთხოვა მაქსიმალურად მკაცრი პირობები გაგვეთვალისწინებინა, ჩვენ მიდგომა დროებით შევცვალეთ და აქცენტი გვაქვს გაკეთებული იმაზე, რაც დღეს მოგახსენეთ და არა რაც იქ არის გამოყენებული. აქ მაინც შეჩერებაზე იქნება და ნორმების ფარგლებში დაბრუნებაზე და ეს შესაძლებელია, ამიტომ კომპენსაციის საჭიროება არ იქნება აუცილებელი, თუმცა ცხადია მონიტორინგი განხორციელდება შემდგომი ოპერირების ეტაპზე და თუ რაღაც ისეთი საკითხები იქნა წამოჭრილი, კომპანია ღიაა დისკუსიისთვის და ამჟამად რამე კომპენსაციის საკითხი არ განიხილება, ხომ სწორი ვარ?

პასუხი 1:

ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

- ძალიან კარგი კითხვაა, მაღლობა კითხვისთვის. როგორც ბატონმა მედგარმა აღნიშნა კომპენსაცია არის ერთ-ერთი აპრობირებული მეთოდი, როდესაც ზემოქმედება არის დიდი და ფაქტობრივად ტურბინების გაჩერებით ისეთი ზეგავლენა აქვს ეკონომიკურად და გენერაციის კუთხით პროექტს, რომ პროექტის განხორციელებას საფრთხე ექმნება, მაგ

შემთხვევაში არის ხოლმე მეორე პრიორიტეტი, როცა კომპენსაციის გადახდა ხდება. ამ შემთხვევაში ჩვენ ჩავატარეთ კვლევა, გამოიკვეთა რეცეპტორები, ის ტურბინები, რომლებიც საჭიროებს გარკვეული დროით გაჩერებას. დაყენდება სპეციალური სისტემა, რომელიც დეტექციას უკეთებს იმ მომენტში, როცა აჭარბებს სიმძიმე იმ დაშვებულ ზღვარს მაგ შემთხვევაში ავტომატურად ხდება ტურბინების გაჩერება და ამ ჭკვიანი, მაკონტროლებელი სისტემის გათვალისწინებით ჩვენ შეგვიძლია ვაკონტროლოთ სიმძიმის ზემოქმედება. ეს გარკვეულწილად გამოიწვევს გენერაციის დაკარგვას, ეს არის ზარალი, თუმცა როგორც ბატონმა ედგარმა აღნიშნა ეს არ არის ისეთი ზარალი, რომ პროექტის განხორციელება დააყენოს რისკის ქვეშ, ამიტომ ჩვენი პრიორიტეტია სადამდეც პროექტი ამას აიტანს გავაკეთოთ ტურბინების გაჩერება და ამის მერე განვიხილოთ კომპენსაცია. ამ ე ტაპზე რა კვლევაც ჩავატარეთ კომპენსაციის გადახდის საჭიროება არ დგას.

კითხვა 2:

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი

- ერთი კითხვა მეც გამიჩნდა, დიდი მადლობა ყველას, საინტერესო პრეზენტაცია იყო. რა თქმა უნდა ქარის ენერჯია ერთ-ერთ უსაფრთხო ენერჯიად ითვლება, რა თქმა უნდა გათვალისწინების ფარგლებში გადამფრენი მფრინველების მოცულობით და შეფასებით ასევე ხმაურით, რაც მე პროექტში დავინახე. უბრალოდ ამ დოკუმენტში თქვენ ბატონო ედგარ ახსენეთ, რომ 40 მეტრის რადიუსში მაგნიტური ----- საერთოდ გავლენის ქვეშ არ არის. მე მაინტერესებს თვითონ არეალი, უსაფრთხოების სტანდარტებით რომ ვისაუბროთ, რა მასშტაბიდან ვრცელდება თითოეული მონაკვეთიდან იმიტომ, რომ მაღალი გადაცემის ხაზები სადაც მიდის, მე რამდენადაც ვიცი არის 15, 25, 35 მეტრი დაცილებები დასახლების ნებართვის გაცემის. თუ არის დასახლება დაუშვებელია ამ ზონებში მშენებლობა და ასევე ასეთი ტიპის ანძებს თავისი უსაფრთხოების არეალი უნდა ჰქონდეს, მეორე საკითხი, რომელიც ითვალისწინებს უშუალოდ კონკრეტულ მონაკვეთში რამდენადაც იქნება ან კი მესმის, რომ საკუთრებაში იქნება ის სივრცე, მაგრამ ბუფერი რამდენად იქნება შენარჩუნებული ადგილობრივი თუ ტურისტის უსაფრთხოებისთვის.

პასუხი 2:

მედგარ ჭელიძე, პრეზენტატორი

- საინტერესო და მრავალმხრივი შეკითხვაა ესეც, ის, რაც მე არ მითქვამს ანძების ქვეშ ტერიტორია ცხადია ათვისებული იქნება კომპანიის მიერ რასაც ინფრასტრუქტურა იკავებს და რაც მშენებლობისთვის იქნება საჭირო, ეს საკმაოდ მუდმივი არეალია, მაგრამ ის ნაწილი, რომელიც მშენებლებისთვის არის მხოლოდ გათვალისწინებული და მუდმივად არ იქნება, შესაძლოა გამოყენებული იქნას სოფლის მეურნეობისთვის და ფაქტობრივად სიმბოლურ ფასად იქნება დაბრუნებული მესაკუთრისთვის და მიეცემა

საშუალება დააბრუნოს 1 წლიანი კულტურები იქნება თუ დაშვებული, შეზღუდვები ძირითადად არ არის მაღალ, მოშორებით არის. ამაზე მერე ბატონი ზაზაც მოგახსენებთ და მე რეგლამენტზე ვიტყვი, რომ რამე სპეციალური რეგლამენტი, როგორც სანიტარული ზონები, შემზღუდავი რაც არის დაცვის ზონები ელექტრო გადამცემი ხაზისათვის, ასეთი ქარის ელექტრო სადგურის შემთხვევაში ასეთი არ არსებობს, მაგრამ რეალური ფიზიკური ზემოქმედების ხმაურის მეშვეობით ითვლება ---- და მაგნიტური მიზერულია და თქვენ სახლში უფრო მეტი ზემოქმედება გაქვთ კომპიუტერებისგან, სპეციალური ასეთი ფაქტორი არ შემოდის. რაც შეეხება დასახლებებს 500 მეტრზე მეტი როგორც წესი უახლოესი დამატებული სახლების განლაგება და აქ ძირითადი ზემოქმედების ფაქტორი ისევ ხმაური იქნება და ციმციმი და არა ელექტრომაგნიტური და რაც შეეხება საქმიანობას დასაშვები იქნება პირდაპირ ქარის სადგურის ქვეშ და სურათებზეც ნახეთ, მათ შორის სახლებიც არის განლაგებული იმ სურათებზე, ძალიან სიახლოვეში დასაშვები არის სამუშაო ესეთი ობიექტების და ადამიანის იქ ყოფნა.

პასუხი 2:

ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

- დავამატებ, კარგი კითხვაა, მაღლობა. ჩვენ როცა ვგეგმავდით ამ პროექტს, სხვადასხვა უწყებებიდან გამოვითხოვეთ ინფორმაცია. ქარის ტურბინას არ აქვს დაცვის ზონა, მაგრამ არის საერთაშორისო რეგლამენტები, რომლებიც ადგენს როგორ უნდა დაიჭირო დისტანცია გადამცემი ხაზიდან, როგორ უნდა დაიჭირო დისტანცია ავტობანიდან, რკინიგზიდან, მილსადენიდან. ჩვენ ეგ შესწავლა გავაკეთეთ და იმ სტანდარტებით დავაშორეთ ყველა ინფრასტრუქტურას ტურბინა. შესაბამისად ჩვენი პროექტის განხორციელება არ შეუშლის ხელს იმ არსებულ ინფრასტრუქტურას და როგორც ახსენა, არანაირი შეზღუდვა არ არის იმ საქმიანობის განხორციელების, რასაც იქ ხალხი აკეთებს, სოფლის მეურნეობა და ა. შ. იმ ტერიტორიაზე. ასე, რომ ესეთ შეზღუდვას ეს პროექტი დამატებით არ გამოიწვევს.

კითხვა 3:

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი

- ცოტა ბანალური შეკითხვა მაქვს, ხომ არ აღმოგიჩენიათ ამ ტერიტორიაზე სტიქიური ნაგავსაყრელები იმიტომ, რომ ეს რეალური საფრთხე იქნება საბოლოო ჯამში ---- იმიტომ, რომ მოზიდვას აკეთებს ფრინველების სტიქიურად და იქნება თუ არა რამე რეგულაციები ადგილობრივი თვითმართველობებისთვის, რომ იქ არ უნდა მოხდეს ასეთი რამ?

პასუხი 3:

ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

- კარგი საკითხია, ჩვენ ამასთან შეხება არ გვქონია მარტივი მიზეზით, რომ ტერიტორია არის ძალიან კარგად მოვლილი, ძალიან კარგად ათვისებული სასოფლო - სამეურნეო მიწებია, მოვლილი სოფლები თვალს რომ გაუხარდება ისეთი, ამიტომ იქ რამე სტიქიური ნაგავსაყრელი, უპატრონო და ფრინველების მოზიდვის საფრთხეს ჩვენ ვერ ვხედავთ, მაგრამ გაფრთხილების და მონიტორინგის თვალსაზრისით და ამ საკითხს მივაქცევთ ყურადღებას და სამოქმედო გეგმაში მაინც ჩავდებთ. დღეს მაგის რისკები არ ჩანს, მაგრამ სამომავლოდ ყოველ შემთხვევაში გავითვალისწინებთ.
- მე უბრალოდ რაც მოგვივიდა წყალსადენზე აქედან გამომდინარე ვამბობ რომ აბსოლუტურად შესაძლებელია. (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)
- ჩვენ ვხედავთ ბათუმის ნაგავსაყრელზე რა ხდება. (პრეზენტატორი)

კითხვა 4:

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი

- კიდევ ერთი შეკითხვა მაქვს საერთოდ ეს რეგიონი ძალიან ახლოს არის კონფლიქტის ზონასთან და გაქვთ თუ არა გათვალისწინებული ეს ნორმები?

პასუხი 4:

ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

- კი, პროექტში არის თავი, რომელიც ამ საკითხს შეეხება, სინამდვილეში ობიექტები საკმაოდ მოშორებით არის იმ ზონიდან, რომელიც სასაზღვროდ შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა ჩვენი მეზობლიდან გამომდინარე ვერაფერს ვერ გამოირიცხავ, მაგრამ აქ ნებისმიერი სხვა ობიექტის რისკის შესაბამისი, აქ არ არის რამე მომეტებული რისკი ამ პროექტთან დაკავშირებით.

კითხვა 5:

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი

- მე გადავხედე და ეს არ იქნება პრობლემატური თემა, რომ ამ ტერიტორიაზე აკრძალული უნდა იყოს დრონების გამოყენება და ა. შ. იმიტომ, რომ მაინც გარკვეულ საფრთხეს შეადგენს და კანონმდებლობით ჩვენ არ გვაქვს ეს არაფერი გათვალისწინებული და ხომ არ ვიფიქროთ იმაზე, რომ რაღაც რეგულაციები უნდა იყოს შემოტანილი?

-

პასუხი 5:

მედგარ ჭელიძე, პრეზენტატორი

- გადასარევი მოსაზრებაა, რომელიც თავში არ მოგვსვლია მიუხედავად დრონების გამწარებული გამოყენებისა სამხედრო თვალსაზრისით. საერთოდ არ გვინახავს მსგავსი, მაგრამ თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით საკითხი მართლა შეიძლება

მოვნიშნოთ და სოციალური კომუნიკაცია როცა გეგნებით ზაზა და მანია გავითვალისწინოთ და მოსახლეობამდე მივიტანოთ, განსაკუთრებით ახალგაზრდებამდე.

- შეიძლება უცებ ვიღაცამ გამოიყენოს. (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)
- კი. (პრეზენტატორი)
- სოფლის მეურნეობაშიც იყენებენ უკვე. (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)
- კი. (პრეზენტატორი)
- შესაწამლადაც დაიწყეს. (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)
- თუმცა სოფლის მეურნეობის მიზნისთვის დაბლა დაფრინავს. გადასაღებად მაღლა დაფრინავს. როცა ტურბინა ტრიალებს შეიძლება შეიწოვოს უცებ. (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)
- მანდ მე არ მიხსენებია ჩვენ EBRD-ის წარმომადგენლები ხშირად გვახსენებენ ხოლმე და დრონი დრონად, მაგრამ თვითონ ეს პესტიციდების გამოყენება და შეწამლის იმ ტერიტორიაზე ესეც დარეგულირებული უნდა იყოს, მენეჯმენტის გეგმაში ესე გვიწერია, მე არ მიხსენებია აქ. ანუ იმ დარჩენილ ტერიტორიაზე, სადაც ხდება სოფლის მეურნეობის საქმიანობა გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ მშენებლობის დროს და ოპერირებისას რამე ზეგავლენა არ იქნას პერსონალზე. (პრეზენტატორი)

კითხვა 6:

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი

- უპირველესად ძალიან დიდი მადლობა, ძალიან საინტერესო პრეზენტაცია იყო, 3 კითხვა მაქვს, შეიძლება ტექნიკურია უფრო, ვიდრე გარემოსთან დაკავშირებული, მაგრამ მაინც, გენერაცია რა არის პირველ რიგში მაინტერესებს რომ ვიცოდეთ. მეორე ანძების სიმაღლეები შემცირდა ახალ მოდელში და დიამეტრი გაიზარდა. დიამეტრის ზრდა გასაგებია იმიტომ, რომ დოპინგების რაოდენობა შემცირდა, მაგრამ სიმაღლეების შემცირება რამ გამოიწვია და ყველაფერი ხო არის გათვალისწინებული. დარწმუნებული ვარ იქნება, მაგრამ ფაქტური მანძილი მოსახლეობამდე რა არის დღეს? მე პირადად ვთვლი, რომ ენერგეტიკა არის ის დარგი, რომელსაც შეუძლია ქვეყანა წინ წაიყვანოს. ამ წუთას სხვა რესურს მე პირადად არ ვხედავ. ამიტომ მინდა ყველაფერი ისე გაკეთდეს, რომ მერე მოსახლეობას არ ჰქონდეს რაღაც კითხვები, პრეტენზიები და არ გაჩერდეს როგორც დღეს ბევრი სადგური არის გაჩერებული, ამიტომ მინდა ყველაფერი იყოს გათვალისწინებული, სურვილი მაქვს ესეთი და მეოთხე გაითვალისწინებდით სამოვრებს. იბიარდი ძალიან აქცევს ამას ყურადღებას იმიტომ, რომ ჩვენ რო გვქონდა სხვადასხვა გეზეშეები იბიარდი უფრო სოციალური კუთხით აქცევს ამას ყურადღებას, ალბათ იბიარდისთვის აკეთებთ ამ სოციალურ კვლევას.

პასუხი 6:

ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

- დიდი მადლობა კითხვებისთვის, მგონი ყველა კითხვა ჩავიწერე, რაც შეეხება დიამეტრს, მართალი ხართ გაიზარდა იქედან გამომდინარე, რომ ტურბინის სიმძლავრე გაიზარდა, რადგან შევამცირეთ ტურბინების რაოდენობა. გაიზარდა ტურბინის სიმძლავრე და მთავარი ტურბინა მოითხოვს დიდ ფრთას. რაც შეეხება სიმაღლეს, ჩვენ სიმაღლე წინასწარ კვლევის დროს გარემოს შეფასების დროს ჩავდეთ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მაქსიმალურად დაგვემძიმებინა ზემოქმედება დაშორება ინფრასტრუქტურიდან თუ ჩიტების კუთხით რაიმე კვლევაში გათვალისწინება და ა. შ. თეორიულად მაგ სიმაღლეზე გაკეთებულა ტურბინი 145 გვექონდა პროექტში, თუმცა ჩვენ რომ ჩავატარეთ მერე საბოლოო ტენდერი და დავპატიჟეთ კომპანიები, ძალიან ბევრმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა და აქტივობაც ძალიან დიდი იყო და უკვე საბოლოო ჯამში ჩვენ დავედით იმ შემოთავაზებაზე, რასაც ჩვენ სხვადასხვა შემომთავაზებლები აკეთებენ შემოთავაზებას ჩვენი რელიეფის, ჩვენი ქარის ინფორმაციის, ჩვენი რეგიონის გათვალისწინებით სხვადასხვა კომპანიას სხვადასხვა სტრატეგია აქვს რა ტურბინებს სთავაზობს ამ რელიეფს, შესაბამისად ჩვენ ამოვედით იმ შემოთავაზებებიდან რა შემოთავაზებებიც გააკეთეს მწარმოებლებმა. ასევე ტექნიკურად უფრო მაღალი ტურბინი შეიძლება გაუკეთებიათ, უბრალოდ მანდ არის მერე ლოჯისტიკური კითხვები, რომ ის დიდი ზომის ნაწილები რამდენად ტრანსპორტირებადია ანუ არის რაღაც გარკვეული საკითხები, რომლებიც შესწავლას საჭიროებს თუ მაღალს აკეთებ იმიტომ, რომ როცა სიმაღლეს ზრდი, მარტო არ არის ერთი კომპონენტი დაადო, რეალურად იზრდება რაზეც დგას ის ტურბინა, ამიტომ ჩვენ შევარჩიეთ ის სიმაღლე, რომელიც არის ოპტიმალური, ჩვენი არსებული ქარის სისტემის გათვალისწინებით, უფრო მაღლა ასვლა არ გავძლევს იმდენ ენერჯიას დამატებით, რამაც შეიძლება დააკომპენსიროს იგივე დამატებით ხარჯები და დამატებით რისკები, რაც შეიძლება ამას ახლავდეს. აქედან გამოვედით რაც შეეხება სიმაღლეს. რაც შეეხება სამოვრებს სჯობს თქვენ გასცეთ პასუხი. დაშორებას რაც შეეხება უმეტესი ტურბინა თუ გინდათ დავაბრუნოთ და ის გავიაროთ. გენერაციას რაც შეეხება ჩვენ 41, 42 % -ზე ვართ ჩვენ პროექტში სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტს თუ გულისხმობთ, მხოლოდ ამ შუალედში ვართ, საკმაოდ კარგ იმად ითვლება ქარის ენერჯისთვის ეს რეგიონი ზოგადად, ქარის კუთხით ძალიან მიმზიდველია. რაც შეეხება დაშორებას, უმეტესი ტურბინა თქვენ აქ ნახავთ, რომ არის კილომეტრებით დაშორებული, ვიდრე არის დასახლებული პუნქტი, არის მხოლოდ რამდენიმე ტურბინა, ჩვენ ჩავატარეთ კვლევები, ძირითადად ამას განაპირობებს ხმაურის მოდელირება, რომელიც ადგენს ამ მინიმალურ დაშორებას. არის მხოლოდ 1 ტურბინა, რომელიც არის

დაახლოებით 500 მეტრით დაშორებული საცხოვრებელი სახლიდან. საცხოვრებელ სახლთან არის ეკლესია, ეგეც ითვლება რეცეპტორად ხმაურის გავრცელების კუთხით და ის არის ყველაზე ახლომდებარე ადგილი. დანარჩენი კიდეც ზევით არის რამდენიმე ტურბინა საკამეთთან, ერთი არის სასირეთთან, სულ არის 4, 5 ტურბინა, რომელიც ყველა ახლოს არის დასახლებულთან და ამის მინიმალური დაშორებაა 540-550 მეტრი. უმეტესი არის კილომეტრებით დაშორება.

- მოსახლეობასთანაც ალბათ გქონდათ ხომ შეხვედრა? *(არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*
- ჩვენ მოსახლეობასთან გვქონდა დაწყებული შეხვედრები ჯერ კიდევ 2022 წელს სკოლუპინგის ეტაპი რომ გავიარეთ იქედან მოყოლებული, ჩვენ ყველა სოფელს შეხვდით რამდენჯერმე, ცალკე შორენამ კარდაკარ იარა და დამატებით გამოკითხვები ჩავატარეთ, პლუს ქარელში გვქონდა ახლა შეხვედრა ქალაქში, გორში გვქონდა შეხვედრა ქალაქში, აბსოლუტურად არანაირი უარყოფითი დამოკიდებულება ჩვენ არ გვინახავს და არ მოგვისმენია. *(ზაზა ბაკურაძე)*
- ძალიან იშვიათია. *(არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*
- რამაც ჩვენს მოლოდინებს ცოტა გადააჭარბა იმიტომ, რომ მაინც ჰესების განვითარებით ვართ, რომ ის იქნება, ანუ ძალიან კარგად აქვთ აღქმული. ჩვენც შევეცადეთ მაგათ ენაზე გადმოგვეცა, მაგრამ თავიდანვე ავირჩიე ძალიან კარგი კომუნიკაცია მოსახლეობას და ალბათ მაგის დამსახურებაც არის, ზოგადად ქარის ენერჯის კუთხით არ არის უარყოფითი დამოკიდებულება მოსახლეობაში ასე, რომ ამ ეტაპზე ყოველ შემთხვევაში პრობლემას ვერ ვხედავთ. *(ზაზა ბაკურაძე)*
- საძოვრებს რაც შეეხება სოფლის მეურნეობაზე კერძო მიწებზე ზემოქმედებას და მათ შორის მცირე მიწებზე ზემოქმედებას რაც შეეხება ამასთან დაკავშირებით ცალკე დოკუმენტი მომზადდება EBRD-ისთვის, რომელიც ასახავს გამოსყიდულ მიწებსაც და იმ მთლიან პროცესს როგორ ხორციელდება ყველაფერი ეს და მისი ნაწილი იქნება ლაივ რესტორიში ფჰან რასაც ვეძახით, რომელიც მოიცავს საძოვრების ნაწილსაც, ეს აზრი რამდენად მნიშვნელოვანია საძოვარი, წინასწარ რომ ვიცოდეთ კვლევები და გამოკითხვები ჩვენს მიწაზე განხორციელდა და დაწყებული გვქონდა ვინ ამოვებდა იქ, რომელი სოფლებიდან, რა მოცულობის მოძოვებაა ეს უკვე ცნობილია, შესაბამისად მათთან მოლაპარაკება იქნება და შეფასებული იქნება თუ მათ ეკონომიკურ სტრუქტურაში, მათ მესაქონლეობის სისტემაში რა წვლილი შეაქვთ ამ საძოვრებს, რა ტიპის კომპენსაცია იქნება მათთვის მისაღები და შესაბამისად ეს იქნება აუცილებლად ანაზღაურებადი. ეს პროცესი შეიძლება გელემშემიც არ იყოს ასე დეტალურად აღწერილი, იქნება მეთოდოლოგია და მიდგომები, მაგრამ პროცესი მიმდინარეობს და მშენებლობის დაწყებამდე ეს საკითხები მოგვარებული იქნება. *(ზაზა ბაკურაძე)*

კითხვა 7:

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი

- მოგესალმებით, რამდენიმე კითხვა მაქვს, დიდი მადლობა ბატონო მედგარ პრეზენტაციისთვის. პირველი შუქ-ჩრდილებს რაც შეეხება, რადგან არ გვაქვს ეროვნული კანონმდებლობა ამასთან დაკავშირებით და უკიდურესი მიდგომა კომპენსაციის და თუნდაც გაჩერების კუთხით. ბოლო პერიოდში სხვა კუთხით ვაკვირდები სხვა ქვეყნების პრაქტიკას, მაგალითად რამდენიმე დღის წინ გერმანიაში მქონდა ვიზიტები, ქარის სადგურები, რომლებიც განთავსებული არიან იუნესკოს დაცულ ტერიტორიაზე, კონკრეტულად ---- და მოზელის ხეობაში, მდიდარია მრავალფეროვნებით, ისტორიით, კულტურული მემკვიდრეობით და ასევე გემოვნებით მნიშვნელოვანი ვენახებითაც და იქ ანძები არის არა 100 მეტრიანი, არამედ რად გან დაბალი სიჩქარის არის ხშირ შემთხვევაში 160 მეტრიანიც არის და „ვიზუალური დაბინძურება“ არის არა 500 მეტრი დაშორებული სახლებისთვის, არამედ 60, 70 კმ. და კიდევ უფრო მეტის, თუ ჰორიზონტი აღქმის საშუალებას იძლევა, თუმცა იქ რომ კომპენსაციის სახე იყოს გავრცელებული, მაშინ 2, 3 შტატი უნდა იყოს და იქ ეს მიდგომა არ არის. მაინტერესებს რატომ ვიყენებთ ჩვენ ამ მიდგომას საერთოდ, ეს ერთი. მეორე ახსენეთ აქ ტყე არისო, მაგრამ ხელოვნური და შემფოთება შეიძლება, უი, ტყეში არ გამოვიდეს მშენებლობაო და რომ გამოვიდეს რა? გერმანიის, იგივე სხვა ქვეყნების მაგალითზეც, იქ ხომ ხელუხლებელ ტყეებში არის აშენებული და შეიძლება ადამიანი არ იყოს იქ ნამყოფი სხვა მიზეზით და ბოლო კითხვა, რაც სხვა ქვეყნებს განასხვავებს ჩვენთან მიმართებით ერთადერთი სადგური რაც გვაქვს, იქ მწვანე საფარის აღდგენა ჯერ-ჯერობით არ გაკეთებულა ტურბინის გარშემო, ამასთან დაკავშირებით თუ არსებობს რაიმე რეგულაცია და თქვენ როგორ აპირებთ? ჩვენ მიწის მესაკუთრეობა ნა ყიდი გვაქვს და ყველასთან გვაქვს ჩაწერილი, რომ კი ვყიდულობთ, მაგრამ სამომავლოდ არც მის შემოღებას განვიხილავთ და არც მის სარგებლობის შეზღუდვას რაიმე ფორმით, სახნავად თუ დარჩება ან სამოვრად, გერმანიაში რაც მინახავს ტურბინები აღდგენილია მწვანე საფარით, ტურბინის პირამდე მოედანი აღარ არის ხილული და ამ საკითხს როგორ აპირებთ?

პასუხი 7:

ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

- რამდენიმე საკითხს შევხებით. დავიწყოთ ციმციმით, ვეთანხმებით თქვენს მიდგომას და ჩვენი ცნობითაც ასე არის, მოგვთხოვეს ძალიან მკაცრი მიდგომა და ეს იმათი შეხედულებაა, ვინც მოითხოვა. (ზაზა ბაკურაძე)
- დავაკონკრეტებ, ეს არის 20 და 30 წლის აშენებული ტურბინები და საუბარია 2, 3 წელში შესულ ტურბინაზე. (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

- სხვადასხვა რეგულაციაა გამოყენებული, გერმანიაში მკაცრია, მაგრამ იმპლემენტაციის თვალსაზრისით ყველა ეს ნორმა არ არის, გერმანიაში ზუსტად ეს მოთხოვნებია, რაც IFC-ის აქვს, სხვა ინგლისში, ბრიტანეთში, გერმანიაში არ არის. სხვა ქვეყნებს გაცილებით მკაცრი აქვთ, ამიტომ აქ ბანკმა არ ჩათვალა, რომ ზედმეტი რისკის აღება არ უნდა და ძალიან მკაცრი პირობები ჩადო, რაც ჩვენ არ მიგვაჩნია რელევანტურად, მაგრამ ჩვენ ვერ შევცვლით ბანკის მოთხოვნებს. რაც შეეხება აღდგენას, აღდგენა ჩვენი კანონმდებლობითაც, ის ტერიტორია რაც გამოყენებული არ იქნება წესით რეკულტივაციას საჭიროებს, მაგრამ ჩვენ ვახსენეთ ველურ ბუნებაში არ ვართ, სულ მიწებია და ვინაიდან დაბრუნებული იქნება ძველი მფლობელებისთვის ისინი იგივე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას გააგრძელებენ იმ მიწაზე რასაც ეწოდნენ, დანარჩენი ცხადია დაფარული იქნება. თუ დარჩა ისეთი ტერიტორია საფუძველს არ იკავებს და ამავე დროს მფლობელობაშია, კომპანიას იქ რეკულტივაცია გასაკეთებელი ექნება. ბოლო კითხვა იყო ... (პრეზენტატორი)
- ტყის მფლობელობასთან დაკავშირებით. (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)
- ცხადია არავითარი პრობლემა არ არის, თუ შესაბამისი შეფასება არის გაკეთებული, კომპენსაცია არის გადახდილი და რაღაც განსაკუთრებული ზემოქმედება თუ არის. შეიძლება 1 ტურბინა არ ყოფილიყო და 30 ყოფილიყო და შეიძლებოდა ღამურებზე ზემოქმედება ყოფილიყო იმიტომ, რომ ტყისგან 200 მეტრის მოშორებით არის საჭირო ტურბინების, იქ სადაც ღამურები გავრცელებულია და საერთაშორისო რეგულაციებით. ჩვენს შემთხვევაში ასეთი ტიპის შეზღუდვები ჯერ ერთი არ გვაქვს, მერე საკომპენსაციო გაღებული იქნება ყოველ მოჭრილ ხეზე, 3 ხე დაირგება და გარდა ამისა და ეს ხელოვნური ფორუმი არის საკმაოდ დაზიანებული გავრცელებული დაავადებების გამო, ამიტომ აქ და სამინისტროსთან ერთად რეკომენდაციებს ვიძლევი, რომ გარკვეული ფიტო - სანიტარული ღონისძიებებიც განხორციელდეს, ფერომების ჩამოკიდება და შეწამლა, შესაბამისი სპეციალური მეთოდები, რაც დაეხმარება მთლიანად კორუმის რეგენერაციაში. (პრეზენტატორი)
- ძალიან დიდი მადლობა კითხვებისთვის და მე აბსოლუტურად ვიზიარებ შენს აზრს. პრობლემა რაშია მე რომ ვუყურებ, პრობლემაა იმაში, რომ საქართველოში ამის გამოცდილება არ არის. მე დარწმუნებული ვარ ევროპაში ქარის სადგურები უფრო შენდება და უფრო ნაკლები მოთხოვნაა, ვიდრე ჩვენ აქ რასაც გავდივართ. თუმცა გვიწევს გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილება რადგან ამის პრაქტიკა არ არსებობს, იმ სტანდარტს, რომელსაც იყენებს იგივე ბანკი. მოცულობაა ეგეთი, თუმცა კიდევ ვამბობ, მეც ბევრი მინახავს ქარის სადგურები აეროპორტში გაკეთებული და აქ აეროპორტთან

ახლოს ქარის სადგური რომ გადაწყვიტო ალბათ გეტყვიან რას აკეთებო და იქ აეროპორტებში არის და პორტებშია საერთოდ და სად არ აკეთებენ. (ზაზა ბაკურაძე)

- სანაპირო ზოლი ცალკე თემაა. (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)
- ამიტომ სწორი აზრია და მეც მაწუხებს ეს საკითხი რომ ეს პროექტი გადის ძალიან მკაცრ მოთხოვნებს და გვიწევს რაღაცეების დაკმაყოფილება, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს. ალბათ გარკვეული რაოდენობის პროექტები რო გაკეთდება ბევრი ქარის პროექტი, რაღაც სტანდარტი შეიქმნება და მერე ბევრი დაინახავს, რომ ამ პროექტებს ცუდი არაფერი არ მოაქვს და ალბათ მერე შერბილდება დამოკიდებულება. აქ სამინისტროც არის, უყურებს აბა ბანკი იქ რას ამბობს. (ზაზა ბაკურაძე)
- ბანკის მოთხოვნები საერთოდ არ აინტერესებს სამინისტროს იმიტომ, რომ სამინისტროს აქვს თავისი მძიმე მოთხოვნები. მაგალითად სამინისტროს კრიტიკალ ჰაბიტატ ესესმენტს და ფრთხილით ბაიდევერს ესესმენტს საერთოდ არ გთხოვს და რო უწერ გეუბნება ეს გეუბნება რად გინდა, მე ჩემი კანონმდებლობა მაქვს, ჩემი დირექტივები მაქვს. ერთადერთი რასაც ითხოვ თქვენ კარგად გახსოვთ ზემოქმედების შეფასება ზეზეშე. დანარჩენი ჩვენ რასაც გავდივართ ამ მკაცრ იმას სამინისტროსთვის, დღევანდელი სკოპინგის ანგარიში რაზეც გაიცა ძალიან მარტივად გაიცა და მიიჩნევა ქარის პროექტებში ერთ-ერთ საუკეთესო პროექტად თავისი კვლევის და თავისი ყველა სპექტის გათვალისწინებით, ასე, რომ როდესაც ზოგადად პროექტებს ვაკეთებთ მაშინაც ვნახეთ, სამინისტროსგან როგორც საკონსულტაციო კომპანია ჩვენ არ მოველით რაიმე სირთულეს გარემოს დაცვის გადაწყვეტილების გაცემის პროცესში, რადგან იციან ჩვენს მიერ გაკეთებული დოკუმენტაციის ხარისხი, კასპის გარემოს დაცვის შეფასება, რომელიც ზურუხტის ქსელში მდებარეობს და მიიჩნევა დღესდღეობით სამინისტროსთვის ერთ-ერთ სანიმუშო პროექტად იმიტომ, რომ ერთი გეზეშეს დოკუმენტი, ეს გადიოდა თავისი გადამცემი ხაზით და ეს სიმკაცრე რაც არის, უფრო ბანკის მხრიდან არის, ვიდრე ჩვენი ადგილობრივი მოთხოვნა, სამინისტროს აქვს უფრო მეტი ტექნიკური მოთხოვნები, ტექნიკური დოკუმენტაციის მიერ, რასაც ბანკის სტანდარტები უფრო სხვა ასპექტებს ითვალისწინებს, ვიდრე ამას. (დაბლიუიჯი ენვი კონსალტინგის წარმომადგენელი)
- მიწის ნაკვეთს რომ შეეხეთ, მანდ ერთი რამე უნდა გაითვალისწინოთ რჩევის კუთხით, რომ რეალურად რა ტერიტორიაც სჭირდება ასაშენებლად, იგივე ტერიტორია ჩათვალე, რომ მუდმივად დაგჭირდება, ვაი და რამე კომპონენტი გაუფუჭდეს ფრთა იყოს გამოსაცვლელი, შეიძლება მოხდეს, შეიძლება არც, იმ ადგილს ესე ვერავის ვერ მისცემ, ამიტომ რაც მშენებლობის დროს გამოიყენება ის უნდა ჩაითვალოს, რომ ეგ არის მუდმივი სარგებლობის ტერიტორია და დანარჩენი შეიძლება, რომ თავისუფალ გამოყენებაში მიეცეს. (ზაზა ბაკურაძე)

- მადლობა პასუხებისთვის, ზოგადი შეფასებასავით მინდა კითხვა კომენტარებით გავაკეთო, ბანკის სტანდარტებს რაც შეეხება, ჩვენი სოფლის მეურნეობის და გარემოს სამინისტრო არ არის ისეთი „ჩამორჩენილი“ როგორც ვინმეს შეიძლება ეგონოს, თუნდაც ქვეყნიდან გამომდინარე, ძალიან ბევრ ევროპულ კონვენციას არის მიერთებული და ძალიან ბევრი ვალდებულება აქვს აღებული ევრო დირექტივა გინდა თუ როგორ განვითარდეს, ბერლინის კონვენციები და ა. შ. ამ შეხვედრის ფორმატს შეიძლება ეს სცდება, მაგრამ ჩემი სურვილი იქნებოდა იზიარდს ემუშავა სტრატეგიის დონეზე და ქვეყანაში შექმნილიყო სტანდარტი, რომელსაც ბანკი ერთხელ და სამუდამოდ აღიარებს და ენდობა. *(არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*
- გეთანხმები. *(ზაზა ბაკურაძე)*
- აღარ იყოს საჭირო ორი უფროსისთვის თავის მოწონება. განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, როგორც არის ინდინჯენს. *(არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*
- ნამდვილად გეთანხმებით. *(ზაზა ბაკურაძე)*

კითხვა 8:

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი

- მოგესალმებით, გარემოს დაცვითი ორგანიზაცია. მაინტერესებს რამდენწლიანი ექსპლუატაციის ვადა აქვს ამ ტურბინებს და შეკეთებას ექვემდებარება თუ რა ნარჩენების ჭრილში რომ დავინახოთ უფრო რა მოხდება?

პასუხი 8:

ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

- მადლობა კითხვისთვის, 20 წელია ოფიციალურად და 20 წლის მერე ტურბინა ანუ მწარმოებელი ყოველთვის თავს იზღვევს და იძლევა იმ ვადას რაც იცის, რომ იმუშავებს. რეალურად მერე მწარმოებელი ვინც გაწვდის ესეთი პრაქტიკა არსებობს ქარის ინდუსტრიაში ვინც გაწვდის ის უკეთებს ოპერირებას მერე უკვე მომავალში, ჩვენს შემთხვევაში 10, 15 წელი მინიმუმ ეს კომპანია გაუკეთებს ოპერირებას, ტექნიკური მხრივ ოპერირებას ვგულისხმობ, ეს ბანკის მოთხოვნაც არის და ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ამის გამოცდილება საქართველოში არ არის. შესაბამისად იმ მწარმოებლის ინტერესიც არის, რომ კარგად მოუაროს იმიტომ, რომ აქ წახალისების მექანიზმებიც არის გათვალისწინებული, ამიტომ არის შემთხვევა შეიძლება 20 წელზე მეტი იმუშაოს. როცა გავა უკვე სასიცოცხლო პერიოდი, ამის მერე არა მართლ იმიტომ, რომ ძველია და ამოწურა, ზოგადად ტექნოლოგია ქარის მიმართულებით ისე ვითარდება, განსხვავებით ჰიდრო მიმართულებით, რომელიც რევოლუციური გადაწყვეტილებები არ არის და ქარის შემთხვევაში ძალიან სწრაფად ვითარდება, ამიტომ რეკომენდირებული არის ხოლმე კომერციულად და ტექნიკურადაც რომ მოხდეს ამის დემონტაჟი და იმ ადგილასაც ახალი

ტურბინის გაკეთება არის დამატებით პროექტი ჩავთვალოთ. ამ პროექტს ამ ინფრასტრუქტურით აქვს გარანტირებული 20 წელი სასიცოცხლო პერიოდი. ამის შემდეგ თვითონ დემონტაჟს რასაც გავუკეთებთ ამას მერე უტილიზაცია სჭირდება ნარჩენების კუთხით როგორ შეიძლება, საკმაოდ დიდი რაოდენობის ტურბინებზე გვაქვს საუბარი, რაზეც მერე 20 თუ 15 წელში უნდა ვიფიქროთ რა ვუყოთ ამ ყველაფერს და თუ არის გათვალისწინებული ზოგადად პროექტში ნარჩენების კუთხის მიმართულებით.

- ზუსტად ჯერ იმიტომ, რომ დემონტაჟის პირობები არ არის, შეიძლება 20 წელში არის, მაგრამ ხომ მოუწევს, ამიტომ ეს თემა დასამუშავებელი და ჩასართავი გვაქვს, თუმცა 20 წლის მერე საერთოდ რა იქნება ლანდშაფტის და აირონის განვითარების თვალსაზრისით დიდი კითხვის ნიშანია, მაგრამ ძირითად ნარჩენებს ლანდშაფტის და აირონის განვითარების თვალსაზრისით დიდი კითხვის ნიშანია, მაგრამ ძირითადი ნარჩენებზე თუ ვლაპარაკობთ მეტალის ნაწილებია, რომლებიც უნდა გამოიყენოს მეტალურგიამ და პრინციპების დონეზე ეს გვექნება ჩატარებული.
- ეს საკითხი ჩვენც დამუშავებული გვაქვს, ჩვენც განსაზღვრის პროექტს ვაკეთებთ, ბინძური ნარჩენი ამ პროექტს არ გააჩნია, ძირითადი მასალა არის რკინის, ძვირფასი ნარჩენია, თვითონ ტურბინის ნარჩენში რაც არის ძვირფასი ლითონია, გადაცემთა კოლოფი ფერადი ლითონებია და არც ის არ არის გადაყრადი, მთავარი გადამუშავების კუთხით არის ფრთები, რაც არის კომპოსტოვანი მასალები მინა -ბოჭკოვანი, ამაზე მთელი მსოფლიო მუშაობს და როგორც პრაქტიკა იქნება ისე გავაკეთებთ ჩვენც. გამოყენება აქვს რამდენიმე, ჯგბირ-სამაგრებისთვის არის, მიწის შეკავება სადაც არის საჭირო ამით ხდება შუაზე გახერხვა და ძალიან კარგად გამოგვადგება, გარდა ამისა შუაზე გახერხვის შედეგად წარმოიქმნება ძალიან ლამაზი, კარგი ფორმის გადახურვის საშუალება და მაგალითად შვედეთში ავტობუსის გაჩერებები იხურება მხოლოდ გამოყენებული ტურბინების ფრთებით. ესეც ძვირფასი მასალაა, ტურბინაში იმის გამოყენება აღარ ხდება, რადგან შეიძლება ბზარი ჰქონდეს და ფრთისთვის გამძლე აღარ იყოს, მაგრამ დანარჩენისთვის წარმოებისთვის ყველაფრისთვის არის გათვლილი. გადასაყრელი ნაგავში არ არის.
- ჩვენ ახლა ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიის მისადგომებზე ვმუშაობთ ბატონ დარვიშის თამალობით და ესეთი მიდგომები თუ როგორ იქნას გამოყენებული და ა. შ. პრინციპულად მოთხოვნილი იქნება სტრატეგიების დონეზე.

კითხვა 9:

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი

- თქვენი ორგანიზაციის პოლიტიკა მაინტერესებს, აშენება და მონტაჟს თქვენ თვითონ აპირებთ თუ უშვებთ იმას, რომ სხვადასხვა კომპანიები შემოგიერთდნენ?

პასუხი 9:

ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

- ესეთი მდიგომაა, რომელიც ამ ინდუსტრიაში არის სტანდარტი, რომ ტურბინის მომწოდებელი აკეთებს, რომ მის სამუშაოში შედის ტურბინის დამზადება, მოწოდება, აწყობა, გაშვება ექსპლუატაციაში და შემდგომ ამის ოპერირება. ერთადერთი ნაწილი რაც რჩება არის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ტურბინის აწყობასთან. დაკავშირებული არის მაგალითად მისასვლელი გზის გაკეთებასთან, მაგალითად ელექტრო გადამცემი კაბელების მონტაჟი, რომელიც აკავშირებს ტურბინებს ერთმანეთთან, ჩვენ საჭაერო გადამცემი ხაზი არ გვაქვს პროექტში, არის მაგალითად თვითონ ტურბინის ფუნდამენტის მომზადება, რომელიც არის რკინა-ბეტონის სამუშაო და არის კიდევ დასადგომი ამწე კრანის მომზადება სტანდარტი აქვს. ამ სამშენებლო სამუშაოებს გააკეთებს ჩვენი კომპანია ფერი, რომელიც არის ჩვენი დამფუძნებელი კომპანია, რომელიც საქართველოში ერთ-ერთი გამოცდილია მშენებლობის მიმართულებით, ყველაზე დიდი გამოცდილება აქვს, შესაბამისად აქეთა ნაწილს ჩვენ გავაკეთებთ გამოცდილი გუნდი კომპანიის, ჩვენ პროექტს ვმართავთ და უშუალოდ მის მონტაჟს და მის გაშვებას ექსპლუატაციაში, ოპერირებას გააკეთებს ჩვენი მომწოდებელი, ვისგანაც მას ვყიდულობთ.

კომენტარი 2:

სოციალური მენეჯერი

- დიდი მადლობა შევითხვებისთვის, ძალიან განსხვავებული შევითხვები დაისვა თბილისში, სოფლებში ბევრად სხვა ინტერესები აქვთ ასე ვთქვათ. ძირითადად ინტერესი ეხება დასაქმებას. დასაქმება ნომერ პირველია სოფელში. მინდა გითხრათ ჩვენ რუისში გავხსენით ოფისი იმის გარდა, რომ ოფისი გვაქვს თბილისში, გავხსენით რუისში და დასაქმებული გვყავს ადგილობრივი კადრები და გახსნის დღიდან სადღაც უკვე 150 ადამიანია მისული და ყველას ინტერესია დასაქმება. შესაძლებელია კითხვები ყოფილიყო მიწებთან მიმართებაშიც, კიდევ ხომ არ აპირებთ კომპანისადაც და დასაქმებას და სერთიფიცირება, მოთხოვნა რამდენად გვექნება სერთიფიცირებული კადრების და ეს ინტერესი არის, რომ ბევრს აქვს ეს გამოცდილება, მაგრამ არ აქვთ შესაბამისი სერთიფიკატები და ჩვენ სოციალური პროექტების მიმართულებითაც ვფიქრობთ მსგავსი შესაძლებლობების მიცემაზე (სერთიფიცირების პროგრამები). მე უბრალოდ მინდოდა ოფისი მეხსენებინა, რადგან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის ადგილობრივი კადრების დასაქმება და მოსახლეობასთან ახლოს ყოფნა და არა თბილისში. რუისი ახლოსაა მთელ ზემოქმედების არეალთან. მისასვლელიც ყოფილიყო და ტელეფონზეც შეიძლება დაკავშირება. ვებ გვრედიც არის, მაგრამ ყველას არ აქვს წვდომა ინტერნეტზე და რომ გავითვალისწინოთ ჩვენი ძირითადი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობა ვინც არის, ძირითადად მიწებზე დასაქმებული სოფლის მეურნეობაში ადამიანები,

რომლებსაც არ აქვთ ზედმეტი კომუნიკაციის დრო და ძალიან რთულია ამ ადამიანების დაჭერა, 7 საათზე მიწვევა ინტერვიუების აღება იმიტომ, რომ რუისში არის ყველაზე დაკავებული ხალხი, სადაც ოჯახში 4 თაობა მიწაზე არის გასული სამუშაოდ. მე მიხარია, რომ ჩვენი პროექტის ზემოქმედება აუცილებლად უნდა ავლნიშნო, არის ურწყავ მიწებზე, ძირითადად 1 წლიანი ნათესები, მარცვლეული კულტურები. ბაღები ძალიან მცირე ნაწილზე ხვდება. მაგალითად რუისის ტერიტორია შეიძლება მთლიანად ჩაითვალოს ურწყავი მიწებია და ასევე ამ ადამიანებს უბრუნდებათ მიწების ნაწილი იმიტომ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მათთვის. საძოვრების პრობლემასაც შევხებით. შარშან მოვიარეთ რამდენიმე სენსიტიური ტერიტორია, მაგრამ ეს არ არის საძოვრები როგორც ბატონმა მედგარმა თქვა ტრადიციული გაგებით, ეს არის ურწყავი მინდვრები და იგივე პრობლემა იყო, რომ ცხვრებიც და ძროხებიც, კვლევის ჩატარებიდან 2 თვეში უკვე გაყიდული იყო იმიტომ, რომ იმდენად წყალი არ არის იმ მინდვრებზე, ხრიოკია და მოკლედ აღარ უღირდათ ძროხების ყოლა. სულ მიკვირდა ინტერვიუზე რომ მივდიოდი ადამიანთან რომელსაც ძროხა ყავდა ცოტა ხნის წინ, უკვე აღარ ყავდა გაყიდული ჰყავდა. რამდენიმე სენსიტიური უბანი მონიშნული გვაქვს და ძალიან ფრთხილად ვიმოქმედებთ და შევეცდებით მუდმივად შესწავლას, მუშაობის დაწყებამდეც, მშენებლობის პროცესშიც მივაქცევთ ყურადღებას რომ ხელი არ შევუშალოთ ადგილობრივ მეცხოველეობას. თუმცა, ისევ ვიმეორებ ურწყავი ტერიტორიებია, მწირია ბალახიც, უმეტეს შემთხვევაში ქვებია და არ უღირთ თავად მოსახლეობას.

- შარშან ვაჟა ფშაველაზე ვცხოვრობ და სკვერში დავინახე 1, 2 ძროხა. *(პრეზენტატორტი)*
- ზემოქმედების არეალში საკუთარ ბაღებს უფრო მეტად გამოიყენებენ საძოვრად ვიდრე საერთო ტერიტორიებს. *(სოციალური მენეჯერი)*
- მელიორაცია გააკეთა ქსელის განვითარება და ჩვენ გვქონდა კომუნიკაცია მელიორაციასთან, უკვე განახლებული ინფორმაცია გამოვითხოვეთ და შევადარეთ ჩვენს პროექტს, აბსოლუტურად არ გვაქვს ზეგავლენა, გადაკვეთა და გავლენა. *(ზაზა ბაკურაძე)*
- ხომ არ იგეგმება, რომ მაქეთაც რეაბილიტაცია მოახდინოს? *(არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*
- ჩვენ გვინდა, რომ ისეთი სოციალური პროექტები შევიმუშაოთ, რომლებსაც გარკვეული მოდიფიკატორის ეფექტი ექნება, რომ დახარჯულ რესურსს ექნება გრძელვადიანი ეფექტი. იქ მოსახლეობა სოფლის მეურნეობით არის დაკავებული. ბევრს აქვს იგივე მშენებლობაში ცვლილებები გაიარონ, რომ უფრო გაიფართოვონ დასაქმების არეალი და ჩვენ ვფიქრობთ ამ მიმართულებით რაღაც ღონისძიებები გავტაროთ. მოვძებნოთ სხვადასხვა სერთიფიცირების სააგენტოები ან ინსტიტუტები, რომლებიც ამას აკეთებენ და დავაფინანსოთ. გვინდა, რომ სოფლის მეურნეობის მიმართ უფრო საგანმანათლებლო და ისეთი რაღაც მოვიფიქროთ რაც ფერმერს აუწევს პროდუქტიულობას ან ადაცას

ვასწავლით. შეიძლება ეს იყოს მიქსი საგანმანათლებლო და კომერციული დახმარების სუბსიდირება. ბევრი იდეა გვაქვს, ამიტომ ამაზეც მინდოდა მეთქვა, რომ ამაზე ვმუშაობთ, ყველა ისეთ ადამიანს ვიწვევთ ვისაც ამაში გამოცდილება აქვს, იქ ადგილზეც იყო წარმოდგენილი, ზოგი არასამთავრობო იყო, ფერმერთა ასოციაცია იყო და რაღაც კარგი იდეები შემოგვთავაზეს. ეს იდეებიც გვინდა გამოვიყენოთ ვინმეს თუ რამე მოსაზრება აქვს, კონკრეტულ პროგრამაზე მუშაობს ჩვენ შეგვიძლია ვეთანამშრომლოთ. უესეიდს აქვს გარკვეული საგრანტო დაფინანსების მექანიზმები და მაგათთანაც ვფიქრობთ, უკვე გვქონდა რაღაც შეხვედრა და თქვენ მაგაში დიდი გამოცდილება გაქვთ და გვიზიარებთ, ასე, რომ ამაზე თავიდან მინდოდა მეხსენებინა და თან მინდოდა, რომ ხმა მომეწვდინა ის ხალხი, რომელიც ამ მიმართულებით მუშაობს ჩვენ სიამოვნებით შეხვედრებით, გავივლით, მოვისმენთ. დარწმუნებული ვარ უკეთესი იდეები არსებობს, რაც ჩვენ არ ვიცით და ჩვენ გვინდა ჩვენი რესურსი ისეთ საქმეს მოვახმაროთ, რომელსაც გრძელვადიანი ეფექტი ექნება და ამაში თუ ვინმე დაგვეხმარება ძალიან კარგი იქნება.

(ზაზა ბაკურაძე)

- აუცილებელია გააკეთოთ რაღაც პროფესიული განვითარების ცენტრი თქვენთვის ბაზაზე, სადაც შემდგომ ადგილობრივი მოსახლეობიდან გაზრდით ისეთ კადრებს, რომლებიც დაგჭირდებათ თქვენ გრძელვადიან პერსპექტივაში და არა მხოლოდ სამშენებლო პერიოდში იმიტომ, რომ ეს ახალგაზრდები დღეს მოტივირებული და მზად არიან იმისათვის, რომ იმუშაონ, ისწავლონ და გაიღრმავონ ეს ცოდნა და ეს იქნება ძალიან კარგი.

(არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

- ცალსახად. *(ზაზა ბაკურაძე)*

კითხვა 10:

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი

- ზუსტად ეს კითხვა მქონდა. გაგეცნობით, მე გახლავართ ჩვენი ორგანიზაციიდან შიდა ქართლის ქსელის კორდინატორი. ჩვენ წლებია ვმუშაობთ ნარჩენების მიმართულებით, ასევე მწვანე ბიზნესების გაძლიერებისთვის, განვხორციელებთ სტარტ აპი ბიზნესები მწვანე მიმართულებით. როგორც ვიცი სოფელ ქარელის მუნიციპალიტეტში ძალიან ბევრი სადგურებია და იმასაც ვიტყვი, კითხვაც იქნება და ინფორმაცია, რომ როგორც ვიცი ჩვენი მეზობელი ქვეყნები თურქეთი, სომხეთი ძალიან პროდუქტიულად აქვთ, ჩვენც შეგვიძლია ვაკეთოთ, ფერმერები იმახიან, რომ ჩვენ ზუსტად ელექტროენერჯია სათბური საშუალებებისთვის აქვთ ძალიან ძვირი. თუ ექნებათ ამ სიკეთების შემდეგ მათ გარკვეული სუბსიდირება, რომ პროდუქტი გააიფონ და ჩვენმა სადგურებმაც აქტიურად იმუშაონ. ჩვენ შეგვიძლია მოყვანა მხოლოდ რადგან ძვირი ჯდება თურქები და სომხები ჩვენ გვჯობნიან და ტრანსპორტირება ბევრად უფროს უკვე ბიზნესში ვინც არის ჩართული შემოიტანოს, ვიდრე ადგილობრივად არის ჩართული წარმოება გაყიდოს და ეს ძალიან

დიდ პრობლემას იწვევს, ქარელის, გორის, შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში, ამაზე თუ დაფიქრებულხართ და რა შეიძლება რომ გავაკეთოთ, რომ ფერმერებს ზუსტად მივხმაროთ ჩვენ, რომ ადგილობრივი წარმოება ჩვენ ვამუშაოთ და არა მეზობელი ქვეყნებიდან შემოვიტანოთ?

პასუხი 10:

ზაზა ბაკურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

- ძალიან დიდი მადლობა კითხვისთვის, 2 ნაწილად გავყოფ კითხვას, რაც შეეხება ელექტროენერჯის კუთხით ჩვენი მხრიდან რამე შედავათის გაკეთებას, პირდაპირი მიწოდების კუთხით კანონით არ გვაქვს უფლება. ჩვენ ვართ მწარმოებლები და ჩვენ გვეკრძალება, რომ რომელიღაც მაცხოვრებელს ელექტროენერჯია მივაწოდოთ, მაგას ვერ ვიზამთ ფიზიკურად. ბევრს უჩნდება ეგ კითხვა, ამხეა საწარმოს აკეთებთ და მოდი იქნებ ელექტრო ენერჯია ვიღაცას მიაწოდო, მაგის უფლება არ გვაქვს. ტექნიკურადაც შეუძლებელია. მეორე საკითხი, რაც შეეხება სუბსიდიას, ჩვენ მზად ვართ ნებისმიერი ადგილობრივის ჯგუფის, ფერმერების მოთხოვნები გავითვალისწინოთ, რა ურჩევნიათ მათ. თუმცა ელექტრო ენერჯიაზე გავაკეთებ კომენტარს, თურქეთში ელექტროენერჯია გაცილებით ძვირია, ვიდრე საქართველოში მართლა ესეა, თუმცა პროდუქტიულობას ზრდის უფრო ახალი ტექნოლოგიების გამოყენება და ცოდნა ამ სფეროში, რაც გაცილებით მაღალი აქვთ თურქებს, ვიდრე ჩვენ გვაქვს. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ ვიმუშაოთ ორივე მიმართულებით, პირველ რიგში დავხმაროთ ფერმერებს.
- სომხებს ძალიან დაბალი აქვთ. *(არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*
- სომხებს ატომური სადგური აქვთ. *(ზაზა ბაკურაძე)*
- შეიძლება სახელმწიფოც უკეთებს სუბსიდირებას. *(არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*
- შეიძლება, ჩვენ შეიძლება მაგ მიმართულებით ვიმუშაოთ ჯუფებს სუბსიდირება გავუკეთოთ, თუმცა უფრო გრძელვადიანად შენარჩუნებადია, რომ დავხმაროთ სოფლის განვითარების მიმართულებაში. მე პირადად მაქვს გამოცდილებამ ნუშის ბაღი გავაკეთე და იქ მივხვდი რამდენად უკან ვართ ჩვენ იგივე ევროპასთან და თურქეთთან სოფლის მეურნეობის მიმართულებით. რამდენად ვერ ვიყენებთ იმ ტექნოლოგიას. რამდენად ნაკლებად პროდუქტიულია ჩვენი მუშა-ხელი. რამდენად არ იცის ეფექტიანად გააკეთოს ღონისძიებები, ბაღში გასხვლა, ან ერთწლიანი კულტურის შემოსავლის გაზრდა. სოფლის მეურნეობა მანდ ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა ეგ გვესმის, ჩვენ ეს კარგად გვინდა შევისწავლოთ და თქვენნაირი ადამიანების დახმარებით ამას უკეთესად ვიზამთ. გავიგოთ ადამიანებმა რო აწარმოონ პროდუქტი რა არის უკეთესი. თქვენი გამოცდილება ძალიან კარგია და თქვენი გამოცდილება რომ გაგვიზიაროთ, უფრო სიღრმისეულად ჩავიხედავთ დეტალები როგორ გამოიყურება, ამიტომ ჩვენი მიდგომაა ის, რომ

გავაკეთოთ რაც მულტიეფექტს გავაკეთებთ 1 დახარჯულ ლარს რომ ექნება 3 ლარის ეფექტი. ვიდაცას რომ ვუთხრათ აი 1 ლარი და გამოიყენოს და მერე მოვიდეს არ მინდაო არ თქვას. ამიტომ გააჩნია, მაგასთან ერთად მგონია, რომ მნიშვნელოვანია ტექნოლოგიის განვითარება და ცოდნის განვითარება, თუმცა ფინანსური მხარე მნიშვნელოვანია. თუ დავინახეთ ეს არის მნიშვნელოვანი, დანარჩენი ასე თუ ისე ნორმალურია და ამაში ხედავენ პრობლემას ჩვენ მზად ვართ, რომ გავითვალისწინოთ. (ზაზა ბაკურაძე)

- სამუშაო არის მაგ მიმართულებითაც. ჩვენ რომ აღარ გამოვიყენოთ ბუნებრივი აირი და გადავერთოთ მთლიანად სისტემა ელექტროენერჯიაზე სათბურებში, ეს ძალიან მნიშვნელოვანია გარემოსთვის. (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

კომენტარი 3:

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი

- თქვენის ნებართვით დღევანდელ შეხვედრას გამოვიყენებ პატარა სასიკეთო სარეკლამო მიზნისთვის, რაც პროფესიულ განათლებას შეეხება უესაიდთან თანამშრომლობით ჯიპამ და უნარების სააგენტომ მოახდინეს განახლებადი ენერჯის მენეჯერის და ენერჯო ეფექტურობის მენეჯერის საგანმანათლებლო სტანდარტის შემუშავება, ამის საფუძველზე ჯიპას უნივერსიტეტი დაიწყებს ამის შეთავაზებას შემდეგი სასწავლო სემესტრიდან. ეს არის განათლების პრობლემა, რომელზეც აუცილებელია მხოლოდ სიმწიფის ატესტატი, სკოლის დამთავრება და არანაირი უმაღლესი განათლება არ მოითხოვება. ეს იქნება ძალიან კარგი საშუალება იმისათვის, რომ მოემზადოს ენერგეტიკულ სექტორში შემოსვლისთვის. ეს პროფესიის სტანდარტი ფარავს იმ საქმიანობას, რაც საჭიროა დაგეგმარებიდან ოპერირების ჩათვლით. აქ ძალიან დიდი დეფიციტი იყო და უესაიდმა ჩვენი დახმარებით ძალიან მიზანში მოარტყა. ამავე პროგრამის ფარგლებში შემუშავებული არის სამშენებლო მიმართულების რამდენიმე სტანდარტი და უკვე დანერგილი არის რამდენიმე პროფესიულ სასწავლებელში. ამის მოწოდება მინდოდა თქვენთვის და თქვენ თუ გაავრცელებთ ამ ინფორმაციას და ურჩევთ ხალხს, მოიყვანთ ხალხს ძალიან კარგი იქნება.

- თბილისში არის? (ზაზა ბაკურაძე)
- კი ჯიპაში, ჯიპა იქნება ერთ-ერთი უნივერსიტეტი, რომელიც ამას შესთავაზებს. თუ სხვა უნივერსიტეტებს მოუნდებათ ისინიც შესთავაზებენ. ამ ეტაპზე დამტკიცდა სტანდარტი. (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

- როგორც კურსი? (ზაზა ბაკურაძე)
- პროფესიული სტანდარტი და უმაღლესი განათლება ამისათვის საჭირო არ არის. წელიწადზე მეტი იქნება, 2 წლამდე იქნება. ეს არის ძალიან სერიოზული მასშტაბით შესაძლებელი იქნება და ამავე ტიპის სტანდარტის დამტკიცებაც პროფესიებზე. ამიტომ ამ მხრივ ძალიან დიდი ხანი მიდიოდა საუბარი, რომ პროფესიული განათლება გვჭირდება.

მადლობა ღმერთს სტანდარტი არსებობს, კურსებიც იწყება, ძალიან სერიოზული კურსები და ამ კურსებს აქვს პრაქტიკული კომპონენტი, რაც გულისხმობს მშენებარე ობიექტებზე ამ ხალხის სწავლების პარალელურად ჩართვას. *(არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

- საინტერესოა რეგიონში თუ შეიძლება მაგის გადმოტანა? *(ზაზა ბაკურაძე)*
- ამას არ შეხედოთ ისე, რომ ადამიანს 2 კვირა ასწავლიან და რაღაც. აქ ასწავლიან სიღრმისეულ დონეზე და ამ კურსის დამთავრების შემდეგ ჩათვალეთ შეგიძლიათ იყოთ პროექტის მენეჯერი, რომელსაც თავისუფლად ანდობ პროექტის დეველოპმენტის სამუშაოს. ძალიან ფუნდამენტურ განათლებას იღებს და შეიძლება არ ჩამოუვარდებოდეს საბაკალავრო პროგრამებს და ზოგ შემთხვევაში სჯობნის კიდევ იმიტომ, რომ სპეციფიკური და მიზანმიმართულია. ეს მოიცავს კანონმდებლობის შესწავლას გარემოს დაცვის კუთხით, სამშენებლო -ტექნიკური რეგლამენტის კუთხით ბატონი პაატა ცინცამეც იყო ამაში ჩართული და ბევრი ისეთი ხალხი, რომელსაც პრაქტიკული ცოდნა აქვს იმისა, თუ რა უნარებია საჭირო უშუალოდ ენერგეტიკულ სექტორში და რაზე არის მოთხოვნა, რო მოინდომოთ ეგეთ კადრს ვერ იშოვით. *(არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*
- თან ახლა მოთხოვნა ხდება იმიტომ, რომ ენერგო ეფექტურობის კანონმდებლობის მიხედვით აუცილებელიც ხდება ჩართვა ენერგო უსაფრთხოების მენეჯერობის. *(არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*
- შემოდგომიდან იწყებს ჯიპა უკვე კურსს, შეთავაზებაა და სხვა უნივერსიტეტები არ ვიცი როდის დაიწყებენ, თუმცა სტანდარტი არის. *(არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*
- ნებისმიერ საგამოცდო დაწესებულებას შეუძლია მოამზადოს. მანდ რაღაც სერთიფიცირება უნდა ალბათ? *(ზაზა ბაკურაძე)*
- მეც არ ვიცი საგანმანათლებლო საკითხში, მაგრამ აკრედიტაცია უ მადლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ისედაც სჭირდება. *(არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*
- ძალიან საინტერესოა. *(ზაზა ბაკურაძე)*
- თქვენც შეგიძლიათ იმ სტანდარტის მიხედვით ასწავლოთ. *(არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*
- საინტერესოა, მაგაზე შეიძლება მუშაობა, ადგილზე მოკითხვა. *(ზაზა ბაკურაძე)*
- თუ ადგილზე არ იქნება, ვინმე გამოგზავნონ. *(არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*
- ნებისმიერი გამოიყენებს, ძალიან კარგია. გრეტასაც აქვს სხვათაშორის, ეგეთი გრძელვადიანი არ არის. *(არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

